სოსო მზრალიძე

# ოქროსუბნელის ნაამბობი

თბილისი
1996



# ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

მკითხველს გვსურს წარვუდგინოთ ფრიად თავისებური და საინტერესო პიროვნება — სოსო ეპრალიძე — ქართული საესტრადო ხელოვნების ერთ-ერთი ღირსეული რაინდი, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ამ ჟანრში ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული სკოლის აღზევება და განვითარება, ვინც ასე სამაგალითოდ და თავდადებული რუდუნით გაუკვალა გზა მომავალ თაობებს და სამუდამოდ დატოვა მხოლოდ მისი ხელწერისათვის დამახასიათებელი, შესანიშნავი ლირიული სიმღერები.

თქვენს წინ გადაშლილ წიგნს სახელმძღვანელოდ განკუთვნილთა პრეტენზია არ გააჩნია. ეს გახლავთ თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული და ღვაწლმოსილი ადამიანის მოგონებები. მისი თვალსაწიერიდან დანახული განვლილი გზა და მოვლენები, აღსავსე ცხოვრებისეული ნაირფეროვნებითა და წინააღმდეგობებით.

ავტორს შეჰყავხარ საკუთარ სულიერ სამყაროში, თავიდან, ჯერ ყმაწვილკაცური გატაცებით და შემდეგ დაღვინებული გონიერებით გვაცნობს ორმოცი წლის განმავლობაში თანამედროვის განცდის ქურაში გადადნობილ და ჩამოყალიბებულ სამამულო ესტრადის განვითარებისა და დავაჟკაცების პროცესს. მიუდგომელი და სამართლიანი მსაჯულის დამაჯერებელი მეტყველებით გვიყვება და გამოთქვამს ანალიტურ მოსაზრებებს ქართულ ესტრადასა და მის მსახიობებზე, მეგობრებსა თუ ხელოვნების სარბიელზე შეხვედრილ, ამა თუ იმ მოვალეობის შემსრულებელ ადამიანებზე. მიუკერძოებლად ამხელს იმ დროის სასცენო მოღვაწეობაში დამკვიდრებულ უარყოფით მოვლენებსა და იქვე საშური სიყვარულით ეალერსება მის ღირსეულ წარმომადგენლებს.

სწორედ ობიექტურობა, სიღრმისეული განსჯა და გულწრფელობაა განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები ამ მოგონებების, რის გამოც მიგვაჩნია, რომ მკითხველს იგი ერთობ დააინტერესებს.

მაშ, სიტყვას იღებს ჰანგების მუზასთან წილნაყარი, უკვე სამოც წელს მიღწეული სოსო ებრალიძე, რომელიც მისაბაძი მხნეობით დღესაც განაგრძობს საკუთარი მუსიკის უმშვენიერეს ბაღნარში მოღვაწეობას. სასიმღერო ასპარეზზეც და ცხოვრებაშიც იგი თავისებურად შეუდარებელი ხელოვანია, ისევე, როგორც ადამიანურ, მეგობრულ ურთიერთობაში. აქვე შეიძლება გავიმეოროთ ჩვენი საუკუნის, უბადლო მელოდიების ავტორისადმი გამოთქმული ალტაცება, რომელიც აგრეთვე ბატონ სოსოს არაერთ ქმნილებას უდავოდ მიესადაგება:

— რომ შეიძლებოდეს შენი დაწერილი ნოტების ნიშანთა ამბორი, შენთან ერთად ყველას გადავკოცნიდი.

სიყვარულში, ზრუნვაყოფილად ევლოს დარჩენილი, გულში ჩამწვდომი, ტკბილხმათა ფიანდაზად მოსილი გასავლელი ჭეშმარიტ ხელოვანს.

*რედაქტორი*

რედაქტორი
ქართლოს ჯაფარიძე

საოცრად ლამაზია საქართველოს დედაქალაქი თბილისი, მისი სათაყვანებელი სიონი და ძველი მეტეხი, ბეთლემის ფეთხაინი და შაითან-ბაზარი, შავნაბადა და მახათას მთა, რკინიგზის სადგური და გლდანის ხევი, რუსთაველის ბრწყინვალე გამზირი და მშვენიერი სოლოლაკი, სამოთხის დარი მთაწმინდა და ლაჟვარდოვანი ვერეს უბანი, წარმტაცი საბურთალო და ლამაზი ღრმა-ღელე... მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მშობლიური და საყვარელია ჩემი „ოქროს უბანი", სადაც დავიბადე, პირველად ამეხილა თვალი და გავიზარდე... წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ — ჩემს დაბადების დღეზე არც მეხი გავარდნილა და არც მიწა იძრა...

1936 წლის 7 ნოემბერს გარიჟრაჟზე დროებით მომავლინეს ამ ქვეყნად ჩემმა მშობლებმა— ბაქრაძე ელენე ირაკლის ასულმა და ებრალიძე სევერიანე მიხეილის ძემ! ძველ თბილისში უმეტესწილად ოჯახის დედა გახლდათ დიასახლისი, ხოლო მამა, განათლებით იურისტი, მუშაობდა ადმინისტარციულ ორგანოებში გამოძიების განხრით. რაღა თქმა უნად დღეს 1996 წელია და როგორც ყველა ადამიანი დროებით მოვლენილი ამ ქვეყნად, მშობლებმაც დატოვეს ეს წუთისოფელი და კარგი ხანია დავრჩი ობლად. მაგრამ არც მთლად ობოლი გახლდით, რადგან ჩემს გარდა ოჯახში მყავდა უფროსი დაიკო მზია და უმცროსი ძამიკო ამირანი. მართალი რომ გითხრათ, 3 წლის ისე შევიქენი, ხეირიანად არაფერი მახსოვს, გარდა სიმღერისა და დაკვრისა, რომელიც ჩვენს ოჯახში თითქმის ყოველდღე იმართებოდა. ჯერ ერთი, მამა კარგი გურული სიმღერების ვირტუოზული მთქმელი იყო, და მეორეც, დედა სიმღერასთან ერთად შესანიშნავად უკრავდა ძველ როიალზე, გიტარაზე და ფანდურზე. აქედან გამომდინარე მუსიკალური „განათლება" სამივე შვილმა აკვნიდანვე მივიღეთ ოჯახში, ხოლო თუ დეიდები და ბიძები გვესტუმრებოდნენ, მაშინ ხომ გრანდიოზული კონცერტები იმართებოდა და მთელი ოქროს უბნის ყურადღების ცენტრში ვიყავით, ოჯახის ისტორიის მოყოლამ შორს რომ არ წამიყვანოს, კონკრეტულად პირადი

ცხოვრების დეტალებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ვინაიდან ეს წიგნიც სწორედ ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის ასახვას და მოგონებების შეეხება.

სამი წლის ვიყავი, მშობლებმა რომ მიმიყვანეს საბავშვო ბაღში. მას ხელმძღვანელობდა სახლგანთქმული პედაგოგი ნინა ანტონოვნა (სწორედ რომ ასე ვეძახდით) ჯაფარიძე. მაშინ საბავშვო ბაღში იყო ორი ჯგუფი, უმცროსების–სამიდან ხუთ წლამდე, და 6-7 წლის უფროსები. ეს საფეხურები უნდა გაგვევლო და მერე სკოლაში გაგამწესებდნენ.

გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ საბავშვო ბაღმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც აღმზრდელითა შესანიშნავმა კერამ, ჯერ თვითონ ნინა ანტონოვნა ხომ ბრწყინვალე პედაგოგი იყო და მერე ისეთი კარგი აღმზრდელებიც ჰყავდა შემოკრებილი გარშემო, რომ დილით ადრე წაყვანას ვეხვეწებოდით მშობლებს. რა დამავიწყებს მარგო მასწავლებელს, მარო მასწავლებელს ან სხვა მომსახურე პერსონალს! ყველანი ძალიან კარგები იყვნენ და ამიტომაც აღიზარდნენ ამ საბავშვო ბაღში ჩემი თაობის შესანიშნავი ადამიანები, „პლეხანოველი " ბიჭები: სევა ელიავა, ზურა კეკელიძე, მერაბ ყურაშვილი, გელა ჯაფარიძე, მერაბ ჯინჭარაძე, ომარ სურგულაძე, თამაზ კანდელაკი, ლევან ჟორდანია, ვახტანგ მახარაძე, ჯემალ ქარუმიძე, სულიკო თოხაძე, ზურაბ ცერცვაძე, ლეილა და მზია თუშმალიშვილები, ლუიზა, ლიანა და მარიკა გოგიჩაიშვილები, ჩემი საყვარელი და-ძმა მზია და ამირან ებრალიძეები, ჟუჟუნა და ნოდარ ლაშხები და სხვები. ამასობაში მოვიდა 1941 წელი და დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ჩვენ, ბავშვები კარგა ხანს ვერ აღვიქვამდით იმ უბედურებას, რასაც ომი ერქვა. ეს ვიგრძენით მაშინ, როცა ნელ-ნელა ყველას მამები და ძმები ომში გაიწვიეს. ვიგრძენით მაშინაც, როდესაც ტალონებზე ტალახივით შავ პურს გვირიგებდნენ, ნავთის ბიდონებით მთელ ღამეს რიგში რომ ვიდექით, სახლებში ლურჯი ნათურები რომ ჩამოკიდეს და ღამღამობით დარაბების დაკეტვა დაიწყეს. მოგვიანებით ყველა ეზო-

ში თავშესაფარი მიწურებიც გათხარეს.

დრო კი მიდიოდა თავისი კანონებით. წელი წელს გვემატებოდა და კიდევაც 1944 წლის 1 სექტემბერს გაგვამწესეს ვაკეთა მე-11 სკოლის I კალსში. იმ დროს 1-4 კლასებს ერთი მასწავლებელი ჰყავდა მიმაგრებული და რა თქმა უნდა ჩვენი საყვარელი სოფიკო მგალობლიშვილი ჩემთვის მეორე დედად იქცა! ის გვასწავლიდა წერა-კითხვას, ლექსებს და სიმღერას, არითმეტიკას და ბუნებას, მეტყველებას და ისტორიას, გვიყვებოდა ყველაფერს, რათა მოეცა ჩვენთვის დაწყებითი განათლება. მე-5 კლასიდან კი სხვადასხვა მასწავლებლებს უნდა გაეგრძელებინათ ჩვენი განათლება. ამიტომაც სოფიკო მასწავლებელი საფუძვლიანად გვამზადებდა მომავალი შრომისა და სწავლისათვის. მე-11 ვაკეთა სკოლაში დავუახლოვდი და ვმეგობრობდი გურამ სარაჯიშვილთან, თენგიზ ცქიტიშვილთან, იური მარტიროსოვთან, ანზორ სიხარულიძესთან, ენვერ მამალაძესთან, ვაჟა ვაჩნაძესთან, სერგო კოტრიკაძესთან და სხვებთან. ყოველ დილით გურამი და იური გამომივლიდნენ, შემდეგ თენგიზს გავუვლიდით, სადაც თენგოს დედის, დეიდა ჟენიას ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს გემრიელად მივირთმევდით, და ხან ჭინჭის ბურთით და ხანაც კონსერვის ქილის ბურთაობით ჩავდიოდით სკოლაში, რომელიც მტკვრის სანაპიროზე მდებარეობდა (ამჟამინდელი უშანგი ჩხეიძის ქუჩა).. ამასობაში, 1945 წლის მაისში ომი დასრულდა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ასე თუ ისე, თბილისშიც მშვიდი ცხოვრება დაიწყო და დროც უფრო სწრაფად გადიოდა.

1948 წლის ზაფხული იდგა, როცა მეზობელმა ჯონდო მელიმონაძემ 35-ე ფეხბურთელთა სკოლაში წამიყვანა გასასინჯად. იგი უკვე იქ სწავლობდა და ჩვენს ეზოში რომ ვთამაშობდით ფეხბურთს, რა თქმა უნდა ჭინჭებისაგან გაკეთებული ბურთით, თავის გუნდში ამიყვანდა ხოლმე, ვინაიდან მოსწონდა ჩემი თამაში. წამიყვანა და... საოცრება, მიმიღეს ფეხბურთელთა სკოლაში, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! ამისრულდა ოცნება, ამიერიდან მექნება ფეხბურთელის ფორმა და ვითამაშებ

ნამდვილი ბურთით!

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი მუსიკალური განათლება ოჯახში არ წყდებოდა, ნელ-ნელა ვეუფლებოდი სიმღერას, ვუკრავდი ფანდურზე და მუსიკალურ აზროვნებას ვიფართოვებდი, მაგრამ ფეხბურთი ჩემი ოცნება იყო და ამიტომ 1948 წლის 11 სექტემბერს შევხვდი 35-ე სკოლის მე-5 კლასელებთან ერთად. ასე დავიწყე ცხოვრების ახალი ეტაპი.

არ ვიცი როგორ გითხრათ, ყველას მოწონს და უყვარს თავისი კლასელები, მაგრამ კლასში მართლაც ბრწყინვალე ბიჭები შეიკრიბნენ, ერთმანეთზე უკეთესები ფეხბურთის თამაშში, გნებავთ სწავლაში თუ მეგობრობაში. მთელი სკოლა სიყვარულით უყურებდა ჩვენს კლასს. აი ისინიც: შალიკო კაკაბაძე (გამოჩენილი მწვრთნელი ფეხბურთში), ამირან შუბლაძე (კლასიკური ბიზნესმენი-კომერსანტი). პავლე ხურციძე (კონსერვატორიის პროფესორი), შოთა იამანიძე (ბრწყინვალე ფეხბურთელი და საზოგადო მოღვაწე), სერგო კოტრიკაძე (შეუდარებელი მეკარე), ავთო ხელაძე და დოდიკა ხუნდაძე (თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები), გენო სარჩიმელია (ქალაქის კოლირიტი), ვიტია გვიმრაძე, ანზორ ნოდია, ანზორ იმნაიშვილი, ჟოკა დვალი, ვახტანგ არჩვაძე, ნიკო ჩაჩუა, სერგო ადამოვიჩი, ანზორ იობაშვილი, დათო ცქიტიშვილი, რეზო ასამბაძე, თეიმურაზ მესხიშვილი, გურამ გოლიაძე, ალიკო გახარია, გენო ნადირაშვილი, კუკური გიორგობიანი, ჯემალ სუხიშვილი, თემო სოსელია, გურამ დგებუაძე, ნოდარ ჩოქური, ანზორ შიოლაშვილი და სხვები—ყველა გამორჩეული თვისებების ადამიანები გახლავთ, თავის პროფესიის შესანიშნავი მცოდნენი, ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმოამდგენლები. მაგრამ მათ შორის მაინც ერთი განსაკუთრებული იყო, არის და იქნება, ეს გივი (ტუტიკო) ელოშვილია! კაცი, რომელიც დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა და ფიქრობს, რა სიკეთე გაუკეთოს თავის მეგობრებს და საზოგადოებას. მარტო ერთ ფაქტს აღვნიშნავ მის დასახასიათებლად: პერიოდულად, (ეს უკვე ოთხჯერ გააკეთა), შეგვკრიბავს მთელი სკოლის ბიჭებს, 80 კაცამდე, ჩაგვსვამს ავტო-

ბუსებში, წაგვიყვანს რუსთავში (იგი იქ მუშაობს), გვათამაშებს ფეხბურთს, დაგვასვენებს, გადაგვიღებს სურათებს. შემდეგ მტკვრის პირას გაგვიმართავს წვეულებას, ჩაგვახუტებს ერთმანეთს, ჩამოგვიყვანს თბილისში და დაგვარიგებს სახლებში.

ამაზე დიდი კეთილშობილური საქციელი რაღა უნდა იყოს! მეგობრებს ხომ გვერდში უდგას და ყველანაირად უმსუბუქებს ამ დუხჭირ ცხოვრებას. აფერუმ შენს კაცობას, ჩემო ტუტიკო!

გარდა ჩვენი 5 კლასისა, რომელიც მე ძალიან მიყვარდა და მომწონდა, თავად 35-ე ფეხბურთელთა სკოლის წარმომადგენლები გახლდათ სასწაულებრივად მოსიყვარულე; სადაც უფროსკლასელები გვპატრონობდნენ უმცროსკლასელებს, გვზრდიდნენ კაცებად და მეგობრული სული არ ღალატობდა მთელ შემადგენლობას. ამ სკოლას თავკაცობდნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, რომელთა შემხედვარე არ შეიძლებოდა ცუდი კაცი გამოსულიყავი. ჩვენი აღმზრდელები იყვნენ: გაიოზ ჯეჯელავა, შოთა მერკვილაძე, არჩილ კიკნაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, დიმიტრი შენგელაია, შოთა დავითაია, სპარტაკ ჯეჯელავა, ჯონდო შავდია, ჯუანშერ ჯეჯელავა, არჩილ ჩიმაკძე, ოტია ჟორდანია, ვანო მეტრეველი, ელენე მაღალაშვილი, თამარ ჩხენკელი, ვანო ახალკაცი, ბუდუ მანჯავიძე და სხვები. 35-ე ფეხბურთელთა სკოლის აღზრდილთა შორის არიან მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, ექიმები, ინჟინრები და თითქმის ყველა დარგის მოღვაწეები. მაგალითად: მერაბ ბერძენიშვილი (ხელოვანი მოქანდაკე), შოთა ადამია (აკადემიკოსი), თამაზ ლეჟავა (მეცნ. დოქტორი), ამირან ებრალიძე, თემურ დავითაია, გენო ნადირაშვილი, ზურაბ ლეჟავა, ბადრი ბეგალიშვილი, პავლე ხურციძე (მომღერლები, საქართველოს დამსახურებული არტისტები), აგრეთვე მეცნიერთა მთელი პლეადა: კარლო გორდეზიანი, ანზორ მარგიანი, ვერნი ალფაიძე, გურამ ჭელიძე, გურამ ქევანიშვილი, დიმიტრი გიუნაშვილი, გურამ დათუაშვილი, თენგიზ ჭყონია, გია ფირცხალავა, იუზა ვასაძე. აგრეთვე ქართველი ერის ღირსეული შვილები: სპარტაკ შარაშენიძე, ალიოშა კოტრიკაძე,

უჩა შევარდნაძე, ლეო ჟორდანია, მიშა მესხი, ზაურ კალოევი, ავთანდილ ჭკუასელი, არჩილ კილაძე, თენგიზ პეტრიაშვილი, გურამ გომელაური, ედუარდ თორაძე, ლავრო დოლიძე, ლეო კალოევი, თენგიზ ასლამაზოვი, მოსე დავარაშვილი, ტიტე საქუაშვილი, თენგიზ გოჩალეიშვილი, სოსლან ბავრიზაშვილი, ავთანდილ ვარდიაშვილი, ოთარ გიორგობიანი, ნოდარ ბახტაძე, ნოდარ კანკავა, უჩა ადამია, შალიკო ჭრელაშვილი, ვანო ფარადაშვილი, ბეჟან სალაყაია, რეზო კარანაძე, რეზო გუდაძე, თენგიზ ნიკურაძე, ნოშრევან ნარიაშვილი, გ. კახნიაშვილი, დ. ფცქიალაძე, ბ. მოწონელიძე, მამია ფაცურია; გივი ფაცურია, ზაალ ბარათაშვილი, ოთარ ალავიძე, ზურა ბარათაშვილი, თენგიზ მიქაძე, ქართლოს გაბაშვილი, ქართლოს ძაძამია, კოკა ამირეჯიბი, ოთარ ოთარაშვილი, თუნა აბესაძე, ვალოდია ქირია, ვალოდია ოდიშვილი, რობერტ კუდაშვილი, რეზო ჯაფარაშვილი და სხვები.

ამ სკოლის კედლებში ფეხბურთის გარდა, ყველა სიკეთისაკენ გზა ხსნილი გვქონდა. სიმღერაზე ხომ ნუღარ იტყვით. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ჩამწკრივებული ნაბიჯით სიმღერას დავაგუგუნებდით. გაკვეთილების შემდეგ, სადილობისას მრავალჟამიერს დავჭექავდით, საღამოობით კი კარგი კონცერტები იმართებოდა.

1949 წლის გაზაფხული იყო. 35-ე ფეხბურთელთა სკოლა სავარჯიშოდ მიემგზავრებოდა ბაკურიანში. (ეს, როგორც წესი, ფეხბურთელთა სკოლა ყოველ ზაფხულს ატარებდა წვრთნას და დასვენებას ბაკურიანში). პირველად მომიწია მარტოს ორი თვით სახლიდან წასვლა, ჩემს სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა, ბორჯომში ჩავედით მატარებლით, შემდეგ გადავსხედით პატარა მატარებელში („კუკუშკა“) და ნელ-ნელა, მთა-მთა გავწიეთ ზურმუხტოვანი ბაკურიანისაკენ. რაც თბილისიდან ბორჯომში ჩამოსვლას მოვანდომეთ, ორი იმდენი ბაკურიანამდე ასვლაზე დაგვჭირდა. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ! ასეთი ზღაპრული სილამაზე პირველად ვნახე და მაშინ მივხვდი, რომ ყველანი ბუნების შვილები ვართ და ბუნებასთან ურთიერობას განსაკუთრე-

ბული ტაქტი სჭირდება. ამ ზაფხულმაც წვრთნასა და ბავშვური ღლაბუცში ჩაიარა. მე-6 კლასში უკვე „სტაჟიანი“ 35-ელი ვარ, ვინაიდან მოვიდნენ ახალი მე-5 კლასელები და ამიტომ ჩვენ რანგით ავიწიეთ. 1950 წლის ზაფხული განსაკუთრებული იყო. ბაკურიანში ყოფნისას გავიცანი ესტრადის გამოჩენილი მომღერალი და გიტარაზე დამკვრელი ედუარდ სეფაშვილი. სკოლის ბაზა ემიჯნებოდა ბაკურიანის განთქმულ ტყე-პარკს, სადაც დამსვენებლები იკრიბებოდნენ. ერთ საღამოს ედუარდ სეფაშვილი ამოსულიყო ტყე-პარკში, ვიღაცას გიტარა მოუტანია და უთხოვია სიმღერა. მას კი უთქვამს: პირველ ხმას თუ ვინმე მეტყვისო. სად იყო და სად არა ბიჭებმა მიმიყვანეს მასთან. არ დავიბენი, რაც მკითხა ყველაფერი დავამღერე ედიკოსთან ერთად. ძალიან მოეწონა და გაუხარდა ჩემი გაგონება. მას შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა პარკში, გამომიძახებდნენ ბაზიდან და ასე სიმღერ-სიმღერით ჩაიარა ზაფხულმა. რა თქმა უნდა პირველი აკორდებიც გიტარაზე მან შემასწავლა, ასე ნელ-ნელა გავხდი ედუარდ სეფაშვილის ბაკურიანელი პარტნიორი. მართალია ედუარდი რამოდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი მეგობრობისათვის.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ერთმანეთთან დავდიოდით და ვმღეროდით უსასრულოდ. ასე მიჰყვებოდა წელი-წელს, დღე და ღამე გიტარა და სიმღერა. ფეხბურთისათვის უკვე აღარ მეცალა.

1951 წლის ზაფხულში ბაკურიანში ყოფნის დროს, სკოლის ბაზის გვერდით მდებარე პიონერთა ბანაკში გავიცანი თანატოლი, სიმღერაზე შეყვარებული, მშვენიერი ბარიტონის მქონე გოგი თოფურიძე (ამჟამად აშშ-ს მოქალაქე). რაღა თქმა უნდა სიმღერამ ძლიერ დაგვამეგობრა. გოგი ცხოვრობდა პლეხანოვის პროსპექტზე (ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირი) და სწავლობდა რკინიგზის 7 სკოლაში. თბილისში ჩამოსვლისთანავე შევხვდით ერთმანეთს „პლეხანოვზე“ გოგიმ გამაცნო თავისი კლასელები—თენგიზ კარტოზია, ომარ აფხაზავა, გურამ ბერია, გივი ბაკურაძე, ბელნაიდ ხარაძე, თენგიზ კალანდია, ოთარ არ-

თილაყვა, გოჩა რამიშვილი, ზაურ გვარამია, ვოვა დავითაია და სხვები. მაშინ ყველა 15-16 წლისანი ვიყავით. კაცობას ვიწყებდით და პირადი დამოუკიდებლობის სინდრომი გვაწუხებდა, აქედან გამომდინარე „პლეხანოვზე“ კინოთეატრ „ამირანის“ წინ, ომარ აფხაზავას სახლის სადარბაზოსთან ეგრეთ წოდებული „ბირჟა“ დავიდეთ. წლების განმავლობაში ერთი დღეც არ გაგვიცდენია, რომ იქ არ ვმდგარიყავით. შემდგომში ამ „ბირჟას“ შეემატნენ ფეხბურთელთა სკოლის კლასელები—რეზო ასამბაძე და თემო მესხიშვილი; სვანეთისუბნელი ბიჭები—ლუტუ სვანიძე, დოდიკა სხირტლაძე, ბროლა ბასანიძე, გივი გიგაშვილი; ოქროს უბნელები—ზურაბ ვაჩნაძე, ოთარ მჭედლიშვილი, იგორ ნაგორნი, ვოვა მიქაძე; „ნახალოვკელები“—რაულ სხირტლაძე, თამაზ სანაძე, გურამ მელიქიძე, ვახო ბარნოვი, იური ადამია, ავთო ბიჩინაშვილი, გურამ ხავთასი, მურთაზ დაუშვილი და სხვები. ერთი სიტყვით ბევრნი ვიყრიდით თავს. ვმუსიკოსობდით, ვმღეროდით, ვქეიფობდით. კინოს, კონცერტს და თეატრს არ ვიკლებდით. მეგობრების ამ დიდი ჯგუფიდან განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა თენგო კარტოზიას, რეზო ასამბაძეს, ზურა ვაჩნაძეს და ჩემს შორის. ეს იმიტომ, რომ მათ უსაზღვროდ უყვარდათ მუსიკა. რაღა თქმა უნდა სამივემ მეტნაკლებად შეისწავლა გიტარაზე დაკვრა. ზურაბ ვაჩნაძე ლექსებსაც წერდა, რომანტიკოსი ჭაბუკი იყო. თენგო კარტოზიამ, რომელსაც აბსოლუტური სმენა ჰქონდა და უფაქიზესი გემოვნება, გადაწყვიტა ფილიგრანულ დაკვრამდე მიეღწია გიტარაზე, რაც შეძლო კიდეც. ხოლო მე და რეზო ასამბაძემ გადავაკკვარახჭინეთ გიტარებზე დუეტი და 1952 წლის ზაფხულში, ბაკურიანის მაგივრად, ცენტრალური კულტურის სახლის საესტრადო ბრიგადის შემადგენლობაში გასტროლებზე წავედით. მაშინ 16 წლისანი ვიყავით. თბილისის, საკუთარი სოფლისა და ბაკურიანის მეტი არაფერი გვენახა. გასტროლებით კი თითქმის ნახევარ საქართველოს ვნახავდით. თანაც ფულს გავაკეთებდით, აბა რა სჯობდა ამას. მაგრამ, თურმე ნურას უკაცრავად, არც ისე იოლი ყოფილა გასტროლებზე

წოწიალი, მითუმეტეს რომ ტრანსპორტის გასაჭირი იყო იმ პერიოდში. ხან მატარებლით, ხან დანჯღრეული ავტობუსით, ხან კერძო მანქანით (თუ ფული გვქონდა რა თქმა უნდა), და ხანაც სატვირთო მანქანის ძარაზე გიტარებით ხელში დავბოდიალობდით კახეთის რაიონებსა და სოფლებში. ამ დავიდარაბას დიდხანს ველარ გავუძელით (მითუმეტეს არც ფულით გვანებივრებდნენ) და უფროსობას განვუცხადეთ, რომ გასტროლები უნდა დამთავრებულიყო. ამის შემდეგ ერთი კვირა კიდევ გვაბორიალეს სოფელ-სოფელ და წნორიდან როგორც იქნა გამოგვიშვეს.

თბილისში დაბრუნებულს დამხვდა ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი. ჩემს უფროს მეგობარს ედუარდ სეფაშვილს ა. პუშკინის სახელობის (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის) პედაგოგიური ინსტიტუტში ჩამოუყალიბებია „გიტარისტთა" საესტრადო ორკესტრი, რომლის სოლისტად სხვებთან ერთად მეც მიმიწვია. აქედან დაიწყო ჩემი გამოსვლები დიდ ესტრადაზე. მრავალი რეპეტიციის შემდეგ დადგა პირველი კონცერტის დღე, წარმოიდგინეთ 12 გიტარაზე დამკვრელი ერთად რომ შეასრულებდა სიმღერის აკომპონემენტს. რა მშვენიერი ჟღერადობა იქნებოდა. ამას დაემატა როიალი და კიდევ უფრო გაალამაზა ჰარმონია. პირველი კონცერტი გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში. ჯერ ისედაც ცოტა მაყურებელს იტევდა ეს დარბაზი, მსურველი კი ოთხჯერ მეტი იყო მოსული. ინსტიტუტის სტუდენტების მეტი ნაწილი გარეთ დარჩა, ვინაიან სხვა უმაღლესი სასაწავლებლების სტუდენტობაც ბევრი მოვიდა. აინტერესებდათ, რა ორკესტრია ასეთი, რომ მხოლოდ გიტარების თანხლებით ასრულებენ სიმღერებს? იმ ხანებში მიკროფონი და ხმის გამაძლიერებელი აპარატები არავის არ გაგვაჩნდა, ამიტომ ყველა გამომსვლელი შესაძლებლობის ფარგლებში აჩვენებდა თავის ხელოვნებას. კონცერტი დაიწყო. კონფერანსიეს სცვლის მომღერალი სოლისტი, შემდეგ ქალთა დუეტი, შერეული ტრიო, ისევ კონფერანსიე, შემდეგ ცეკვა და

აი რიგიც მოვიდა. 1953 წლის 13 იანვარი იყო. სიმღერას კულისებიდან ვიწყებდი. ვმღეროდი გიორგი ცაბაძის სიმღერას „საქართველოს სადღეგრძელო"-ს მუსიკალური კომედიის ერთ-ერთი სპექტაკლიდან. ეს სიმღერა და საერთოდ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი შემაყვარა ბატონმა ვახტანგ სარალიძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, ბრწყინვალე მსახიობმა და შესანიშნავმა ადამიანმა. მის სიტყვასაც კი ჩემთვის სიამოვნების ჟრუანტელი მოჰქონდა, არამც თუ მის სიმღერას. ეს რაღაც განუმეორებელი ტემბრი, შესრულების მანერა, ოსტატობა მისი მხიბლავდა და მატყვევებდა ბავშვობიდან. ყველაფერში ვბაძავდი მას და მხოლოდ მას. ვცდილობდი მისი ტემბრით მემღერა, მასსავით აძექნია ხელი და გამევლო, მაგრამ თურმე დიდ ვახტანგ სალარიძე არის განუმეორებელი. ასეთი ლეგენდარული მსახიობები ერთეულები იბადებიან ამ ქვეყნად და განცალკევებულად შედიან ქართული თეატრის ისტორიაში.

და აი ორკესტრმა აიღო აკორდი, მეც დავძლიე ღელვა და კულისებიდან თითქმის დისკანტის ხმით შემოვძახე "საქართველოვ, საქართველოვ, შენ გენაცვალე" სიმღერა როგორ დასრულდა არ მახსოვს. გონს მაშინ მოვეგე, როცა ედუარდმა მუჯლუგუნი მკრა და სცენაზე გამაგდო ამავე სიმღერის მეორედ სამღერლად, ძველად იტყოდნენ ჩვენი წინაპრები: თავის ქებას კიტრის ფასი აქვსო, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს სიმღერა მესამედ მამღერეს მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით. ეხლა კი ამაყად დავბრუნდი კულისებში და მეგობრებს ვეკითხები „ხომ ვარ პატარა სალარიძე"— მეთქი. ბიჭებმაც არა გამაწბილეს „ხარ, აბა, არა?". დიახ, დღემდე ბატონი ვახტანგ სალარიძე არის ჩემი კერპი და როცა მისი 80 წლის საიუბილეო წვეულებაზე გახლდით და ერთხელ კიდევ მოვისმინე მისი სიმღერა, დავრწმუნდი, რომ ვარსკვლავები არ ქრებიან.

პირველ კონცერტს მოჰყვა მეორე, მესამე და ასე შემდეგ. რეპერტუარიც გამიმდიდრდა. ეხლა უკვე ედუარდთან ერთად დუეტებსაც ვმღეროდი გიტარაზე და საერთოდ მთელი მონდომე-

ბით ჩავები ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. მაგრამ სკოლა?...სკოლაში ძალიან ცუდად მქონდა საქმე. ამიტომ, დროებით შევამცირე მუსიკალური დატვირთვები და გადავეწყვე სკოლის ცხოვრებაზე. მაგრამ ამავე წელს ერთი გარემოებით მაინც ამიფორიაქდა სული. გავიგე, რომ ფილარმონიაში ყალიბდებოდა განთქმული ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით საესტრადო ანსამბლი, სადაც ესაჭიროებათ გიტარაზე დამკვრელი მომღერალი. ბევრი ფიქრის შემდეგ გავბედე კონკურსში მონაწილეობა. დანიშნულ დღეს ფილარმონიაში საზამთრო თეატრის სცენაზე გიტარით შევასრულე ორი სიმღერა, კონკურსის შეჯამებისას ჩემი საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ფილარმონიის ერთ-ერთმა რეჟისორმა იკითხა: ეგ ბავშვი რამდენი წლისაა. რომ გაიგეს 17-ის ვიყავი, დამიბარეს და მკითხეს რომელი სკოლიდან ვარ. მეც მიამიტად დავუსახელე 35-ეფეხბურთელთა სკოლა. —ჰოდა წადი, სკოლა დაამთავრე და მერე მოდი აქ სამუშაოდ. თურმე ნუ იტყვით, ფილარმონია პროფესიონალთა ორგანიზაციაა და სკოლის დამთავრებამდე იქ არავის ღებულობენ. ასე გამიწყრა პირველად პროფესიონალებში დამკვიდრების ბედი.

50-იანი წლების თბილისში გიტარა ითვლებოდა ყველაზე მოდურ საკრავად. ერთი სურვილით იყო შეპყრობილი ქალაქის ახალგაზრდობა, რომ როგორმე ესწავლა გიტარაზე დაკვრა! ეს განწყობა განაპირობა გიტარაზე დამკვრელმა პოპულარულმა დუეტმა შალვა ჩხიკვაძემ და ვალიკო ძაგნიძემ, ედუარდ სეფაშვილმა, ვალოდია გიორგაძემ, ვალოდია ღოღობერიძემ. მათ კვალს გავყევით მომდევნო თაობა: დიდუბელი კუკური გამყრელიძე, ვერელი გივი მჭედლიძე, „პლეხანოველი" კოტე კერესელიძე, „სოლოლაკელი" ზურა ხელაია, „ვაკელი" ოთარ რამიშვილი, „სვანეთისუბნელი" გიზო დათუაშვილი, „საბურთალოელი" რეზო ურუშაძე, „ვერელი" ზურაბ რცხილაძე, „ოქროსუბნელი" სოსო ებრალიძე და სხვები. ქალებიდან გამოდიოდნენ ეთერი ჭელიძე, მედიკო გვასალია, გიული დარახველიძე, გიული ჩოხელი, უბრწყინვალესი ინოლა გურგულია და სხვები.

1954 წლის ზაფხულში გიტარაზე დამკვრელმა რეზო ურუშაძემ ჩამოაყალიბა საესტრადო ჯგუფი ცენტრალური კულტურის სახლის ბაზაზე, სადაც მიგვიწვია მე და ოლივერ ექსეულიძე, რომელსაც ჰქონდა მშვენიერი ხმა და გიტარასაც ურიგოდ არ უკრავდა. შეიქმნა,მშვენიერი სანახაობითი კონცერტი. სადაც გიტარაზე დამკვრელთა ტრიოს გარდა მონაწილეობდნენ: კონფერანსიები ფირან კვალიაშვილი და როლანდ ცაგარეიშვილი, მომღერალი ნუნუ ჟივიძე, აკორდეონზე დამკვრელი სერგო ავეტისოვი. ადმინისტრატორი იყო ვახტანგ გოჩიაშვილი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს გასტროლები სულაც არ ჰგავდა 1952 წლის გასტროლებს. ნორმალურად ვიმოგზაურეთ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. კარგ კონცერტებსაც ვმართავდით და გაჭირვებული კაცის კვალობაზე ცოტაოდენი ფულიც გავაკეთე. ეხლა ჩემი მიზანი იყო როგორმე სკოლა დამემთავრებინა.

1955 წლის აპრილი იდგა, როცა ედუარდ სეფაშვილმა საქართველოს ფილარმონიისათვის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოს შექმნა განიზრახა.

ჩემთან ერთად მოიწვია მომღერალი გიული ჩოხელი. რეპეტიციებს გიულისთან ვმართავდით, მშვენიერი და უნიჭიერესი ქალბატონის, საქართველოს სახალხო არტისტის ელენე ჩოხელის სახლში, სადაც რეპეტიციების შემდეგ კარგი სადილითაც გვმასპინძლობდა ქალბატონი ელენე. ორ თვეში ტრიო მზად იყო. ამასობში, როგორც იქნა, სკოლაც დავამთავრე. ფილარმონიის ხელმძღვანელობამ ჩვენი ტრიო დასავლეთ საქართველოში სამოგზაუროდ ჩართო რესპუბლიკის სახალხო არტისტის ემანუილ აფხაიძის ბრიგადაში. 1955 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დაინიშნა გასასინჯი კონცერტი. ეს კონცერტი ჩემი და გიული ჩოხელის პირველი ნათლობა იყო პროფესიულ სცენაზე. (ედუარდი უკვე ნამოღვაწარი გახლდათ ფილარმონიაში). ამ ღირსშესანიშნავ კონცეტრს რა თქმა უნდა ესწრებოდნენ: „პლეხანოვის“ სამეგობრო, ფეხბურთელთა

სკოლის ბიჭები და სანათესავო. წარმოიდგინეთ 1200 კაციანი ფილარმონიის საზაფხულო თეატრი სავსე იყო ხალხით. იმ დროს კი კონცერტები ყოველგვარი გახმოვანებისა და გამაძლიერებლების გარეშე ტარდებოდა. გამოდი და იმღერე. რა ვაჟკაცი ხარ, დავინახავთ. დადგა ტრიოს გამოსვლის დროც. გამოგვაცხადეს თუ არა, დარბაზში ტაშმა იქუხა. ეს რა თქმა უნდა „პლეხანოველი" ბიჭების დამსახურება იყო. მაგრამ არც ჩვენ შეგვირცხვენია თავი. ნაცვლად დაგეგმილი სამი სიმღერისა, ბისზე კიდევ ორი სიმღერა შევასრულეთ და ნათლობაც ფეხბედნიერი გამოდგა. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი, როგორც ესტრადის მსახიობების პროფესიონალური მოღვაწეობა. 50-იან წლებში ეგრედ წოდებული სოლო კონცერტები ორ განყოფილებად არ არსებობდა. რიგით მსახიობს ეთმობოდა 7-8 წუთი, ჩამოყალიბებულ ოსტატებს—20 წუთი, ხოლო კორიფეებს, როგორიც იყვნენ ვასო გოძიაშვილი., ემანუილ აფხაიძე, ა. ჟორჟოლიანი, ს. თაყაიშვილი. ა. კვანტალიანი, შ. გომელაური და სხვანი.—40-50 წუთი. ამიტომ იყო, რომ ადრე, უფრო მოდური გალა-კონცერტები იმართებოდა. ჩვენი ტრიო თანამშრომლობდა უბრწყინვალეს კომპოზიტორებთან და პოეტებთან: რევაზ ლაღიძესთან, გიორგი ცაბაძესთან, შოთა მილორავასთან, სულხან ცინცაძესთან, სანდრო მირიანიაშვილთან, პეტერ გრუზინსკისთან, ლევან ჭუბაბრიასთან, და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. მაშ ასე, ჩვენი საესტრადი ბრიგადა (ასე ეძახდნენ 50-ან წლებში) მზად იყო საგასტროლო მოგზაურობისათვის. ბატონ ემანუილ აფხაიძესთან ერთად, რომელიც საკუთარი ტელეტონების შესრულების დიდოსტატი გახლდათ, ჯგუფში იყვნენ შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები, დამსახურებული არტისტები: მერაბ გეგეჭკორი და ვუკოლ კინწურაშვილი. ოპერის თეატრიდან მშვენიერი ნუციკო მიქელაძე, ფანდურზე მომღერალი ტატიანა მახარაძე. მოცეკვავეთა დუეტი, ეკვილიბრისტი და აკომპანიატორი. ეს გასტროლები არც თუ დიდი აჟიოტაჟით, მაგრამ, მშვიდობიანად მოვიარეთ. პირველი ნაბიჯები, მაინც პირველი ნაბიჯებია და მეტს არც

ველოდით. რომ იტყვიან ნორმალური დასაწყისი იყო.

აგვისტოს დასასრულს თბილისში დავბრუნდით. სახლში მოსვლისას დამახვედრეს სამხედრო სამსახურში გაწვევის ბარათი. უკვე 19 წლის ვიყავი და რა თქმა უნდა სამხედრო კომისარიატი ჩემი ასაკის ბიჭებს ყველას უხმობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებში გასამწესებლად. აბა ვის ენდომებოდა ციმბირისა და ურალის ყინვებში წასვლა? მითუმეტეს ასეთ თბილ ქვეყანაში გაზრდილი კაცისათვის მოსალოდნელი მძიმე სურათი მეხატებოდა. ბიჭების უმეტესობა სხვადასხვა ხერხებით დაიძვრენდნენ ხოლმე თავს სამხედროში წასვლისაგან. მე კი ერთი ხერხი გამაჩნდა, სადმე გავპარულიყავი თბილისიდან, რათა სამხედრო კომისარიატს არ მოვეძებნე. ასე და ამრიგად ფიქრები გავანდე ტრიოს წევრებს გიული ჩოხელსა და ედუარდ სეფაშვილს. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადავწყვიტეთ მოსკოვს გავმგზავრებულიყავით, და იქ ესტრადაზე გვემუშავა, მაგრამ ვინ გვიცნობდა მოსკოვში? ან როგორ და სად გვეცხოვრა პირველ ხანებში, სანამ ჩვენი შრომით შევძლებდით არსებობას? მაგრამ მაინც გავემგზავრეთ. სხვა გზა არ იყო. თბილისელმა ხელოვნების მოღვაწეებმა—დავით მაჭავარიანმა, ელენე ჩოხელმა, თენგიზ კანდიდაშვილმა, გუგული ყიფიანმა და სხვებმა თავიანთ მოსკოველ მეგობრებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან გაგვატანეს ბარათები თხოვნით, რომ დახმარება აღმოეჩინათ.

ვიდრე მოსკოვს გავემგზავრებოდით, თბილისს ეწვია მოსკოვის ესტრადის თეატრი „ლურჯი ჩიტი“ ვიქტორ დრაგუნსკის ხელმძღვანელობით. ამ თეატრში მონაწილეობას ღებულობდა ქალთა ვოკალური ტრიო დები გალინა და რონა რიბაკებისა და ნადეჟდა ლოპატინას შემადგენლობით. მათი წარმოდგენების დროს ჩვენი ტრიოები ძალზე დავმეგობრდით, პირველივე წარმოდგენის შემდეგ ისინი ვახშამზე დავპატიჟეთ გიულის ოჯახში. ისეთი თბილი ურთიერთბა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის, რომ ერთ-ერთი სიმღერაც კი შევასწავლეთ, რომელიც თბილისშივე შეასრულეს და დიდი მოწონებაც ხვდათ წილად. მათი გამგზავრებისას, რა

თქმა უნდა გავაცილეთ ისინი და ერთმანეთის მისამართები და ტელეფონებიც გავცვალეთ. მოსკოვში წასვლის წინ დავურეკეთ ნადია ლოპატინას და ვთხოვეთ დაგვხვედროდა კურსკის სადგურზე, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ასე, 1955 წლის 11 სექტემბერს ჩავედით მოსკოვში, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნადიასთან ერთად დავინახეთ რონა რიბაკიც. პირველი დღე მათთან ერთად გავატარეთ. ვიდრე ბინას ვიქირავებდით, დროებით მოვთავსდით ნადიას სახლში. მუშაობის დაწყებაში რა თქმა უნდა ჩვენი მოსკოველი გოგონებიც გვეხმარებოდნენ. სულ რაღაც სამ დღეში პირველი გასინჯვაც მოგვიწყეს: ეს იყო ლეონიდ უტიოსოვის ორკესტრში! გასინჯვამ დიდი აჟიოტაჟით ჩაიარა. ერთხმად და ულაპარაკოდ ჩაგვრიცხეს მომღერლებად, მაგრამ მათთან გამოსვლა არ გვეწერა, ვინაიდან ორკესტრი ამზადებდა ახალ პროგრამას, ჩვენ კი ორ თვიანი რეპეტიციის ჩატარების საშუალება არ გვქონდა. საჭირო იყო ფინანსური საკითხის მოგვარება. ამასობაში „მოსესტრადაზე" დაირხა ხმა: თბილისიდან ჩამოვიდა ქართული ტრიო გიტარების თანხლებით, ეს მაშინ ძალზედ ორიგინალური და იშვიათი ხასიათის ნომერი იყო. ამიტომ „მოსესტრადის" სხვადასხვა ჯგუფებმა წინადადებებით აგვავსეს, რათა მათთან გვემუშავა. ყველას აჯობეს სახელგანთქმულმა კონფერანსიეებმა ლევ მირომვა და მარკ ნივოცკიმ. ასე აღმოვჩნდით ძალზე პრესტიჟულ ჯგუფში, და ჩვენი შემოსავლების ბორბალიც დატრიალდა. ამიერიდან „მოსესტრადის" მსახიობები ვართ. ბინებიც ვიქირავეთ და დაიწყო მოსკოვური ცხოვრება.

გარდა მიროვ-ნოვიცკის ჯგუფის კონცერტებისა ჩვენი ტრიო მონაწილეობდა მრავალ გალა-კონცერტებში, რომელიც მოსკოვში იმართებოდა სხვადასხვა საკონცერტო თუ თეატრალურ დარბაზებში. ვისთან ერთად არ მოგვიწია მონაწილეობის მიღება, მათ შორის რუსული თეატრის ვარსკვლავებთან: მ. ცარიოვთან, მორდვინოვთან, ზავადსკისთან, ზელდინთან, რინა ზელიონაიასთან და სხვებთან, აგერთვე საკონცერტო ესტრადის კორი-

ფეებთან: ილია ნაბატოვთან, სმირნოვ-სოკოლსკისთან, მიხაილ გარკავთან, ლევ მიროვთან და მარკ ნოვიცკისთან, კლავდია შულჟენკოსთან, პეტრე მურავსკისთან, არკადი რაიკინთან, სერგეი ობრაზცოვთან და სხვა.

ამავე პერიოდში უყურადღებოდ არც საკავშირო რადიოსა და გრამფირფიტების ჩამწერ სტუდიას დავუტოვებივართ. საკავშირო რადიომ ჩვენი სიმღერების გარდა ჩაიწერა აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ანდრეი ბაზაევის ორი სიმღერა ჩვენი შესრულებით, რომლებიც კომპოზიტორთან ერთად მოვამზადეთ. გრამფირფიტების ჩამწერმა ფაბრიკამ კი ჩვენი შესრულებით 3 ფირფიტა გამოუშვა 78 სიჩქარეზე, რაც პატეფონის სიჩქარეს უდრის. ჯერ კიდევ არ იყო შემოსული მაღალი ხარისხის რადიოაპარატურა.

1955 წლის 4 დეკემბერს მოსკოვის სვეტებიან დარბაზში დაინიშნა საკავშირო რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი, რომელიც რადიოს დღეს ეძღვნებოდა და მასში მონაწილეობისათვის ჩვენი ტრიოც მოიწვიეს. კონცერტი გადიოდა პირდაპირი ტრანსლიაციით ეთერში. და რა თქმა უნდა შევატყობინეთ ახლობლებს თბილისში. ღონისძიებამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მარტო შინაურებს კი არა, თითქმის მთელ რესპუბლიკას მოუსმენია ჩვენი გამოსვლა. მაშინ, მოგეხსენებათ ტელევიზია არ არსებობდა საქართველოში, ამიტომ მსმენელი ძირითადად რადიოს იყო მიყურადებული. ჩვენმა აქციებმა საქართველოში რაღა თქმა უნდა აიწია. თანდათან პოპულარულები ვხდებოდით. მოსკოვშიც ყველა საკონცერტო დარბაზის სასიამოვნო სტუმრები ვიყავით. ასე და ამრიგად აგვეწყო საქმეები და კმაყოფილნი ვიყავით, ერთი უსიამოვნო ფაქტი რომ არა. 1956 წლის მარტში „მოსესტრადის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბარნაულის ოლქში „მუშათა რაიონების მომსახურებისათვის“ გაეგზავნა კომკავშირულ-ახალგაზრდული საესტრადო ბრიგადა. ჩვენ, როგორც თავმდაბალი ხალხი დავთანხმდით იქ წასვლაზე. დაგვირიგეს თბილი ქურქები და ნაბდის ჩექმები. ჩაგვსვეს მატარებელში და კომფორტული მოსკოვიდან თავი გვიკრეს ყინვასა და ქარბუქში

კომკავშირული დავალების შესასრულებლად. გასტროლების დამთავრებას აღარაფერი აკლდა. როცა ერთ-ერთ დასახლებაში მოგვიწია სატვირთო ავტომანქანით გადასვლა. ედიკო სეფაშვილს ყოველგვარი მორალით ეკუთვნოდა კაბინაში დაბრძანება (მას ხომ ფეხები სტკიოდა). ასეც გადაწყდა, ედიკო — კაბინაში. მაგრამ ქართველი კაცის ბუნებას რაღა ვუყოთ? მოიკლა თავი და არ ჩაჯდა ჩვენი ძმაკაცი. ჩასვა ორი ქალი, თვითონ კი შემოსკუპდა მაღლა ძარაზე. ერთხანს კი მივდიოდით ასე ჩაკჩაკით და უცებ ამ მანქანამ ჩაარტყა რაღაც ორმოში ბორბლები, ჩვენ კი ჰაერში დავრჩით. ჰაერიდან უკან, ძარაზე დაბრუნებისას ძირითადად მეტ-ნაკლებად გადავრჩით, ხოლო ედიკომ ფეხი მოიტეხა. ასე აღმოჩნდა ჩვენი ედუარდ სეფაშვილი ბარნაულის საავადმყოფოში, სადაც დიდხანს იმკურნალა. მე და გიული ჩოხელი იქ დავრჩით. ჩვენ უარი განვაცხადეთ კონცერტში მონაწილეობაზე, მაგრამ კომკავშირულ დავალებას რა პასუხს აძლევთო, ასე გვითხრეს ჯგუფის ხელმძღვანელებმა. ამიტომ მოგვიწია გასტროლების გაგრძელება.

მოსკოვში დაბრუნებულებს ჩემი და გიულის გზებიც გაიყარა. მან მუშაობა დაიწყო მოსკოვის ერთ-ერთ საესტრადო ორკესტრში სოლისტად. მე კი მოსკოველ ქართველ ძმაკაცებთან დროსტარებას მივეძალე. ამასობაში „მოსესტრადამ" მიიღო შეტყობინება ჩემს შესახებ: რომ მე, სოსო ებრალიძე, ვარ „დეზერტირი", ვემალები სამხედრო სამსახურს და სასწრაფოდ ვარ დასაბრუნებელი საქართველოში. აბა, ვიღა გამაჩერებდა მოსკოვში, მითუმეტეს, რომ აღარც ტრიო გვყავდა. სექტემბრის შუა რიცხვები იქნებოდა თბილისისაკენ რომ გამოვეშურე. მართალი გითხრათ ძალიან მენატრებოდა სამშობლო და ახლობლები. ერთი სული მქონდა „პლეხანოვზე" გამევლო. თბილისის სადგურზე დამხვდნენ: ძმა ამირან ებრალიძე, მეგობრები თენგიზ კარტოზია, რეზო ასამბაძე, ზურაბ ვაჩნაძე, გურამ ბერია, ვოვა დავითაია, ომარ აფხაზავა, ზაურ გვარამია, რამაზ სვანიძე, გოგი თოფურიძე, ბელნაიდ ხარაძე, გენრი კეკელია და სხვები. ბიჭებს შეხვედრის

ალსანიშნავად თურმე ჩემს ოჯახში სუფრა გაეწყოთ. ერთი კვირა კარგად მოვილხინე ძმაკაცებში და შემდეგ გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში. იმ დღეებში კომისარიატში მუშაობდა სამედიცინო კომისია. გამადედიშობილეს და დამაყენეს მათ წინაშე. ერთი ექიმი, მეორე, მესამე და აღმოვჩნდი ბავშვობის ყელ-ყურის ექიმთან. ეს იყო უსათნოესი ქალი, ცისფერთვალება, მუდამ მომღიმარი, თბილი და მშობლიური ადამიანი: მან არ შეიმჩნია რომ მიცნობდა. მეც შესატყვისად გავიტრუნე. მსინჯა, მსინჯა და ყურში რომ ჩამხედა შეჰკივლა: —ამის წაყვანა არ შეიძლება. რატომ? ჰკითხეს, უპასუხა: „სმენა დაქვეითებული აქვს". მივხვდი, რომ თავი უნდა მომეყრუებინა, რაც შემდგომ კარგად გავითამაშე და ამრიგად გამომაგდეს კომისარიატიდან. გადავრჩი ჯარში წასვლას. თავისუფალი კაცი ვიყავი. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. შემდგომ რომ ვნახე ექიმი (გვარს განგებ არ ვასახელებ) და ვკითხე: რატომ დამეხმარეთ? მიპასუხა: „შენი სიმღერა მოსკოვიდან მოვისმინე და მინდა ამ საქმეს ემსახურო". ჯარში რომ წავსულიყავი, ვინ იცის რა ბედი მეწეოდა. ახლა კი, ამ კეთილი ადამიანის წყალობით ჩემს საქმიანობას გავაგრძელებ.

1956 წლის ზაფხულიდან ჩამოყალიბდა საქართველოს საესტრადო ორკესტრი გიორგი გაბესკირიას ხელმძღვანელობით. ამ ორკესტრში მოწვეულები იყვნენ: უნივერსიტეტის ვოკალური კვარტეტი ზურაბ ხელაიას ხელმძღვანელობით, სულიკო კოროშინიძე, ზურღან გემაზაშვილი, ავთო ცირეკიძე და თვითონ ზურა ხელაია. ფილარმონიის საზაფხულო თეატრში რეპეტიციის შემდეგ გავიცანით ერთმანეთი. ძალიან მომეწონა მათი კვარტეტი. განსაკუთრებით კი სიმღერები, რომელიც ზურა ხელაიას ეკუთვნოდა. ნიჭიერი ადამიანი გახლდათ ჩვენი ზურა ხელაია. ულამაზეს ჰარმონიებს პოულობდა ტკბილი მელოდიების მოსაქარგავად. ამიტომაც იყო, რომ მთელი თბილისი 50-ან წლებში მისი სიმღერებით იყო გატაცებული. ამ სიმღერების ერთ-ერთი პირველთაგანი შემსრულებელი მეც ვიყავი. ზურას ისე მოსწონდა ჩემს მიერ მისი სიმღერების შესრულება, რომ ხშირ-

ად დუეტებს ერთად ვასრულებდით.

ამასობაში ჩემი ძმა ამირანი, რომ იტყვიან „წამოიჩიტა". უკვე 16 წლის ვაჟკაცია და გიტარასაც კარგა გვარიანად აწკარუნებს. ვიდრე თბილისში არ გახლდით ბიჭების კვარტეტიც კი ჩამოუყალიბებია ომარ აღლაძის, თემურ დავითაიას, ვახტანგ ლეჟავასთან ერთად. კარგი მეგობრებიც შეუძენია ზაზა რუხაძის, დევი ჩხიკვაძისა და ლევან მირიანაშვილის სახით. რომ იტყვიან, კაცური კაცი დამდგარა, მაგრამ სკოლა ხომ უნდა დაემთავრებინა და ამიტომ ფართე ასპარეზზე გამოსვლას არ ჩქარობდა.

50-ნი წლები საერთოდ გამოირჩეოდა სტუდენტური საესტრადო ორკესტრებისა და მომღერალ-შემსრულებელთა აღორძინებით. სამედიცინო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი შოთა არაყიშვილის ხელმძღვანელობით, პოლიტექნიკური ინსტიტუტის განთქმული საესტრადო ორკესტრი იოსებ ტულუშის ხელმძღვანელობით და ვოკალური კვარტეტი გურამ ბზვანელის, თამაზ ცინცაძის, შოთა ხარაბაძის, გურამ ბაკურაძის შემადგენლობით არნახულ ანშლაგებს აკეთებდნენ, როგორც თბილისში, ასევე მოსკოვსა და ლენინგრადში. ჩამოყალიბების სტადიაში იყო „ტბიუტის" ორკესტრი, გაფურჩქვნის პერიოდი უდგებოდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის შემოქმედებით კოლექტივს. სწორედ ამ დროს მოვხვდი უცხო ენათა ინსტიტუტის შემოქმედებით კოლექტივში. დამევალა ვაჟთა ვოკალური კვარტეტის ჩამოყალიბება, რის შემდეგაც ინსტიტუტში ჩავირიცხებოდი მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ. უცხო ენათა ინსტიტუტში მისვლისას გავიცანი და შემდგომში დავუმეგობრდი საესტრადო ხელოვნების სახელოვან მოღვაწეებს: ინოლა გურგულიას, ვიოლა ჯაფარიძეს, ზაირა ხოსიტაშვილს, მედეა ძიძიგურს, მანანა და ნანა შარაშიძეებს, დიდიმ ლოგუას, რობერტ ბარძიმაშვილს, გოგი ლეონიძეს, თამაზ ფანჩვიძეს, თამაზ ჭიაურელს, ზურა იაშვილს, გოგი დოლიძეს (უფროსს) და სხვებს. პირველი რეპეტიციები კარგი შედეგით დასრულდა და ძალიან მცირე ხანში რამოდენიმე სიმღერაც შევასრულეთ კვარტეტმა: გოგი

ლეონიძემ, რობერტ ბარძიმაშვილმა, თამაზ ფანჩვიძემ და მე. ძირითადი აქცენტი ინოლა გურგულიას სიმღერებზე გვქონდა გამახვილებული. ინოლა გურგულია, ჩემი ღრმა რწმენით იყო ამ ქვეყნიური მოვლენა. იშვიათად იბადენიან ასეთი ზებუნების ადამიანები: როგორი მუსიკალობა, როგორი პოეტურობა, როგორი კდემამოსილება, ან როგორი პიროვნული თვისებები. საერთოდ დიდი იყო ინოლა, დიდი და ამიტომაც მუსიკაში ნაადრევად ჩაიფერფლა. მისი სიმღერები კი დარჩა ჩვენთან. გვატკბობდა, გვატკბობს და დაგვატკბობს მარად.

მაშ ასე, კიევის უცხო ენათა ინსტიტუტის მოპატიჟებით თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის შემოქმედებითი კოლექტივი 1957 წლის იანვარში კიევს უნდა სწვეოდა. ამისათვის ინსტიტუტში გაფაციცებით ვემზადებოდით. საესტრადო ჯგუფებთან ერთად მუშაობდა ქალთა გუნდი ირაკლი გეჯაძის ხელმძღვანელობით, მოცეკვავეთა ანსამბლი ირაკლი ორჯონიკიძის თაოსნობით. ინგლისური ენის კათედრა ამზადებდა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ ნაწყვეტს, სადაც ახალგაზრდა გოგი დოლიძე (შემდგომში კონომცოდნე და პროფესორი) ინგლისურ ენაზე რომეოს როლს ასრულებდა. ფრანგული ენის კათედრა ამზადებდა „მარგარიტა გოტიეს“ და ა. შ. ამასობაში მოვიდა გამგზავრების დროც. 100 კაციანი სტუდენტური ჯგუფი კიევს ჩაფრინდა. შეხვედრა იყო არნახულად თბილი. ძალზე ბევრი ხალხი დაგვიხვდა აეროპორტში. აქედან მოყოლებული ყურადღება არ მოუკლიათ ჩვენს კიეველ მეგობრებს. ნაცვლად დაგეგმილი ორი კონცერტისა, ჩავატარეთ 12. მე-13 კი უკრაინის ტელევიზიით ორსაათიანი ცოცხალი გადაცემა მოვაწყეთ, ე. ი. თითქმის ყველაფერი გადასცეს, რაც კიევში ჩავიტანეთ. ასე ტრიუმფალურად დასრულდა კიევის შეხვედრები.

ინსტიტუტის კოლექტივის თბილისში დაბრუნების შემდეგ მე და რობერტ ბარძიმაშვილმა რამოდენიმე კონცერტის ჩასატარებლად გადავწყვიტეთ მოსკოვში წასვლა, რათა მატერიალურად ცოტა მოვმაგრებულიყავით. ორივეს გვიჭირდა მაშინ. მე უკვე

მოსკოვის ესტრადის „ასად“ მეჭირა თავი და რობერტს ფულის გაკეთებას ვპირდებოდი. მოსკოვში ჩასვლისას შევიტყვეთ, რომ იქ იმდენი რუსული და ქართული კვარტეტი და ტრიოა, რომ ჩვენი დუეტით ვერსად ვერ გამოვჩნდებოდით. ახლა წამოსვლის ფულიც აღარ გაგვაჩნდა. რა ვქნათ, არ ვიცით. ნაცნობებს დავესესხოთ, თუ თბილისიდან დაველოდოთ გზის ფულის გამოგზავნას? ღამის გასათევი მაინც გვქონოდა. გადავწყვიტეთ დავლოდებოდით ფულს და ცოტა კიდევ გვერბინა, იქნებ სადმე მოვწყობილიყავით. ყველაფერი ამაო გამოდგა. ამიტომაც მძიმე დღეები დავიწყებას მივეცით, მაგრამ ერთი ამბავი კი სამუდამოდ ჩაგვრჩა მეხსიერებაში. მატარებლის ბილეთების შეძენის შემდეგ ერთი ჭამის ფულიღა შემოგვრჩა, ამიტომ გადავწყვიტეთ მაქსიმალურად გაგვეძლო შიმშილისათვის. იმ დროს 3 დღე-ღამეზე მეტხანს მოდიოდა მატარებელი მოსკოვიდან თბილისში. მოკლედ, ერთი დღე-ღამე ძილში გავატარეთ. მეორე დილით კარგად გეახელით, მაგრამ მესამე დღე-ღამესთვის რაღა გვექნა? იგი წვალებ-წვალებით გავათიეთ. და ზემო საწოლებიდან ერთდროულად რომ ჩავხედეთ ქვევით მაგიდას, ჰოი საოცრებავ! მაგიდაზე დევს ერთი „ბუხანკა“ შავი პური. ნამდვილი, მრგვალი. სკამზე ზის ვიღაც უცნობი მამაკაცი. არადა, თბილისამდე ათი საათი კიდევ გვაქვს დარჩენილი. დავაკვირდით იმ კაცს. ქართველს ჰგავდა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ადლერში ამოსულა, გამოველაპარაკეთ. ძია ვანო აღმოჩნდა. გორიდან, რაღა თქმა უნდა ის შავი პური მადლიერების გრძნობით შუაზე გავიყავით მე და რობერტიმ, ზედ მდოგვიც წავუსვით და სულმოთქმულებმა ჩამოვაღწიეთ თბილისს.

1957 წლის გაზაფხულიც შემობრძანდა თავისი დიდებულებით. ინსტიტუტში შესვლა და სწავლა კარგია, მაგრამ ობოლ კაცს საარსებო წყაროც გჭირდება ალბათ. ამიტომ გადავწყვიტე ფილარმონიაში გამეგრძელებინია მუშაობა. კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა გაგვიკეთა ვაჟთა ტრიო რობერტ ბარძიმაშვილის, ამირან და სოსო ებრალიძეების შემადგენლობით, მაგრამ

რამოდენიმე კონცერტის ჩატარების შემდეგ რობერტს კატეგორიულად აუკრძალა ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ფილარმონიაში მოღვაწეობა, ვინაიდან იგი უკვე მათი სტუდენტი იყო. ამიტომ მიატოვა ფილარმონია და ინსტიტუტს დაუბრუნდა. ჩვენ ავიყვანეთ მომღერალი ვარსკვლავი ვენერა მაისურაძე, გავაკეთეთ მშვენიერი ტრიო და შევუდექით ინტენსიურ რეპეტიციებს.

დრო ულმობლად წინ მიიწევდა. კონცერტი კონცერტს მოჰყვებოდა, გასტროლი გასტროლს. ერთი წელი იარსება ამ ტრიომ. ამ პერიოდის ღირსშესანიშნავი მომენტი გახლდათ გასტროლები მოსკოვში. საქართველოს ფილარმონია მოსკოვში ატარებდა ქართული სიმღერის ფესტივალს. ფილარმონიის თითქმის ყველა წამყვანი მომღერალი ჩართული იყო ამ კონცერტებში, მათ შორის ჩვენი ტრიოც. მთელი ერთი თვის განმავლობაში მოსკოვის მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის უზარმაზარ საზაფხულო თეატრში ქართული ჰანგები ჟღერდა. აგვისტო მოსკოვში წვიმიანი იცის, მაგრამ მაყურებელი ასეთ ამინდშიც არ გვაკლდა. ქოლგებდაფარებულნი იჯდნენ და ტაშის დაკვრასაც ახერხებდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქართულ სიმღერას. საქართველოს ფილარმონიის ნებისმიერი ჯგუფი ამ უზარმაზარ სივრცეში ანშლაგებით გადიოდა. ერთ-ერთი კონცერტის დროს შევიტყვეთ, რომ დარბაზში სხედან: საბჭოთა კინოს პოპულარული ვარსკვლავი, ულამაზესი, ღვთაებრივი ლიუბოვ ორლოვა და მისი მეუღლე, ცნობილი კინორეჟისორი გიორგი ალექსანდროვი. თურმე ახალი კინოფილმის „რუსული სუვენირის" გადაღება დაუწყიათ და ამ ფილმისათვის ქართული სიმღერა სჭირდებათ. რა თქმა უნდა არავინ იცის თუ რას აირჩევს თავად ალექსანდროვი. ყოველი ჩვენგანი გაორმაგებული ალმაფრენით ასრულებდა თავის სიმღერას. ტრიოს რეპერტუარში გვქონდა ზურაბ ხელაიას უმშვენიერესი სიმღერა „მაინც ჩემი გოგონა ხარ", რომელსაც არანაკლები წარმატებით რუსული ტექსტით ვმღეროდით. და აი, კონცერტის ბოლოს, კულისებში შემოდის ალექსანდროვის ასისტენტი და გვატყობინ-

ებს: რომ ხვალ დილით მზად უნდა ვიყოთ გადაღებაზე წასაყვანად. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, თვით მზეთუნახავ ლიუბოვ ორლოვას ფილმში ვიქნებით აღბეჭდილი. მეორე დილით, დათქმულ დროზე, პატარა ავტობუსით წაგვიყვანეს ვნუკოვის აეროპორტში. იქ დაგვიხვდა გადამღები ჯგუფი გიორგი ალექსანდროვის მეთაურობით. პირმშვენიერი ორლოვაც იქ გახლდათ. მან დანახვისთანავე გადაგვკოცნა, მოგვეფერა და ბევრი თბილი სიტყვაც გვითხრა.

მოვიმარჯვეთ გიტარები და ველოდებით გადაღების დაწყებას. ამ დროს რეჟისორის ასისტენტმა მიგვიყვანა თვითმფრინავ ტუ-104-თან, გვთხოვა ფეხსაცმლის გახდა, შემდეგ შემოგვასკუპა თვითმფრინავის ფრთაზე და ამგვარად გაფრენილ სიმღერასავით შევასრულეთ ზურაბ ხელაიას „მაინც ჩემი გოგონა ხარ". სიხარულითა და სიამაყის გრძნობით გამოვემშვიდობეთ ყველას და ფილმის გამოსვლის მოლოდინით ალვიჭურვეთ. მაგრამ თურმე იმედების გაცრუება გველოდა. ფილმი „რუსული სუვენირი" გამოვიდა ეკრანებზე, ჩვენი ტრიო კი არსად ჩანდა. რატომ და რისთვის ამოგვჭრეს, ან რა მოხდა და როგორ მოხდა, ეს ფილმის რეჟისორის საქმეა. უკმარისობის გრძნობა დაგვეუფლა და ყველაფერი უიღბლობას დავაბრალეთ. თუმცა ბედმა გაგვიღიმა. თბილისში დაბრუნებულებს, 1957 წლის სექტემბერში ფილარმონიაში შეგვხვდა პოპულარული კინომსახიობი აბესალომ ლორია, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი" იღებს ახალ მუსიკალურ ფილმს „წარსული ზაფხული", სადაც სჭირდებათ ბიჭების ვოკალური კვარტეტი, გვითხრა: ძმებმა დაიმატეთ კიდევ ორი ბიჭი და კინოსტუდიაში მოდით. სასწრაფოდ მოვნახეთ რობერტ ბარძიმაშვილი და გოგი ლეონიძე. მოვუყევით ეს ამბავი და მეორე დღესვე ვიყავით ფილმის დამდგმელ რეჟისორებთან ნელი ნენოვასთან, გენო წულაიასთან და ფილმის კომპოზიტორ ოთარ გორდელთან. კომპოზიტორი დაჯდა როიალთან ჩვენი მონაცემების გასასინჯად. ხუთიოდ წუთში წამოდგა, გადახედა რეჟისორებს

და თქვა: აქ გასასინჯი არაფერია, ყველაფერი რიგზე იქნება, დაუდეთ ხელშეკრულებები. ასე გავხდით ამ ფილმის ჯგუფის წევრები. გადაღება ერთი წელი ისე მიმდინარეობდა, რომ 1958 წლის ბოლომდე ფილარმონიის კონცერტებისათვის ველარ მოვიცალეთ. ეს ერთი წელი უბედნიერესი იყო ჩვენს ცხოვრებაში, და აი რატომ: სცენარის ავტორი გახლდათ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ბატონი რეზო თაბუკაშვილი. ფილმის გადაღებაში მონაწილეობდნენ ქართული თეატრისა და კინოს უბრწყინვალესი ვარსკვლავები: მედეა ჯაფარიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ბელა მირიანაშვილი, ნუნუ მაჭავარიანი, ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, იპოლიტე ხვიჩია, ბადრი კობახიძე, აბესალომ ლორია, სოსო ლაღიძე, გელა რევაზიშვილი, გახტანგ ნინუა და ჩვენი ბიჭების კვარტეტი. ამისთანა ხალხთან ურთიერთობა ნამდვილად ბედნიერებაა. 1958 წლის მთელი ზაფხული გაგრაში გავატარეთ. გადაღებები იქ მიმდინარეობდა. თითქმის ყოველ საღამოს წვეულებებზე ეპატიჟებოდნენ ეროსი მანჯგალაძეს, განუმეორებელი ქალაქური სიმღერებით უებრად მომღხენ რამაზ ჩხიკვაძეს, შესანიშნავი ტემბრის მქონე, უნიჭიერეს გოგი გეგეჭკორს და გარეგნულადაც ღიმილისმომგვრელ, იუმორით აღსავსე აბესალომ ლორიას. ჩვენი კვარტეტი რა თქმა უნდა თან ახლდა სახელგანთქმულ მსახიობთა ოთხეულს. ეროსი ომახიანად შემოგვძახებდა ხოლმე: „კვარტეტ ზამნოი"! თუმცალა ისინი გაცილებით მეტ სიამოვნებას გვანიჭებდნენ შეუდარებელი სიმღერითა და დიდი იუმორით, ვიდრე ჩვენ მათ. ამის მიუხედავად მაინც ყველგან თან გვატარებდნენ, ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარულის გამო. ამავე წლის შემოდგომაზე ფილმი უკვე ეკრანზე იყო. წარმოიდგინეთ ჩვენი „პლეხანოველი" ძმაკაცები რა გახარებული იქნებოდნენ, რომ მათი მეგობარი კინოფილმში თამაშობდა. მეც, დიდის ამბით ვიდექი კინოთეატრ „ამირანი"-ს წინ, ვითომ მართლაც უმნიშვნელოვანესი დიდი საქმე გამეკეთებინოს. რას იზამ, ახალგაზრდობაში ადამიანს ყველაფერი ახარებს. ამ დროს „პლეხანოვზე" სიცოცხლე ჩქეფდა. დაწყებული დინამოს სტადი-

ონიდან, დამთავრებული ე. წ. „ვორონცოვის" ხიდამდე მთელს გამზირზე რამოდენიმე „ბირჟა", ე. ი. თავშეყრის ადგილი იყო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა უფროსი ბიჭებისა და მომდევნო თაობის „ბირჟა". ჩვენ რომ 20-22 წლისანი ვიყავით, უფროსი თაობა 25-27 წელს იყვნენ მიღწეულნი, უმცროსები კი 18-19 წლისანი. აი ეს პატარა განსხვავებაც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ უფროსებს პატივისცემითა და თავაზიანად მოვპყრობოდით. ამ თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ: მურიკო მეგრელიშვილი, სევა ელიავა, ზურიკო კეკელიძე, სოსო ქორქოლაძე, ნოდარ ჩინჩალაძე, ჯონდო ბაღდავაძე, თეზიკო ლაზიშვილი, გურამ ჭელიძე, რობერტ ბოჭორიშვილი, ელგუჯა ჯაში, ავთო დადიანი, დევი ჩახავა, ლეო კალატოზიშვილი, გიგა ჯიბლაძე, ნოდარ სალარაძე, გურამ (აპო) აბაშიძე, ჯონი მანწკავა, ამირან ცანავა და სხვები. უმცროს თაობას წარმოადგენდნენ გულთბილი და სასიყვარულო ადამიანები: თამაზ დუმბაძე, დიკა ცქიტიშვილი, გივი ნატროშვილი, გუჯო მამაგეიშვილი, ზაურ შევარდნაძე, ჯუბა კალანდაძე, ჯუბა ცანავა, ჯემალ ჭუმბურიძე, მერაბ ცინცაძე, ლეო კალოევი, როლანდ ბოჭორიშვილი. ჩვენი თაობის ბიჭები — ვაჟა მამაგეიშვილი, ჯემალ ცერცვაძე, რეზო სოხაძე, ნერონ მამალაძე, გოგი წერეთელი, ირაკლი წულაძე, გელა ჯაფარიძე, ვაჟა ვაჩნაძე, გივი ამაშუკელი, თენგიზ ნათაძე, თამაზ ცინცაძე, თენგიზ ივანიშვილი, ვასო ბარნოვი და სხვები. „პლეხანოველთა" ეს სამი თაობა სასწაულებრივი სითბოთი და სიყვარულით ვიყავით ერთმანეთთან, რაც ჩვენი „ბირჟების" გაერთიანებაშიც გამოიხატა. დღეს 60-65 წლისანი ვართ და უკვე დიდ ხანია საერთო მეგობრობა გვაკავშირებს.

საესტრადო ორკესტრი „რერო" უკვე ჭექდა და გრიალებდა. თავდაპირველად ორკესტრში მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვოკალური კვარტეტი გურამ ბზვანელის, შოთა ხარაბაძის, თამაზ ცინცაძის და გურამ ბაკურაძის შემადგენლობით. მაგრამ პირველივე გასტროლების შემდეგ ბიჭებმა სიმღერას თავი დაანებეს და არჩიეს თავიანთი პროფესიით ემუშავათ.

კვარტეტში დარჩა მხოლოდ შოთა ხარაბაძე, რომელმაც მიგვიწვია სამღერლად მე და ჩემი ძმა ამირან ებრალიძე, აგრეთვე უნივერსიტეტელი ლერმან ლეკიშვილი. ამ კვარტეტმაც სულ რაღაც 6 თვე იარსება, ვინაიდან ლეკიშვილიც თავის ძირითად პროფესიას გაჰყვა, ხოლო შოთა ხარაბაძემ მოსკოველი ქალი ითხოვა ცოლად და საცხოვრებლად იქ გადავიდა. ამირანი კი მშვენიერი ვოკალური მონაცემების გამო კოტე პევზნერმა სოლისტად აიყვანა. საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ ერთი კაციღა დავრჩი ,,კვარტეტში". უნდა მომენახა პარტნიორები, რათა შემექმნა, უკეთეს შემთხვევაში ანსამბლი, კვარტეტი ან ტრიო.

თავდაპირველად ტრიო ჩამოვაყალიბე (ულამაზესი ხმის პატრონი — დაბალი კონტრალტო) ნუნუ ანანიაშვილთან და ომარ აღლაძესთან ერთად. ერთი გასტროლი ამ ტრიოსთან ერთად მოვიარეთ აზერბაიჯანსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. შემდგომ ნუნუ ანანიაშვილი ავად გაგვიხდა. დროებით ესტრადას ჩამოშორდა. ციმბირში გასტროლები რომ არ ჩაგვშლოდა, სულიკო კოროშინაძემ პატივი დაგვდო და ტრიოს პირველ ხმად შეემატა. პროგრამა მიჰყავდა ქართლოს კასრაძეს. ასე მოვიარეთ ციმბირის ქალაქები, რის შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო ლამაზი ხმის პატრონმა ომარ აღლაძემაც მიატოვა ესტრადა. სად იყო და სად არა ამ დროს ჩემი ძველი მეგობარი გოგი ლეონიძე გამოჩნდა ფილარმონიაში. მან ორკესტრში მუშაობის სურვილი გამოთქვა და მითხრა, რომ ჰყავს ერთი ამხანაგი, რომელსაც აქვს ლამაზი ბარიტონი. ეს ახლაგაზრდა აღმოჩნდა ანზორ ახვლედიანი. ლამაზი ხმა კი არა, სასწაულად მდიდარი ტემბრის ხმა ჰქონდა. რამოდენიმე დღეში გავაკეთეთ 4 სიმღერა და საესტრადო ორკესტრ ,,რერო"-ში მჭიდროდ მოვიკიდეთ ფეხი. 1959-60 წლებში ანსამბლში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ორკესტრი კარგად ჟღერდა. პროგრამა მიჰყავდათ ქართლოს კასრაძეს და ოთარ მჭედლიშვილს. სოლისტი მომღერლები იყვნენ: ლილი გეგელია, ეთერ ჭელიძე, ნაზი დუმბაძე, სულიკო კოროშინაძე, დიდიმ ლოგუა, ამირან ებრალიძე. მოცეკვავეები: ნელი მეზვრიშვილი, ლევან

ბერულავა, ვილი გიორგობიანი. ვოკალური ტრიო: გოგი ლეონიძე, ანზორ ახვლედიანი და სოსო ებრალიძე. კონცერტები დიდი ოვაციებით მიდიოდა. მთელი ერთი თვის განმავლობაში ჯერ მოსკოვში და კიდევ ერთი თვე ლენინგრადში საზაფხულო თეატრების სცენაზე საქართველოს საესტრადო ორკესტრის „რეროს" კონცერტები ანშლაგებით იმართებოდა. მაყურებელთა უმეტესობა ერთხელ დასწრებას არ კმარობდა, უეჭველად მეორედაც მოდიოდნენ. მართლაც კარგი პროგრამა გვქონდა იმ დროისათვის. შემსრულებლებთან ერთად ამ დიდი მოწონების ავტორი იყო ორკესტრის ხელმძღვანელი და კომპოზიტორი ბატონი კონსტანტინე პევზნერი. მან რა თქმა უნდა ბევრი შესძინა ქართულ ესტრადას. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდობა აღიზარდა ამ ორკესტრში. თავი არხეინ ცხოვრებას მივეცით. მშვენიერი გასტროლები, კარგი ქალაქები, დიდებული სასტუმროები, გემრიელი სმა-ჭამა და თანაც ირგვლივ ლამაზი გოგონები. მეტი რაღა უნდა ახალგაზრდა კაცს. დრო კი ულმობლად წინ მიიწევდა. ახალგაზრდობაში გვეჩვენება, რომ დრო ნელა მიდის. სიბერეში კი ველარაფერს ვასწრებთ.

1960 წლის აპრილია. ჩვენი ორკესტრი მოსკოვის ესტრადის თეატრში შუროვ-რიკუნინის პროგრამაში მონაწილეობს. ერთერთი კონცერტის დროს ჩემთან მოვიდა ძველი მეგობარი შოთა ხარაბაძე, რომელიც ოლეგ ლუნდსტრემის ჯაზში მღეროდა და შემომთავაზა მათთან გადასვლა. დიდი სიამოვნებით დავეთანხმე, მხოლოდ ეთიკური ნორმების დაცვა აუცილებლად მიმაჩნდა, ე. ი. ორკესტრში უნდა მომეყვანა შემცვლელი და მერე მომეცემოდა მორალური უფლება გადავსულიყავი ცნობილი ვოკალური კვარტეტის „აკორდის" წევრად. მართალია, კოტე პევზნერიდან დაწყებული და ჩვენი რადისტით, რობერტ მურადოვით დამთავრებული, ყველას ეწყინა ჩემი ორკესტრიდან წასვლა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ნომერ პირველ ჯაზ-ორკესტრში გადასვლის სურვილი, რომ ვერაფრით ვერ შემაცვლევინეს გადაწყვეტილება. სულ 10 დღე დამჭირდა თბილისიდან ჩამომეყვანა მომღერალი

თემურ ცაგარელი, მესწავლებინა ჩემი პარტიები და სუფთა სინდისით მათ გამოვთხოვებოდი. ეს იყო 1960 წლის 19 აპრილი. მე კვლავ მოსკოვში ვარ სამუშაოდ. ეს შესანიშნავი ჯაზ-ორკესტრი დაკომპლექტებული ბრწყინვალე მუსიკოსებით: ნიკოლოზ კაპუსტინით, გიორგი გარანიანით, ვლადიმერ ჩიჟიკით, ალიოშა ზუბოვით, კოსტია ბახოლდინით და სხვებით დაამშვენებდა ნებისმიერ ორკესტრს. ამას დაუმატეთ მშვენიერი მომღერლები: მარინა დიჩლევა, ვალენტინა დვორიანინოვა, დიმიტრი რომაშკოვი, ანა არსენიანი, კვარტეტი „აკორდი", მოცეკვავეთა დუეტი ვ. ხვოროსტოვი და ე. მიგიროვი, კონფერანსიე ალექსანდრე ლონგინი. ერთი სიტყვით, იმ დროისათვის ეს იყო სანახავად შესანიშნავი და მოსასმენად საუცხოო საკონცერტო ანსამბლი. ამიტომაც ყოველ დღე, ნებისმიერ ქალაქში ორ-ორი სეანსი იმართებოდა, თანაც უმეტესწილად სპორტის სასახლეებში. ერთ-ერთი ასეთი გასტროლი თბილისშიც გაიმართა. 10 დღის განმავლობაში სპორტის სასახლეში ჩატარდა 16 კონცერტი. გარდა ლუნდსტრების ორკესტრის პოპულარობისა, მაყურებელთა ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ ამ ორკესტრში ვიყავით ორი ქართველი მე და შოთა ხარაბაძე. სპეციალურად, თბილისის გასტროლებისათვის ჩვენმა კვარტეტმა მოამზადა კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სიმღერა „თბილისის ღამე". ამ გასტროლებმა თბილისში ტრიუმფით ჩაიარა. მეტ წილ კონცერტებზე „თბილისის ღამეს" ორჯერ გვამღერებდნენ. ასე და ამგვარად ამ ორკესტრში მუშაობის სასიამოვნო წელიწადნახევარმა სწრაფად გაიარა. უკვე ცოლიანი ვიყავი და ადრე თუ გვიან სახლში უნდა დავბრუნებულიყავი. ამის მიზეზიც მალე ერთმა შემთხვევამ განაპირობა: მოსკოვის მეტროს ესკალატორზე შემთხვევით შევხვდი თბილისელ მეგობრებს სევერიან ცაგარეიშვილს და ადიკა ოვანოვს. თურმე მათ, მოსკოვში ჩამოუყვანიათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი და მართავენ კონცერტებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ადიკა ოვანოვი მეუბნება: როდემდის უნდა იყო მოსკოვ-

ში, თბილისში ხომ უნდა დაბრუნდეო. წამოდი ჩვენს ორკესტრში, ვოკალური კვარტეტი შექმენი, ინსტიტუტშიც მოგაწყობთ, თანაც სახლში იქნები. მომეწონა მათი აზრი, შევპირდი, წლის ბოლომდე ჩავიდოდი. მართლაც, განვუცხადე ორკესტრის ხელმძღვანელობას წასვლის შესახებ და ამიტომ საბოლოო გასტროლის დროს ლენინგრადში წამოიყვანეს ჩემი შემცვლელი ვადიმ ლინდოვსკი. იქ ყოფნის განმავლობაში ვასწავლე გიტარაზე რამოდენიმე აკორდი აკომპანიმენტისათვის, ავათვისებინე პარტიები. ჩავაყენე ჩემს მაგიერ ანსამბლში. შემდეგ გამოვემშვიდობე ყველას და თბილისისაკენ გამოვეშურე.

1961 წლის დკემბრიდან იწყება ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ეტაპი. თბილისში ჩამოსვლისთანავე მოვინახულე გოგი ლეონიძე. ავუხსენი ჩამოსვლის მიზეზი და გავაცანი მომავლის მიზნები. გოგის ფანტასტიკურად უყვარდა მუსიკა. კარგად ესმოდა ჯაზი, ამავე დროს ოპერის დიდი მოყვარულიც გახლდათ. აბსოლუტური სმენის მქონე კაცი, უზადოდ ფლობდა ფალცეტით სიმღერის ხელოვნებას. კაცად-კაცი ხომ შეუდარებელი იყო. სითბო და სიყვარული გამოსჭვივოდა მისი არსებიდან. მოკლედ, ღირსეული ქართველი რაინდი გახლდათ. იგი სიხარულით შეხვდა ჩემს გეგმებს და მაშინათვე გავეშურეთ ანზორ ახვლედიანის სანახავად. ანზორი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ამთავრებდა. ნახვის შემდეგ ჩვენ უკვე სამნი ვიყავით. გვაკლდა კიდევ ერთი კაცი. ამ ერთი კაცის ძებნაში და შერჩევაში ლამის ერთი თვეც გავიდა. ახალი წლის წინა დღეებში გასტროლებიდან ჩამოვიდა ჩემი ძმა ამირანი. იგი მარეხ გოძიაშვილის ტრიოში მუშაობდა და საზღვარგარეთ იყო გასტროლებზე. არც გვიფიქრია მის გადმოსვლაზე ჩვენს კვარტეტში, რადგან მშვენივრად მუშაობდა მაშინ ეს ტრიო, საზღვარგარეთაც მოგზაურობდნენ, მატერიალურად წელში გამართულები იყვნენ, ჩვენ კი ახალ საქმეს ვიწყებდით, თანაც სტუდენტობას ვაპირებდით და მატერიალური საკითხის მოგვარება ღიად გვრჩებოდა. ყოველივე ამის მიუხედავად ამირანი ჩვენთან გადმოვიდა. რა თქმა უნდა ეს განა-

პირობა მუსიკის უდიდესმა სიყვარულმა. ამირანი ჯაზური მუსიკის მოსმენაში იძინებდა და იღვიძებდა, მთელი დღე შეეძლო მისთვის დაეთმო და ესმინა. თვითონაც კარგად ფლობდა გიტარას, როიალს და საყვირზე დაკვრას. 22 წლის ყვაწვილი კაცი ერთ-ერთ შესანიშნავ ჯაზმენად იყო ცნობილი. ამიტომ ახალ ჰარმონიებში ცურვის სურვილმა უარი ათქმევინა მატერიალურ ფუფუნებაზე და დიდი მონდომებით ჩაერთო ამ საქმეში.

პირველ რეპეტიციებს ქართლოს კასრაძის მამის — დავით კასრაძის სახლში ვატარებდით. მაშ ასე, 1962 წლის იანვარში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში (ახლანდელი სამედიცინო აკადემიის საავადმყოფო) გაიმართა კონცერტი, სადაც ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადიკა ოვანოვი გამოდიოდა ახალი ვოკალური კვარტეტი „დიელო“ გოგი ლეონიძის, ანზორ ახვლედიანის, ძმები სოსო და ამირან ებრალიძეების შემადგენლობით. სხვა სიმღერებთან ერთად ჩვენი სავიზიტო. ბარათი გახლდათ კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის სიმღერა „ისევ ის ბიჭი ვარ“, რომელიც ავტორმა თვითონ შეგვასწავლა.

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს სიმღერა ბისზე კიდევ ორჯერ შევასრულეთ. ქალაქში ხმა დაირხა, რომ გაჩნდა ახალი ფენომენალური ვოკალური კვარტეტი, რომელიც ჯაზურ მუსიკასთან ერთად, ქართულ საესტრადო სიმღერას უმაღლეს დონეზე ასრულებდა. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, სტუდენტები გავხდით. მაგრამ ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებას დიდი ხანი არ ეწერა. ეკონომიკურმა მდგომარეობამ თავი იჩინა: მე აღარ მყავდა მამა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ფილარმონიის კონცერტებში მონაწილეობის უფლებას არ გვაძლევდა, ჩვენ კი სწავლასთან ერთად ცხოვრებისათვის საარსებო წყარო გვინდოდა. სიმღერაში ფანატიკურად შეყვარებულებს სხვა სამუშაოს შესრულება გვიჭირდა. მითუმეტეს რომ ვგრძნობდით ამისთანა გატაცებას კარგი მომავალი უნდა ჰქონოდა. ასე იყო თუ ისე, 1962 წლის მარტში ფილარმონიაში ამოვყავით თავი. ფილარმონიის თავკაცი

გახლდათ ბატონი გუგული ყიფიანი. როგორც ვთქვით 1955 წელს აპოლონ (გუგული) ყიფიანი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალურ დირექტორად. მაშინ ფილარმონიაში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა. მოვიდა კაცი, რომლის დანახვაზე სიყვარულისა და მოწიწების ჟრუანტელი გვივლიდა ყველას. ეს იყო ახოვანი, ლამაზი და რაც მთავარია თბილი და სიყვარულით აღსავსე ადამიანი, უნიჭიერესი პიროვნება, გამჭრიახი გონების მქონე, დიდაქტიკოსი და ბრწყინვალე ადმინისტრატორი. აგრეთვე შესანიშნავი მუსიკალური სმენისა და გემოვნების პატრონი. ბატონმა გუგული ყიფიანმა 1955-1977 წლების განმავლობაში არნახულად ააყვავა არა მარტო ქართული ესტრადა, არამედ კამერულ-სიმფონიური ჟანრიც. წარმოიდგინეთ, ფილარმონიაში გაერთიანებული იყვნენ: საქართველოს სახელმწიფო-სიმფონიური ორკესტრი, საგუნდო კაპელა, კამერული ორკესტრი, სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო ტრიო, საქართველოს ცეკვის აკადემიური ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი, ფოლკლორული ანსამბლი „თბილისი", ანსამბლი „გორდელა", კირილე ვაშაკიძის ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ამირან შალიკაშვილის პანტომიმის თეატრი, თენგიზ ჩანტლაძისა სატირისა და იუმორის თეატრი, საესტრადო ორკესტრი „რერო", ვოკალურ-ინსტრუმენტალური ამსამბლები: „დიელო", „ორერა", „ციცინათელა", „ივერია" „ლალე", „ენგური" და მრავალი სხვა ჯგუფი.

აქვე მინდა მცირეოდენი მიმოხილვა გავაკეთო ქართული ესტრადის წარსულის შესახებ, რომელსაც ისტორიის არავითარი პრეტენზია არ გააჩნია. შევეხები მხოლოდ იმას, რაც გადმოცემით ჩემს მეხსიერებაში დარჩა. უფროსი თაობისაგან მსმენია, რომ 1937 წელს მოსკოვში გამართულა ესტრადის მსახიობთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიუღია ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს: ვასო გოძიაშვილს და ოლღა დოლიძეს, რომლებსაც ასევე სახელოვან არკადი რაიკინთან ერთად პირველი

ადგილები გაუნაწილებიათ. 30-იანი წლების დასასრულს თბილისში არსებულა ჯაზ-ორკესტრი სერგეი ბაბოვის ხელმძღვანელობით, სადაც მღეროდნენ ცნობილი მსახიობები: ქეთო ჯაფარიძე, ბათუ კრაველიშვილი, მერი ნაკაშიძე და სხვა ქართველი შემსრულებლები. საქართველოს რადიოს ჰყოლია ჯაზ-ორკესტრი რევაზ გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო კარგად, თავად ნანახი, ომისშემდგომი პერიოდი მახსოვს. 40-იანი წლების დასასრულს საქართველოს რადიოს ჯაზ-ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები, ნიკოლოზ გუდიაშვილი და დავით თორაძე. ეროვნულ საწყისებზე აგებული მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები მსმენელს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ამ დროს საქართველოს ფილარმონიაში არსებობდა ერთადერთი საესტრადო ჯგუფი, რომელიც მართავდა კონცერტებს თბილისის სხვადასხვა პარკებში, ეს იყო „გოფილექტი“, „მუშტაიდი“, „მთაწმინდა“ და რა თქმა უნდა „პლეხანოვზე“ მდებარე „არტოს“ ბაღი. სწორედ „არტოს“ ბაღიდან მახსოვს საესტრადო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალი მერი შილდელი, ფანდურზე დამკვრელი ეთერ კაცობაშვილი. იმიტატორი ვალოდია მინდიაშვილი, ორიგინალური ჟანრის მსახიობები ფიოდოროვა და ვაროდისი, ეკვილიბრისტი ჩესნოკოვი, აკრობატთა წყვილი გურამ გარსევანიშვილი და პატარა ნონა, მშვენიერი კონცერტმეისტერი ევგენია აგაბეკოვა, და „გიტარისტების“ დუეტი, ჩვენი თაობის საყვარელი მსახიობები ძაგნიძე და ჩხიკვაძე.

არნახული ავტორიტეტი შეუქმნა ბატონ ყიფიანის პიროვნებამ, საქართველოს ფილარმონიას. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ ნიჭიერი, ხელოვნების სახელოვანი მოღვაწეები: გიორგი ცაბაძე, სანდრო მირიანაშვილი, ოთარ თევდორაძე, ადიკა ოვანოვი, გაიოზ ქართველიშვილი, ოთარ პაპიტაშვილი, ვახტანგ პატარიძე, ვახტანგ გოგოლაშვილი, ჯემალ ანჯაფარიძე, ნიაზ დიასამიძე, რევაზ წულუკიძე, ბაჯული გელოვანი, დიდი ჯანო ბაგრატიონი და სხვები.

60-იანი წლების ქართულმა ესტრადამ მაღალ მწვერვალებს მიაღწია. ამ სიმაღლეების ერთ-ერთი დამპყრობთაგანი ჩვენი „დიელოც“ იყო. ფილარმონიის სამხატვრო საბჭომ მოგვისმინა და ტაში შეგვაგება. შემდეგ გაიმართა სჯა-ბაასი „დიელოს“ პერსპექტივაზე. ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარი და ბატონი გუგული ყიფიანი სიხარულით გაიბადრა. თურმე მოსკოვიდან ურეკავს თავისი უახლოესი მეგობარი, საქართველოს საამაყო მამულიშვილი, მსოფლიო დონის მომღერალი, უსაყვარლესი და უტკბილესი ადამიანი, საქართველოს სახალხო არტისტი, დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი დავით გამრეკელი. ბატონ დათიკოს მოუსურვებია აპრილის თვეში დასავლეთ საქართველოს ქალაქებში კონცერტები და გუგულის სთხოვს, რომ შეუკრიბოს პატარა ჯგუფი და დაუგეგმოს კონცერტები. გუგულიმ იმ წამსვე ამცნო, რომ აქვე ჰყავს ახალი კვარტეტი „დიელო“, დაუმატებს ქართლოს კასრაძეს და ხვალვე შეუძლია დაიწყოს მუშაობა. მართლაც ორ დღეში ჩამობრძანდა ბატონი დავით გამრეკელი თბილისში. მესამე დღეს კი გავემგზავრეთ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით კონცერტების ჩასატარებლად. ეს კონცერტები ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, დავით გამრეკელთან ერთად მოგზაურობა მუსიკალურადაც და პიროვნულადაც გზრდის. ის ხომ მატიანეა საოპერო ხელოვნებისა, მეორეც, ჩვენი ანსამბლის პროფესიონალურ დავაჟკაცებას უწყობს ხელს. ჩვენს გარდა ჯგუფში იყვნენ ქართლოს კასრაძე, კონცერტმეისტერი ნინო არდიშვილი და ფილარმონიაში ახლადმოსული ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე. იმის მოყოლა, თუ როგორ ჩავატარეთ კონცერტები, განმარტება ზედმეტად მიმაჩნია, რადგან თავისთავად ცხადია, რომ ბუმბერაზი და განუმეორებელი მომღერლის ჯგუფში მუშაობა ყველასათვის პრესტიჟულია. გაგიმხელთ: ყოველ საღამოს ბანკეტები იმართებოდა. აქედან მიხვდებით როგორ ჩაივლიდა გასტროლები, მაგრამ ერთი გულსატკენი ამბავი მაინც შეგვემთხვა. გასტროლების დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე ჩვენმა მეოთხე ხმამ, ანზორ ახვლედიანმა გვაუწყა,

რომ ინსტიტუტიდან რიცხავენ და სასწრაფოდ უნდა წავიდეს. ჩვენ კი რა თქმა უნდა უკვე გარიცხულები ვყოფილვართ. პირველი კურსიდან გარიცხვას ვინ ჩიოდა, როცა ანზორი ბოლო კურსს ასრულებდა. სხვა გზა არ იყო და ანზორ ახვლედიანი თბილისში ადრე გამოვუშვით. იმ დღეს კონცერტზე სამმა ვიმღერეთ. ძალიან დავნაღვლიანდით შექმნილი სიტუაციის გამო. ასეთ მეოთხე ხმას სადღა მოვძებნიდით. ანზორის, რომ იტყვიან „გოდრით ბანი" ჰქონდა. მეორე დილით ჩვენს ოთახში შემოდის ქართლოს კასრაძე და გვეუბნება: ბუბამ თქვა მე გამსინჯონო. ერთმანეთს გადავხედეთ: სად კვარტეტი და სად ბუბას კუბური სიმღერა „ოპო, როზი" ან „ბონა სიერა სინიორიტა". მაშინ ვახტანგის სიმღერა მაინც და მაინც არ მოგვწონდა და ამიტომ მასზე არც გვიფიქრია. დავთანხმდით გასინჯვაზე და ხუთ წუთში ბუბა უკვე ჩვენთან იყო. დავიწყეთ „ისევ ის ბიჭი ვარ" სიმღერის გაკეთება. ვასწავლით მეოთხე ხმას, მაგრამ ბუბა ძლიერ ღელავს, საკუთარი ინდივიდუალობაც ხელს უშლის, ანსამბლურობა ირღვევა. მოგეხსენებათ კვარტეტში არ არსებობს სოლისტი. იმ დღეს ბევრი „ვირეპეტიციეთ", მაგრამ კონცერტზე მაინც სამნი გამოვედით. ბანკეტზე წასვლაზე უარი განვაცხადეთ და მთელი ღამე „ვრეპეტიციობდით". მეორე დღეს ბუბამ „ცოტა გამოასწორა". მონდომება და ნიჭი თავისას აკეთებს. ასე ნელ-ნელა შემოვიდა ჩვენს რეპერტუარში, ხმის დაჭერაც კვარიანად შეძლო.

თბილისში ჩამოვედით „ახალი" მეოთხე ხმით. თურმე განგებამ ასე ისურვა. ბუბასთან ერთად უნდა მოგვემკო დიდების სახელი. თბილისში დაბრუნებულებს ბატონმა გუგული ყოფიანმა სიურპრიზი დაგვახვედრა: სხვა მსხიობებთან ერთად უნგრეთში გვიშვებდა გასტროლებზე. წამსვლელთა დიდი ჯგუფი შედგა. ჩვენი კვარტეტის „დიელოს" გარდა მასში იყვნენ: ოპერის მომღერლები თენგიზ ზეინკლიშვილი, დინა ჭითავა, ბალეტის მოცეკვავე ირინა ქებაძე, მხატვრული კითხვის ოსტატი ნინო ზედგენიძე, კონცერტმეისტერი ევგენია აგაბეკოვა, ესტრადის მომღერლები ლილი გეგელია, ვენერა მაისურაძე, კონფერანსიე-

ბი მერაბ ყიფიძე, მიხეილ ხერხეულიძე და რეჟისორი გაიოზ ქართველიშვილი. დიდი აჟიოტაჟი უნგრეთში ამ გასტროლებს არ გამოუწვევია. იგი ნორმალურ დონეზე ჩატარდა და კმაყოფილები დავბრუნდით თბილისში. ამ დროს ესტრადაზე მკვიდრდებოდა ახალი მოდა: პოპულარული ანსამბლები და სოლისტები ორგანყოფილებიან სოლო-კონცერტებზე გადადიოდნენ. თბილისში დაბრუნებისთანავე შევუდექით ერთგანყოფილებიანი სოლო კონცერტის მომზადებას. ამისათვის ავიყვანეთ მცირე ფორმის ორკესტრი, პიანინოზე დამკვრელად მოვიწვიეთ ალექსანდრე ბასილაია, რომელმაც გააორკესტრა ჩვენი სიმღერები და ერთსაათიანი პროგრამა ერთ თვეში მზად გვქონდა. ახლა საჭირო იყო პირველი განყოფილების გაკეთება. გადავწყვიტეთ ვიდრე მეორე განყოფილებასაც მოვამზადებდით, პირველ განყოფილებაში მეუღლეები მოგვეწვია, ვინაიდან მათ ყველას შეეძლოთ სიმღერა, ხოლო ამირანის მეუღლე ემა ანდრონიკაშვილი საერთოდ ოპერის მომღერალი გახლდათ. ასე შეიქმნა ჩემი მეუღლის ლანა ებრალიძისა და გოგი ლეონიძის მეუღლის ადა ერისთავის დუეტი. ამას დაუმატეთ ალექსანდრე ბასილაიას მეუღლე ლუიზა კობალაძე, ემა ანდრონიკაშვილი, მოცეკვავეთა დუეტი: დემონ შუბლაძე, კობა ანდღულაძე, პოპულარული კონფერანსიეები ქართლოს კასრაძე და ოთარ მჭედლიშვილი. მშვენიერი კონცერტი გამოგვივიდა. პირველი განყოფილება მიდის კარგად. მეორე განყოფილება კიდევ უფრო კარგად წარიმართა. პირველი გასვლა საქართველოში გვქონდა. ჩავატარეთ 50-მდე კონცერტი. დიდი მოწონება დავიმსახურეთ და ფილარმონიას გვარიანი ფინანსური მოგებაც მოვუტანეთ. ამას მოჰყვა ორთვიანი გასტროლები ციმბირის ქალაქებში: ომსკში, ტომსკში, სვერდლოვსკში, უსტ-კამენოგორსკში, მეევსკში, ნოვოსიბირსკში, ირკუტსკში, რომელიც დაგვიგეგმა და ჩაატარა ჩვენმა სახელგანთქმულმა იმპრესარიომ, საყვარელმა და საოცრად კეთილშობილმა კაცმა სერგო გიორგობიანმა. ციმბირის ქალაქებში ვიმოგზაურეთ 45 დღე. ჩავატარეთ 60 კონცერტი. ამ გასტროლების დროს ქალაქ უსტ-

კამენოგორსკში შევხვდით ჩვენი თანამემამულის რეჟისორის ოუბა თუმანიშვილის ვაჟიშვილს მიშა თუმანიშვილს, რომელიც თავის მეგობართან, ვალოდია ვისოცკისთან ერთად ჩამოსულიყვნენ არაოფიციალური კონცერტების გასამართავად. ე. ი. პატარა ფულის გასაკეთებლად. ჩვენი შეხვედრა დასრულდა მთელი ღამის ქეიფით, სადაც უსაზღვრო სიყვარული ჩამოყალიბდა მიშა თუმანიშვილის, ვალოდია ვისოცკისა და ჩვენს „დიელოს“ ბიჭებს შორის. ჩვენს სიმღერებს ვისოცკი სულ თვალცრემლიანი უსმენდა. თავადაც ბევრი იმღერა, დიდი სიამოვნება მოგვიტანა და მეორე დილას ჩვენი გზები გაიყარა სხვადასხვა მიმართულებით. ასეთია ესტრადის მოხეტიალე მსახიობის ცხოვრება.

გასტროლებს დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი, რის გამოც ინიშნებოდა დამატებითი კონცერტები. ყოველივე ამან ამ ქალაქებში ხელმეორედ მიწვევის გარანტიები მოგვცა, მაგრამ ჩვენ ჩვენი გეგმები გაგვაჩნდა. აუცილებლად უნდა მოგვემზადებინა ორგანყოფილებიანი სოლო კონცერტი, რათა მთლიანად გამოგვემჟღავნებინა ჩვენი შესაძლებლობანი.

ძირითად მოვალეობასთან ერთად ყოველი ჩვენთაგანი ფლობდა სხვადასხვა ინსტრუმენტს. ანსამბლში ერთობრივი სიმღერის გარდა საკმაოდ კარგად ვასრულებდით სოლო-სიმღერებს, ამიტომ ყველაფერი სცენაზე უნდა წარმოჩენილიყო. ამ დროისათვის ჩვენი მეგობრები, ანსამბლ „ორერას“ ბიჭები, რობერტ ბარძიმაშვილი, ნანი ბრეგვაძე და ბაჯული გელოვანი უკვე ორგანყოფილებიანი სოლო კონცერტებით მოღვაწეობდნენ. პაექრობის სურვილი და ინტერესი ჩვენს შორის დიდი იყო. იმ დროს ანსამბლი „ორერა“ საკონცერტო სანახაობით მხარეს მეტ დროს უთმობდა, მელოდიურ სიმღერებს ჰარმონიული პოლიფონიით არ ტვირთავდა. ჩვენი ანსამბლი „დიელო“ კი მელოდიურობასთან ერთად პოლიფონიური ჰარმონიების განძაფრებით, ჯაზური მუსიკის ელემენტების გამოჩენით ცდილობდა ხელწერა ეჩვენებინა და საკუთარი გზა გაეკაფა. მუსიკაში გვაინტერესებდა ნიუანსები და ჰარმონიის ტალღებზე ცურვა, რაც შემდგომ პერიოდში მიღ-

წეულ იქნა კიდეც. ამ გზის არჩევანში დიდი დამსახურება მიუძღვის ამირან ებრალიძეს (არა იმიტომ რომ იგი ჩემი ძმაა). მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მაშინ 22 წლის იყო, ბრწყინვალედ, სრულყოფილად ერკვეოდა ჯაზური მუსიკის სამყაროში. ჰარმონიულობის უდიდესი გრძნობა, სინკოპების უზადო შესრულება, პოლიფონია მის სტიქიას წარმოადგენდა, შესანიშნავად ფლობდა საყვირზე დაკვრას, როიალი და გიტარა ჩახუტებული „ძმებივით" ჰყავდა. ერთი სიტყვით მეტად ძლიერი და ნიჭიერი მუსიკოსი გახლავთ დღესაც. ამასობაში ჩვენი ბუბა კიკაბიძე როგორც მთლიანი სხეულის განუყოფელი მაწილი ისე შეგვედუღაბა. ერთი თქმა და სიმღერაც „ჩახუჭუჭებულია". აქაც მისმა დიდმა ნიჭმა თავისი სიტყვა თქვა. თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა ერთი თვე. ჩვენ თითქმის მზად ვართ, მაგრამ ეს თითქმის გვიშლის ხელს. გადავწყვიტეთ ბოლო რეპეტიციები ღამის 12 საათზე დაგვეწყო დილის 6-7 საათამდე, შემდეგ გამოგვეძინა. ამ პროგრამაში აკომპანიმენტს გვიწევდნენ თბილისელი მუსიკოსები — ინსტრუმენტული კვარტეტი — ვაჟა ჩაგანავა (გიტარა) ლევონ ეგიაზაროვი (როიალი) ჰენრი გასპაროვი (კონტრაბასი) და ვანიკ არუთინოვი (დასარტყმელი ინსტრუმენტი). სამ დღეში მზად ვიყავით. დადგა ჩვენი პროგრამის ჩაბარების დღეც. საქართველოს ფილარმონიის სამხატვრო საბჭო გვეწვია ბესიკის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ძერჟინსკის კლუბში, მათთან ერთად რაღა თქმა უნდა მთელი ფილარმონიის თანამშრომლები. 500 კაციანი დარბაზი რას დაიტევდა ამდენ ხალხს. ამიტომ ნაწილი ფოიეში დარჩა და ღია კარებებიდან გვისმენდნენ. პირველი სიმღერა და პირველი ტაში, მერე მეორე, მესამე, მეოთხე. აღტაცება შესაბამისად მატულობდა და ბოლოს გადაიზარდა დიდ ოვაციებში. როგორც საზეიმო ფეიერვერკი, ისე დავასრულეთ ჩვენი კონცერტი, რომლის შემდეგ რაღა თქმა უნდა ბევრი მოლოცვები და სურვილები მივიღეთ, მაგრამ ერთი მათგანი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა: „ბიჭებო! რა მაგრად მღერით" — ეს იყო ჩვენი მოპაექრე ანსამბლის ხელმძღვანელი რობერტ

ბარძიმაშვილი. მას გულწრფელად გაუხარდა ჩვენი წარმატება, მაგრამ დანაღვლიანდა კიდეც. მესამე დღეს მოსკოვს გავფრინდით საახალწლო კონცერტებში მონაწილეობისათვის. 15 იანვრამდე გავმართეთ 30 კონცერტი. ჩვენს გამოსვლებს დაესწრნენ საკავშირო კულტურის სამინისტროს და სახელმწიფო კონცერტის წარმომადგენლები, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ ჩვენი „დიელო" 1964 წლის ოქტომბერ-დეკემბერს გაემგზავრებოდა გასტროლებზე აფრიკის ქვეყნებში. მანამდე კი კიდევ რვა თვე იყო დარჩენილი. დავბრუნდით თბილისში და 20 იანვრიდან საკონცერტო სცენებზე და თეატრებში დავიწყეთ პროგრამის წარმოდგენა. იმ დროს დიდი საკონცერტო დარბაზი არ არსებობდა. ზამთარში კონცერტების მოწყობა ძალზე ჭირდა. თეატრები ფილარმონიისათვის თავის სცენას არ იმეტებდნენ, მაგრამ ჩვენი დიდი მამობილი ბატონი გუგული ყიფიანი შეუდრეკელი კაცი გახლდათ და საწადელსაც მიაღწია. ჩვენი გამოსვლები დაინიშნა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში და დერჟინსკის სახელობის კლუბში. არნახული წარმატებებით ჩაიარა თბილისში მოწყობილმა კონცერტებმა. დასწრების მსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ დაინიშნა დამატებითი კონცერტები და მაინც ხალხს ვერ იტევდა ვერცერთი დიდი დარბაზი. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს იმდენი მაყურებელი მოაწყდა, რომ საჭირო შეიქნა ცხენოსანი მილიციის გამოძახება.

ანსამბლ „დიელოს" წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორებმა: გიორგი ცაბაძემ, შოთა მილორავამ, ოთარ თევდორაძემ, სანდრო მირიანაშვილმა, ამ გამარჯვებას ჩვენთან ერთად ინაწილებდა ანსამბლის სოლისტი, ერთადერთი მშვენიერი ქალბატონი, ულამაზესი კონტრალტოს ხმის მქონე ვენერა მაისურაძე. კონცერტში აგრეთვე მონაწილეობდნენ კონფერანსიეთა წყვილი ჰერაბ ჟივიძე და მიხეილ ხერხეულიძე, რომელთა სატირულ-იუმორისტული გამოსვლები მაყ-

ურებელმა გულთბილად მიიღო. კონცერტებზე დამსწრეთა შორის იყვნენ ხელოვნების მოღვაწენიც. ერთ-ერთ ასეთ კონცერტს დაესწრო ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი. კონცერტის დამთავრების შემდეგ იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. იმავ წუთს ამოვიდა ჩვენთან და გვამცნო, რომ მიპატიჟებული ვართ ჩვენი თეთრი კოსტიუმებით კინოფილმის „შეხვედრა მთაში" გადაღებებზე. მეორე დღესვე გაგვიფორმეს ხელშეკრულებები და თებერვლის პირველი რიცხვებიდან დაიწყო გადაღებები ჯერ თბილისში, ხოლო ზაფხულის პერიოდში ხევსურეთში. ამავე პერიოდში ვამზადებდით ორმოცდახუთწუთიან გადაცემას საქართველოს ტელევიზიაში, რომელიც ევროვიზიისათვის იყო განკუთვნილი. ეს იყო პირველი გასვლა ეთერში ევროპისათვის. საქართველოს მაშინ, მთაწმინდის პლატოზე ერთადერთი პატარა სტუდია ჰქონდა, სადაც ორი კამერით ეწყობოდა გადაცემები. იმ დროს არავითარი წინასწარი ჩაწერა არ სწარმოებდა..ამისათვის ტექნიკა არ გააჩნდათ, გადაცემა ევრაზიაში მიდიოდა პირდაპირ, ცოცხალი შესრულებით. ალბათ წარმოიდგენთ რა პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა. გადაცემის ავტორი გახლდათ ცნობილი ქართველი ტელეჟურნალისტი ბატონი ავთანდილ გაჩეჩილაძე, ნიჭიერი, დაუღალავი და მშრომელი ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ტელევიზიის საესტრადო გადაცემებს. გადაცემა საღამოს საათებში იყო დაგეგმილი, მაგრამ მასში მონაწილეთა მთელი ჯგუფი დილიდანვე შევიკრიბეთ მთაწმინდის პლატოზე პატარა ტელესტუდიაში. ათასჯერ მოვზომეთ თუ ვინ სად და როგორ უნდა ყოფილიყო, ფაციფუცით ტრიალებდა ყველა. ბოლოს და ბოლოს ავაწყეთ ყველაფერი. მზად ვიყავით გადაცემის დაწყებისათვის. ეს დროც მალე დადგა. ვღელავდით, მაგრამ ყველაზე მეტად ავთო გაჩეჩილაძე და რეჟისორი მერაბ ფალიაშვილი ღელავდნენ. დაიწყო პირველი აკორდები და დაძაბულობა გაქრა. ისე ლამაზად, მძივებივით აეწყო გადაცემა, რომ სულისმოთქმაც ვერ მოვასწარით და უკვე რევაზ ლაღიძის „თბილისოს" ვმღეროდით. ე. ი. ორმოცდახუთი

წუთი საქართველოს ტელევიზიის გადაცემას — მღერის „დიელოს" უსმენდა და უცქერდა ევროპა. ეს თითქმის გონების შემარყეველი იყო, ხოლო გადაცემაზე გამოხმაურება ძალზედ შთამბეჭდავი. შემდგომში ასეთივე გადაცემები გაგვიკეთეს მოსკოვის და ლენინგრადის ტელევიზიამ. საზღვარგარეთიდანაც გვქონდა მიწვევები, მაგრამ კინოფილმის „შეხვედრა მთაში" გადაღება დასრულების სტადიაში იყო და ამიტომ მთლიანად მას დავუთმეთ ყურადღება. თბილისში, კინოსტუდიაში გადაღებების შემდეგ მთელი ზაფხულით მონაწილეთა ჯგუფი ნიკოლოზ სანიშვილის მეთაურობით ბარისახოს ვეწვიეთ, რომლის სკოლა-ინტერნატში მოგვათავსეს. გადაღებები მიმდინარეობდა გუდამაყრის მთაზე. თუ რა სილამაზეს წარმოადგენს საქართველოს ბუნება, საყოველთაოდ ცნობილია. მის აღწერას არ შევუდგები და ვერც მოვახერხებ, რადგან აღწერილია და კიდევ მრავალჯერ ხოტბას შეასხამენ მწერლები და პოეტები. ერთს კი დავძენ, რომ ჩვენს ტკბობას და ნეტარებას ამ ბუნების სილამაზითა და ხილვით საზღვარი არ ჰქონდა. ამას დაუმატეთ მშვენიერი, კეთილი ადამიანები, ბატონები: კოტე დაუშვილი, თენგიზ არჩვაძე, ბიძინა კვერნაძე, პეტრე გრუზინსკი, ირაკლი გოცირიძე, ქალბატონი ლეილა აბაშიძე და სხვა კეთილშობილი ადამიანები და ადვილი მისახვედრი გახდება, თუ რა იდილიაში ვცხოვრობდით მთელი ზაფხული. გადაღებები დილის 8 საათიდან იწყებოდა. ამიტომ ადრიანად ვდგებოდით და ამ დროისათვის უკვე გადასაღებ მოედანზე ვიყავით. ბუბა კიკაბიძე ფილმში ერთ-ერთ წამყვან როლსაც ასრულებდა და ჩვენთან შედარებით უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ყოფნა ხევსურეთში უფრო დასვენებას ჰგავდა, რასაც მშვენივრად ვავსებდით დროსტარებითა და ჩრდილში კოტრიალით. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე ჩასვლის პირას იყო, გუდამაყრის მთის მეორე მხრიდან გამოჩნდა უზარმაზარი ცხვრის ფარა, რომელიც თეთრად მოედო მწვანით მოსილ ფერდობს. გადაღება დამთავრებული გვქონდა. ჯგუფის წევრები მანქანებით ნელ-ნელა ქვემოთ სოფელში ჩადიოდნენ. ამ

დროს ბატონმა კოტე დაუშვილმა შემოგვძახა: „ბიჭებო, ცოტა ხანი მოიცადეთ“. როდესაც ბატონ კოტეს ირგვლივ შემოვერკალეთ, მან თვალი ჩაგვიკრა და გვითხრა: „ეხლა გაჩვენებთ, მეცხვარეები რა ხალხია“. მართლაც, რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოჩდნენ ცხენებზე ამხედრებული მეცხვარეებიც. დაინახეს თუ არა კოტე დაუშვილი, იმავ წამს ჩამოქვეითდნენ ცხენებიდან და გადაეხვივნენ ჩვენს ბატონ კოტეს. ატყდა ერთი ალიაქოთი, სიცილ-ხარხარი, მიკითხვა-მოკითხვები. ბატონ კოტე დაუშვილს ხომ არაერთხელ შეუსრულებია მეცხვარის როლი კინოფილმებში. ერთი სიტყვით, პურის ჭამა გარდაუვალი შეიქნა. ამასობაში მზე მთლიანად ჩაესვენა. უფროსი ასაკის მეცხვარეები ჩვენთან დარჩენენ, უმცროსებმა კი ცხვრის ფარა დააბინავეს და ირგვლივ ძაღლებიც შემოუყენეს. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, რომ ერთ-ერთ ჭედილას წააცალეს თავი. ერთმა მეცხვარემ ცეცხლი ააგიზგიზა, მეორემ ცხვარი გაატყავა, მესამემ ტიკით ღვინო ჩამოიღო ხურჯინიდან, მეოთხემ სუფრა გაშალა მდელოზე. დაიწყო სახელდახელო ფაცი-ფუცი, ჩაიყარა ხაშლამა ქვაბში. აიგო მწვადი შამფურზე. სუფრაზე დაალაგეს გუდის ყველი და ცხელი „დედას პურები“. ის-ის იყო შესაქცევად მოვიკალათეთ, რომ სუფრის გვერდში ერთ-ერთი მეცხვარე ხანჯლით ორმოს თხრას შეუდგა. ამ დროს ბატონ კოტეს ვეკითხები: რას აკეთებს? მან სიცილი დაიწყო და მითხრა — ცოტა ხანში დაინახავ. მთვარე ამოსვლას აპირებდა, როცა პირველი სასმისი შეისვა. რა სადღეგრძელოები შეისვა და ვინ როგორ აიქარგა პირი, ამის შესახებ ჩვენს საყვარელ პოეტს, პეტრე გრუზინსკის აღწერილი აქვს. ერთს უდავოდ გეტყვით, რომ განსაკუთრებით მოხდენილად ამშვენებდნენ სუფრას ჭეშმარიტად სახალხო არტისტები: კოტე დაუშვილი, თენგიზ არჩვაძე, პოეტი პეტრე გრუზინსკი, კომპოზიტორი ჩაჩინა კვერნაძე, ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე, ჩვენი კვარტეტი: აჰარან ებრალიძე, გოგი ლეონიძე, ბუბა კიკაბიძე, სოსო ებრალიძე და ერთადერთი მშვენიერი ქალბატონი ლეილა აბაშიძე. მეცხვარეებმაც და

ჩვენც დიდად მოვილხინეთ. ბევრი ვიცინეთ, ბევრი ვიმღერეთ. ფანდურიც გაჩნდა. გიტარაც ამოვატანინეთ. მოკლედ ასეთი საამო სუფრა ბუნების წიაღში, თან მთელი ღამით, იშვიათი სანახაობაა. ორმოს შესახებ კი მოგახსენებთ, რომ პირველად და ერთადერთხელ ვნახე და ვიგემე ასეთი წესით დამზადებული ჩობან-ყაურმა: ცხვრის ქურქში ჩაყარეს დაკეპილი ჯიგარი, ჩადეს ამოთხრილ ორმოში, გადააფარეს რკინის ფილა, ზედ დააყარეს ანთებული ფიჩხი. რამოდენიმე ხანში ამოიღეს და ჩაბან-ყაურმაც მზად იყო. მსგავსი გემრიელი კერძი, ჩემის აზრით, არ არსებობს.

გარიჟრაჟი იწყებოდა, როცა დავიშალეთ. ჩვენდა ბედად დილას გაწვიმდა და მთელი დღე ძილს მოვანდომეთ. ასე ნელ-ნელა მიდიოდა გადაღებები. როგორც ყველაფერს აქვს დასასრული, მიიწურა ეს ზაფხულიც და ხევსურეთში საქმიანობაც დასრულდა. თბილისში დაბრუნებისას რადიოში ჩავწერეთ რამოდენიმე სიმღერა, კინოსტუდიაშიც მოვრჩით ჩვენს გადაღებებს და სექტემბრის ბოლოს გავემგზავრეთ მოსკოვს, რათა საგასტროლოდ წავსულიყავით „შავი კონტინენტის" — აფრიკის ქვეყნებში. ასეც მოხდა. 1964 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩვენმა თვითმფრინავმა პირველი დაჯდომა განახორციელა ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში. იქ ორი საათი დავყავით, რადგან ჩვენი პირველი კონცერტები უნდა გამართულიყო სუდანის დედაქალაქ ხართუმში. მაგრამ ქაიროში შევიტყვეთ, რომ სუდანში სამხედრო გადატრიალება მომხდარა, ამიტომ სანამ საბჭოთა საელჩო გამგზავრების ნებას არ მოგვცემდა, ქაიროში უნდა დავლოდებოდით. მართლაც მალე შევიტყვეთ, რომ შეგვეძლო ხართუმში გაფრენა. საღამოს ხანი იყო, როცა სუდანის დედაქალაქში ჩავფრინდით. დიდი სიფრთხილითა და სამხედროების დაცვით მიგვიყვანეს მდინარე ნილოსის სანაპიროზე მდებარ პატარა სასტუმროში. გზაზე მიმავლებმა შევნიშნეთ ომის კვალი: ჯერ კიდევ აბოლილი შენობები, ქუჩებში გადაყირავებული და დამწვარი მანქანები. გაგვაფრთხილეს, რომ სასტუმროდან არ გამოვსულიყავით. სიფრთხილეს

თავი არ სტკიოდა. ძალზედ ცხელოდა. ლოგინი ნამიანი იყო. ისედაც ტენიანი ჰაერი ამ ბოლმა და სიცხემ სულ დაახშო. გადავწყვიტეთ, იქვე, მდინარე ნილოსის პირას ჰაერზე გავსულიყავით. მივედით. ის იყო, დავეყუდეთ მოაჯირს, რომ ქვემოდან ნიანგების დაფჩენილი ხახა და ხრიალი შემოგვეგება. შეშინებულებმა იმ წამსვე სასტუმროში მოვკურცხლეთ. მერე კი სიცილით დავწყდით. ჩვენი ბედი, რომ მოაჯირი მაღალი იყო. რამოდენიმე დღე ველოდეთ, იქნებ კონცერტების ჩატარების ნებართვა მიეცათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომაც მეოთხე დღეს თვითმფრინავით გავემგზავრეთ უგანდის დედაქალაქ კამპალაში, საიდანაც ავტობუსით გაგვამგზავრეს რომელიღაც პატარა დასახლებაში. იქ, პატარა, ერთსართულიანი კოტეჯები იყო განლაგებული. თვითოეული ორი ან სამი საწოლით. მათ ზემოდან ჩამოფარებული ჰქონდათ დოლბანდის ბადეები, რომელიც ძილის დროს უნდა ჩამოგვეფარებინა მთელს საწოლზე, რათა შხამიან მწერებს არ ეკბინა. ისე ცხელოდა, რომ ხეირიანად არც გამოგვიყენებია ეს ბადეები. შუაღამისას ხელის ტკივილმა გამომაღვიძა. ისე მაწუხებდა მარჯვენა მტევანი, რომ მეგონა ჩემი აღარ იყო. მკლავი ხესავით მეკიდა სხეულზე. ოთახში გვეძინა მე, ბუბას და ამირანს. წამოვდექი თუ არა, ბუბამ გაიღვიძა. ვეცი ჩემი ძმის საწოლს და ბადე კარგად ჩამოვაფარე. ბუბას ვეუბნები: მგონი, ბუზმა ცეცემ მიკბინა და ალბათ ხელის მოჭრა დამჭირდება, ან შეიძლება სულმთლად მივიცვალო. ბუბაც წამოხტა და ხელის ზელვა დამიწყო. შემდეგ ცივ წყალში ჩამაყოფინა მთელი მკლავი, განმეორებით დამზილა. ათ წუთში შვება ვიგრძენი. ბოლოს და ბოლოს ხელი ნორმალურად ამიმუშავდა. ბუბას სიცილმა ამირანი გამოაღვიძა. მოუყვა რა ჩემი ამბავი, [illegible] უმა აიტანა. მე მათ ჯერ ისევ შეშინებული ვუცქერდი. როდესაც მთლიანად გამოვმჯობინდი, მივხვდი, რომ ხელი თავქვეშ მქონია ამოდებული, რის გამოც მკლავში სისხლის მოძრაობა შეჩერებულიყო. მე კი მეგონა, შხამიანი ბუზის მსხვერპლი შევიქენი. სამივემ გულიანად ვიცინეთ. შევსვით კარგი ცივი ლუდი და ძილისპირული

გამოვაცხადეთ.

უგანდის დედაქალაქ კამპალაში საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ რამოდენიმე კონცერტი. ჯგუფში ჩვენთან ერთად გამოდიოდნენ მოსკოველი მსახიობები: ოლღა ვორონეცი, ანატოლი ბელიაევი, ნინა მიხაილოვა, ფლორა მინინა, მიხეილ ტრუბსკი, გალინა ვალოშინა, ვალენტინ ზაიკინი, ტატიანა ლევინა, სერგეი რუსანოვი, ტაჯიკეთიდან იკბარ ტაბოროვი და მუხთარ ახროხოვი. „დიელო" სიმღერების შესრულების გარდა აკომპანიმენტს უკეთებდა ზემოთ ჩამოთვლილ მსახიობებს. შექმნილი გვქონდა ინსტრუმენტული კვარტეტიც: როიალი — ამირან ებრალიძე, კონტრაბასი — გოგი ლეონიძე, დასარტყმელი ინსტრუმენტი — ბუბა კიკაბიძე და გიტარა — სოსო ებრალიძე. ასე რომ, ორი საათის განმავლობაში, ისეთ სიცხეში, როგორიც აფრიკის ქვეყნებშია, ბევრი ოფლი გვაქვს დაღვრილი. უგანდის შემდეგ მოვიარეთ კენია, ტანზანია, სომალი, ეთიოპია. შეხვედრები გვქონდა სახელმწიფოს პრეზიდენტებთან.

დეკემბრის ბოლოს საკმაოდ დაღლილნი და დასუსტებულნი დავბრუნდით თბილისში. ამიტომ საჭირო იყო ერთი თვე მაინც დაგვესვენა. სახლში ჩამოსული კაცისთვის ერთი თვე კი არა, ერთი დღეც კმარა. მეორე დღესვე საკუთარი სასთუმალიდან წამომდგარი კაცი დასვენებულიც ხარ და ბედნიერიც, ამიტომ მეორე დღიდანვე დაიწყო მეგობრებთან შეხვედრები, „პლეხანოვზე "სეირნობა, კარგი პურმარილები, ახალი წელიც მოახლოვდა. აქ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმათზე, ვისთანაც აგერ უკვე 50 წლის მეგობრობა და სიყვარული მაკავშირებს, იმ ადამიანებზე, რომლებიც დააკლდნენ ამ ქვეყანას, მაგრამ უდავოდ ღირსნი არიან ჩემი დიდი სიყვარულისა. ვინც კვლავაც ჯანმრთელი და ბედნიერია და დღეს 60 წელს გადააბიჯეს, მაგრამ ჩემთვის მაინც ბიჭები არიან. რამოდენიმე სიტყვით მინდა მოგონებებში მათ მიმართ სიყვარული გამოვთქვა.

მაშ ასე, „პლეხანოველი" ბიჭები, თბილისელი კაცები: თენგიზ კარტოზია ( „პონჩიკა") — ინჟინერ-მშენებელი, ნიჭიერი

ადამიანი, დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. აბსოლუტური სმენა, მშვენივრად მომღერალი, გიტარის ფილიგრანული დაკვრა, მაღალი გემოვნება, უაღრესი კეთილშობილება, კარგი ქეიფი, დიდი სიყვარული, ერთგულება. ასეთი იყო ჩვენი „პონჩიკა", რომელიც უდროოდ წავიდა ამ წუთისოფლიდან და ჩემი სულის ნაწილიც თან გაიყოლა.

ზურაბ ვაჩნაძე („ვაჟკაცა") — ხიდების მშენებელ-ინჟინერი, პოეტური სული თან სდევდა მის ხანმოკლე სიცოცხლეს, რომანტიკული ბუნების, კარგი სიმღერის მთქმელი, უღალატო მეგობარი.

თამაზ კანდელაკი („ადინოჩკა") — ჟურნალისტი, ცოცხალი ენციკლოპედია, დიდად განათლებული კაცი, ლიტერატურის მცოდნე, გოგოების მუსუსი, დღეში სამ კოლოფ სიგარეტს წევდა, დალუპა კიდეც.

რაულ სხილაძე („იგროკი"). ასე ეძახდა თავის თავს. ძალზე აზარტული ბიჭი იყო, ყველანაირი თამაში უყვარდა, კარგი მსმელი და მოქეიფე, „პლეხანოვზე" ყველას უყვარდა. ადრე, 26 წლის ასაკში ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

ზაურ გვარამია („კოტიკა") — განათლებით ეკონომისტი. საქართველოში ერთ-ერთი პირველი ბროლის ნაკეთობათა დამზადებაში. საქმიანი კაცი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. თუ უყვარდი, ე. ი. ბოლომდე, და თუ არა, არასოდეს შეგიყვარებდა. სასწაული მეოჯახე, კარგი მამა, ტკბილი მეგობარი იყო ჩვენი ზაური. მისმა მარადისობაში წასვლამ დიდი სიცარიელე დამიტოვა გულში.

რამაზ სვანიძე („ღუტა") — სიცოცხლეზე შეყვარებული კაცი, ერთ წამში გაქრა ამ ქვეყნიდან, თბილი ღუღუნა ბიჭი იყო, ოღონდ რამე ჰქონოდა, იმ წამსვე გაჩუქებდა. ქეიფის დიდი მოტრფიალე, ძმაკაცებზე თანგადაყოლილი, სულ ერთად უნდოდა რომ ვყოფილიყავით. არასოდეს უფიქრია ამ ქვეყნიდან წასვლაზე, ალბათ ამიტომ წავიდა ასე უცებ.

ირაკლი წულაძე — უსაზღვროდ მოსიყვარულე კაცი, ყოველთვის

ლამაზი, მომღიმარი, გაუპარსავი და მოუწესრიგებელი ქუჩაში არასოდეს არ გამოვიდოდა. მთელ ქალაქს უყვარდა. ისიც სიყვარულით პასუხობდა ყველას. დიდი პიროვნება იყო ჩვენი ირაკლი წულაძე.

გოგი ლიპარტელიანი („კიტრანა") — მართლაც დიდი კაცი იყო, უაღრესად კეთილშობილი და მოსიყვარულე ადამიანი, საქართველოს ტყეების დიდი მოამაგე, ძვირფასი ოჯახის პატრონი, მეგობრობის სიმბოლო, საოცარი მომფერებელი კაცი, დიდი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათა ჩვენი „კიტრანა"

გილარ ზაქარეიშვილი — ქალაქის განუმეორებელი, კოლორიტული ფიგურა გახლდათ, თავმოყვარე და ვაჟკაცი კაცი, საკმარისი იყო რამე გეთხოვა, გაუკეთებელს გაგიკეთებდა, იმდენად მიყვარდა გილარი, რომ ჩემი ერთ-ერთი სიმღერა „მოხუცობის კარიბჭესთან" მას ვუძღვენი.

გელა მაჭავარიანი — პროფესიით ექიმი იყო, ბავშვობიდან მუსიკა იტაცებდა, სადაც კი შემხვდებოდა, იმავ წუთს ან თავის სახლში, ან ჩემთან უნდა წავსულიყავით, რათა გიტარაზე ახალ-ახალი აკორდები ესწავლა. ბოლოს ისე დაოსტატდა, რომ ერთ-ერთ კარგ დამკვრელად და მომღერლად ითვლებოდა.

სევა ელიავა — თვითნაბადი, მოგლეჯილი ოქროს ზოდი გახლდათ. მასთან ყოფნას ყველა ჩვენთაგანი ნატრულობდა. მისი იუმირი საქვეყნოდ ცნობილია, სიცილის ნიაღვარი მოდიოდა მისი გონებიდან და სიტყვიდან. შესანიშნავი ოჯახი დაუტოვა ქვეყანას. მგონი საჭიროა მისი იუმორისტული გამონათქვამების წიგნად გამოცემა.

იური ლომთათიძე — მშვენიერი ბიჭი იყო. მუდამ მშვიდობიანი განწყობით. მეგობრობის სულისჩამდგმელი, მოსიყვარულე, მოქეიფე და მხარჯველი კაცი. დასანანია, რომ ადრე დატოვა ეს ქვეყანა.

ჰენრი კეკელია ( „კოჭინტარა") — ღიმილის ბიჭი იყო, ლამაზი, ტანადი. შრომაში დაუზარელი, მეგობრების მოყვარული. სავა-

ლალოდ, ისიც ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

აქვე მინდა მოვიგონო ის „პლეხანოველი" ბიჭები, რომლებიც ჩვენს ქალაქს დააკლდნენ: კაკო ლობჟანიძე, ვაჟა ვაჩნაძე, იური ადამია, ედუარდ ჩიხლაძე, სულიკო მეგრელიშვილი, ბიჭიკო ყვავილაშვილი, დემონ შუბლაძე, ნესტორ კაკაბაძე, ბიჭიკო ახობაძე, ზურაბ ჯანდიერი, სულიკო თორაძე, გივი ლოლაძე.

კოტე ბოჭორიშვილი, კუკური გამყრელიძე, რეზო მიქელაძე, ლავრო ჭილაშვილი, გურამ მგალობლიშვილი, ლავრენტი ჭელიძე, დოდიკა სხირტლაძე, ემზარ პირველი, გოჩა აბაშიძე, ნოდარ ფირანიშვილი, გიგა ჯიბლაძე, მიშა შავლაყაძე, იური ტაბაშიძე, რუდიკო ჯაოშვილი, ვანიკო გოდაბრელიძე, რომან კინწურაშვილი, ზურიკო ცქიფურიშვილი, უშანგი ჯაფარაშვილი, ავთო კრავეიშვილი და სხვა ღირსეული კაცები, რომელთა წინაშე ქედს ვიხრი.

ჩემს დღევანდელ მეგობრებს კი დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებ, მაგრამ მსურს მოვეფერო, რადგან მათთან ყოფნა არასოდეს არ მომბეზრდება და რაც განგებამ ჩვენ დაგვიწესა სასიცოცხლოდ, მათთან ერთად მინდა გავატარო.

ვოვა დავითაია — ექიმი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, გაჭირვების ტალკვესი, უტკბილესი პიროვნება, დიდი დასტაქარის, პროფესორ ილია დავითაიას შვილი გახლავთ. მამის კვალს გაჰყვა და არც თუ ურიგოდ შრომობს და შველის ადამიანებს. ძმაკაცებისთვის ხომ თანგადაყოლილია ისიც და მეუღლეც, ბავშვთა ექიმი ია დავითაია. მათი ზრუნვით და სიყვარულით გვიდგას სული. მის ოჯახში თუ შეგვაგვიანდა სტუმრობა, განგაშს ატეხავს ხოლმე, სად ხართ ამდენ ხანს, რომ არ ჩანხართ. იმავე წუთში პურმარილი იშლება.

რეზო ასამბაძე („ასანა") უაღრესად გამჭრიახი გონების პატრონი, საქართველოს ბროლის წარმოების ერთ-ერთი დამაარსებელი, მის პიროვნებას ახასიათებს დიდი მიზანსწრაფვა. რასაც ჩაიფიქრებს, შეასრულებს კიდეც. სიმღერის დიდი მოტრფიალეა. ქალებს გულგრილად ვერ აღიქვამს, სილამაზით ტკბობის ოსტა-

ტია, უტყუარი მეგობარი. რაინდული სულით გაჟღენთილს მეგობრების წრე უყვარს. ძვირფასი ოჯახის პატრონმა ქეიფიც კარგი იცის.

ომარ აფხაზავა („ტანგულა“) — ბავშვობიდან მეგობრებისათვის შემართული კაცი, უსპეტაკესი პიროვნება, სიყვარულის მეუფე, უზომოდ გულკეთილი. ხშირად არ უმართლებს, მაგრამ ისეთი ტკბილი, ლამაზი ოჯახი ჰყავს, რომ ნამდვილად ბედნიერი კაცია. ომარის ოჯახში დავიზარდეთ. „ბირჟა“ გვქონდა მის სადარბაზოსთან.

გურამ ბერია („ძუნიკა“) — ერთი შეხედვით უხეში ეგონება ვინმეს, მაგრამ მის სულსა და გულში იმხელა სიფაქიზეა, იშვიათად რომ შეხვდები მსგავს კაცს. მეგობრებისთვის დაუზარელი, გაჭირვებაში გვერდზე დამდგომი, ცეცხლში და წყალში შენთან ერთად რომ იქნება, დიდი პატივისმცემელი ყველას მიმართ, იუმორის დიდოსტატი, ბედნიერი ბაბუა გახლავთ, რადგანაც პატარა გურიკო ბერია ეზრდება.

ოლეგ ნიშნიანიძე — ბიზნესმენი, კომერციაში დიდად გათვითცნობიერებული. მის ზურგსუკან ფაბრიკა თუ სხვა საწარმოებია აშენებული და არა მარტო საქართველოში. კარგი მეგობარი კაცი, უყვარს ძმაკაცებში ჭუკჭუკი, მის ოჯახში ყოველთვის პურმარილები იმართება და მშვენიერი დროსტარებაც გვაქვს ხოლმე. არ დამავიწყდება, 55 წლის რომ გავხდი, მისი ინიციატივით მეგობრებმა მეტეხ-პალასში გადამიხადეს დაბადების დღე. ხშირად მეცენატობასაც ეწევა. გაჭირვებულ ადამიანებს სპონსორობას უწევს. ერთი სიტყვით კეთილშობილი ადამიანია და კარგი ოჯახიც ჰყავს.

გელა ჯაფარიძე — ძველი თბილისის ტრფიალი, ქართული პოეზიის ზეპირმცოდნე, მშვენიერი თამადა, მეგობრობის მაღალი დამფასებელი, ბრწყინვალე სტომატოლოგ-პროტეზისტი. მისი შემოქმედება დღეს ყველა მეგობარს ამშვენებს. თბილი ოჯახის მქონე, მასთან საბავშვო ბაღიდან მაკავშირებს მეგობრობა.

ქართლოს ჯაფარიძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,

ღრმად განსწავლული ადამიანი, დიდი ერუდიციის მქონე, პოეტი-ნოველისტი, სიყვარულით გამსჭვალული ყოველივე სიკეთისადმი, პურ-მარილის დიდი ოსტატი, იუმორის ფეიერვერკი, სამართლიანი, მომთხოვნი, ყოფილი შესანიშნავი კალათბურთელი, სიმღერის კარგი მცოდნე და დამფასებელი, ბარაქიანი ოჯახის პატრონი, მშვენიერი მეუღლის დოდო საგინაშვილის (ყოფილი კალათბურთელის) სიყვარული.

ზურიკო კეკელიძე — გახლავთ ერთ-ერთი უნიკალური მოვლენა თბილისის სინამდვილეში. მისი და სევა ელიავას ტანდემი გახლდათ სიცილის დღესასწაული, მსგავსი იუმორით დაჯილდოებული ხალხი მე პირადად არ მინახავს. იმისდა მიუხედავად, რომ დიდი ესტრადის მოღვაწეებთან მომიწია მუშაობა. კეკელიძე-ელიავას დუეტი თვითნაბადი ალმასი გახლდათ. ამასთანავე ჩვენი ზურიკოს მუსიკალური შეგრძნების დონის ადამიანი იშვიათად შემხვედრია, იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ მშვენივრად მღერის, არნახული მოსმენის უნარი აქვს, და თუ კარგ მუსიკას კარგი შესრულებით ისმენს, თვალში ცრემლი უდგება. ისეთი მოლხენა იცის სუფრასთან, რომ მისგან უნდა ისწავლო კაცმა. გულთბილი და მოსიყვარულე გახლავთ ჩვენი საამაყო ზურიკო კეკელიძე.

თამაზ სანაძე („ნისკარტა") — ღმერთმა გაჭირვება გვაშოროს ყველას, მაგრამ თუ გაგიჭირდა „ნისკარტა" მოგცეს ღმერთმა, გაუკეთებელს გაგიკეთებს, არ დაზოგავს თავს, ოღონდაც ჭირვარამი შეგიმსუბუქოს. სიყვარული, სიყვარული და სიყვარულია თამაზ სანაძის დევიზი.

გივი ბაკურაძე — ჩვენი სამეგობროს მაორგანიზებელი ძალა. სკოლიდანვე გვიჩიჩინებდა: კარგად ისწავლეთ, კარგად იშრომეთ. უპატიოსნესი პიროვნება, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეგობრობისა და მეგობრების დიდი მოყვარული, სიმღერისა და ქეიფის ტრფიალი.

გურამ ჭელიძე — ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მშვენიერი ექიმი-ქირუ-

რგი, სიმღერა, იუმორი, პურ-მარილი, მეგობრობა, სიყვარული, სიკეთე, სტუმართმოყვარე და თბილი ოჯახი, ეს არის გურამ ჭელიძე.

იმედო კახიანი — მისი წარდგენა მკითხველთათვის მგონი აუცილებელიც არ უნდა იყოს, მას ყველა იცნობს, ქართული კინოს ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავს, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, რა უზარმაზარი მომხიბლავი ადამიანია იმედო ცხოვრებაში. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და დღესაც, რომ შევხვდები თვალს ვერ ვაცილებ, ანდამატივით იზიდავს ადამიანის ყურადღებას.

ვიტალი (ბიჭიკო) კვინიკაძე — არ ვიცი რატომ, მაგრამ უზომოდ მიყვარს, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ნიჭიერი პიროვნებაა, პრინციპული, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, ყურადღებიანი, სპორტული, თავისი საქმის დიდი სპეციალისტი, კარგი მოსაუბრე, კარგი მეგობარი და კარგი მეოჯახე.

ტარიელ ბოჭორიშვილი — სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, წარმოების დიდი მცოდნე, განათლებული ადამიანი, უდიდეს პატივისცემას იმსახურებს მისი უზარმაზარი კეთილშობილების გამო. ჩემის აზრით, ტარიკო განუმეორებელია.

ოთარ გიორგობიანი („სუპა") — ფეხბურთელთა სკოლიდან ვმეგობრობ ოთარისთან, ყოველთვის სუფთა და აკურატულია. ახლაც, 60 წელს გადააბიჯა და კოხტად გამოიყურება, თავის მოვლა უყვარს, ამავე დროს მეგობრობის ფასი იცის, ზრდილობიანი და მოკრძალებული კაცია. თუ კი საშუალებები გააჩნია სულში ჩაგისვამს, სიურპრიზების ოსტატია, უყვარს ჯაზი და ცეკვები.

გურამ აბაძიძე („აპოლონი") — განსაკუთრებით გამორჩეული კალათბურთელი, ბრწყინავდა კალათბურთის მოედნებზე მთელ მსოფლიოში. კეთილშობილი და მოსიყვარულე მეგობარი. საქართველოს და „პლეხანოვის" სიამაყე.

ქართლოს კასრაძე — ჭეშმარიტად სახალხო არტისტი, უნიჭიერესი პიროვნება, მშვენიერი მწერალი, პოეტი, მუსიკისმცოდნე,

დიდი ოჯახიშვილი და დიდი ოჯახის პატრონი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ბელნაიდ სარაჯი — ეკონომისტი „საქონელმცოდნეზე“, ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით და უკეთ ერკვეოდა საქონელმცოდნეობასა და ხარისხში. ნებისმიერი ნაწარმი მისთვის ადვილი გამოსაცნობი იყო, ამიტომაც ბრწყინვალე პროფესიონალია თავისი საქმის. ბევრი სიკეთის გამკეთებელი, ყველას პატივისმცემელი, ოჯახის დიდი მოსიყვარულე, იხაროს და იბედნიეროს ჩვენმა ბელნაიდმა.

ოთარ შენგელია — ინჟინერი, ყოფილი მოცეკვავე, მართლაც რომ მეგობრობის სულის მშენებელია. მთელი ცხოვრება მეგობრობას შეალია და ერთი ამდენიც რომ იცოცხლოს, ეჭვი არ მეპარება იმავე შემართებით გააგრძელებს.

ვინც კი ოთარს იცნობს, არ შეიძლება დიდი სიყვარული არ ჰქონდეს მისი. მუსიკის ტრფიალი, თავადაც კარგ ბანს გეტყვის. ღმერთმა მოგვცეს ასეთი ადამიანი ლხინშიც და ჭირშიც.

ანზორ სიგუა — „პლეხანოვზე“ გაზრდილი კაცის ყველა დადებითი თვისება გააჩნია, იუმორი, გამტანობა, სითბო და სიყვარულია მისი სიცოცხლე.

ჯემალ ქარუმიძე — საბავშვო ბაღის მეგობარია, მუდამ მომღიმარი, ძალზედ კარგი მოსაუბრე და განათლებული პიროვნებაა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ყოველთვის მზადაა მეგობრების სამსახურში იყოს.

სოსო ჟორჟოლაძე — შეხვედრისას ისეთ სითბოს გაგრძნობინებს, რომ სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებს. ფეხბურთს მშვენივრად თამაშობდა, ხელოვნების ტრფიალი გახლავთ, კარგი მეოჯახე და მეგობარი.

გუბაზ ბეჟუაშვილი — პროფესიით მომღერალი, ჩემის ღრმა რწმენით, დაბადებიდან თბილისის კოლორიტული ფიგურაა როგორც გარეგნობით, ასევე შინაარსით. ვერაზე დაბადებული მთელი ქალაქს იცნობს და მასაც მთელი ქალაქი იცნობს. მის სახლში თბილისის ყველა უბნის ხალხი იკრიბება, მეგობრობის სიმბოლო გახლავთ ჩვენი გუბაზი.

აგრეთვე მინდა სიყვარულის და მადლიერების გრძნობა გამოვთქვა „პლეხანოველი" ბიჭებისადმი: გურამ ხავთასი, ოთარ მჭედლიშვილი, ჯემალ გიორგობიანი, ვოვა მიქაძე, თენგიზ ნოზაძე, თამაზ გიდილია, თეიმურაზ მესხიშვილი, ზურა კახიანი, გოგი თოფურიძე, ჩიკო კობახიძე, რეზო ჩიგოგიძე, გოჩა შარაშენიძე, ავთო ბიჩინაშვილი, მურთაზ დაუშვილი, გურამ ცქიტიშვილი (ცქიტო), ვასო ბარნოვი, ჯემალ ცერცვაძე, ნოდარ კვერნაძე, ჯონი მანწკავა, ჯემალ ზალდასტანიშვილი, მერაბ ზაქარეიშვილი, ჯემალ მიქელაძე, ჯემალ თელია, ჯონდო ბალდავაძე, თეზიკო ლაზიშვილი, ნოდარ ჩინჩალაძე, დევი ჩახავა, ვაჟა მამაგეიშვილი, ელგუჯა ჯაში, ავთო დადიანი, თანო ნინიძე, გუჯო ახალაძე, ზაურ შევარდნაძე, გუჯო მამაგეიშვილი, თამაზ დუმბაძე, ჯემალ ჭუმბურიძე, გივი ნატროშვილი, დიკა ცქიტიშვილი, მერაბ ცინცაძე, თამაზ ცინცაძე (პანტელეიმონის ძე), რეზო სოხაძე, ლევან კალატოზიშვილი, ლერი აფხაზავა, ნერონ მაღრაძე, გოგი წერეთელი, რადინ ხელაშვილი, ირაკლი კოპალეიშვილი, ნოდარ წილოსანი, თამაზ დაუშვილი, ლეო კალოევი, ჯუბა კალანდაძე, რობერტ და როლანდ ბოჭორიშვილები, მურმან მეტრეველი და სხვა პატივცემული და კარგი ვაჟკაცები.

აგრეთვე მინდა დიდი პატივისცემითა და სითბოთი მოვიგონო ჩემი ბავშვობის ქალიშვილები, დღევანდელი ქალბატონები: ცისანა დათაშვილი, ცისანა იოსელიანი, ცისანა ჯანაშვილი, ცისანა მგალობლიშვილი, ცისანა კობახიძე, ცისანა რუსიტაშვილი, ჯულიეტა [illegible]დელი, თამრო გუნია, მელიტა მგალობლიშვილი, თინა მგალობლიშვილი, ია დავითაია, ლია მამულაშვილი, ნელი შონია, მიმი გაგოშიძე, ნანი ქადაგიძე, რუსიკო დემეტრაშვილი, რუსიკო ჩხეიძე, ჯილდა და რუსიკო ქვლივიძეები, ნანა და ელენე ლოლაძეები, კუკუნა და ნუნუ ესებუა, ლია და დალი თენეიშვილი, დოდო ზალდასტანიშვილი, მანანა ბალათურია, ჟუჟუნა ბარათაშვილი, ნანა შიუკაშვილი, მიმი გაჩეჩილაძე, ნელი დოლიძე, ფერიდე ქუზაშვილი, გულიკო [illegible], [illegible], მარინა ობოლაძე, ლალი ლომაძე, ნანული ბახტაძე, ნანული ფაჩუაშ-

ვილი და სხვა ლამაზი და პატივცემული ქალბატონები.

მკითხველს პატიებას ვთხოვ ლირიული გადახვევისათვის. უამისოდ არ შეიძლებოდა, მაგრამ ადამიანი მარტო ხომ არ ცხოვრობ ამ ქვეყნად?! ამიტომ ვაგრძელებ ჩემს შემოქმედების ირგვლივ თხრობას.

1965 წელი ანსამბლ „დიელოს“ ტრიუმფის წელი გახლდათ. მოწვევები გვქონდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდა, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, და რაც მთავარია საქართველოს ყველა ქალაქიდან. ყველა მოწვევას ერთ წელიწადში რა თქმა უნდა ვერ განვახორციელებდით. ამიტომაც გადავწყვიტეთ საქართველოში გვემოგზაურა, შემდეგ მოსკოვსა და ლენინგრადში ჩავსულიყავით.

ტურნი დავიწყეთ მოსკოვიდან, სადაც აპრილში გავმართეთ 15 სოლო კონცერტი, რის შემდეგ ერმიტაჟის საზაფხულო ესტრადაზე დიდ გალა-კონცერტში მივიღეთ მონაწილეობა. ამ კონცერტებში სხვებთან ერთად გამოდიოდა ქალაქ რიგის ჯაზტრიო რაიმონდ პაულსის ხელმძღვანელობით. ერთი-ერთ რეპეტიციაზე რაიმონდ პაულსმა შემოგვთავაზა მისი აკომპანიმენტით შეგვესრულებინა რამოდენიმე ქართული სიმღერა. ეს უფრო ნათლად გამოხატავდა ლატვიელი და ქართველი ხალხების კეთილ ურთიერთობას. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გაგრძელდა. დიდი გალა-კონცერტი მთავრდებოდა ქართული ანსამბლის „დიელოს“ გამოსვლით რაიმონდ პაულსის ჯაზ-ტრიოს თანხლებით. მშვენიერი სანახავი და მოსასმენი იყო ეს ერთობლივი ფინალური გამოსვლა, რის გამოც მოსკოველმა მაყურებელმა შესამჩნევად იმატა ერმიტაჟის საზაფხულო თეატრში. კონცერტები ერთ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლი „დიელო“ გადაიღეს მოსკოვის ტელევიზიაში, ჩავწერეთ რამოდენიმე სიმღერა რადიოში. ერთი სიტყვით, შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში ვიყავით. ამავე დროს, მოსკოვში ჩამოსული იყო ბაქოს ვოკალური კვარტეტი „გაია“. ბიჭები ჩვენს მოსასმენად მოვიდნენ ერმიტაჟის საზაფხულო

თეატრში. კონცეტრის შემდეგ შემოვიდნენ კულისებში და გულში ჩახუტებულები გვილოცავდნენ წარმატებას. რაღა თქმა უნდა კონცერტის დამთავრების შემდეგ ბაქოელი „გაია“, თბილსელთა „დიელო“ და მოსკოველი იმპრესარიო ანატოლი პანიუშკინი წამოვედით სასტუმრო „მეტროპოლში“, სადაც ვცხოვრობდით. გადავწყვიტეთ, აღგვენიშნა დამეგობრების დღე. ჩვენთან ერთად იყო რაიმონდ პაულსი და თბილისელი ტელერეჟისორი კოტე ციციაშვილი. სასტურმო „მეტროპოლში“ ყველაზე კარგი აპარტამენტი მე შემხვდა, ვანაიდან ცოლ-შვილთან ერთად ვიყავი ჩასული. ამიტომ გადაწყდა, ჩემს ოთახში შევკრებილიყავით. როგორც წესია, ხელდახელ გაიშალა სავახშმო სუფრა. მსგავსი სიამოვნება, რაც ჩვენ იმ საღამოს მივიღეთ, იშვიათობაა. ხან ბაქოელი ბიჭები მღეროდნენ, ხან ჩვენ. ზოგჯერ ორი ბაქოელი და ორი თბილისელი გავერთიანდებოდით და ისე ვასრულებდით ჯაზურ კომპოზიციებს. ერთ-ერთი სიმღერის შესრულებისას კარზე კაკუნი შემოგვესმა, ვიფიქრე, გვიანია და ალბათ მორიგე თუ მოვიდა გასაფრთხილებლად. მივედი კართან ბოდიშის მოსახდელად გამზადებული, გავაღე და ჰოი, საოცრებავ! დამხვდა კინოს მსოფლიო ვარსკვლავი მარლენ დიტრიხი. „გუდ, გუდ, ვერი გუდ“, თან ცერი თითი ზევით ჰქონდა მიმართული. რაღა თქმა უნდა ქალბატონი შემოვიწვიეთ ოთახში და რაც შეგვეძლო ყველაფერი ვუმღერეთ. გულით გაიხარა, შემდეგ ერთი წუთით გავიდა და შემოგვიგზავნა 10 ბოთლი ფრანგული შამპანური, ხოლო ჩემს პატარა გოგონას შემოუტანა თოჯინა, ჩემს მეუღლეს — სუნამო. ასე შემოგვათენდა უდიდეს სიამოვნებაში, დაშლა არავის გვინდოდა, მაგრამ დაღლილებმა გადავწყვიტეთ დაგვესვენა და დილის 7 საათზე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. საერთოდ, ამ მოსკოვურმა გასტროლებმა დიდი პოპულარობა მოგვიტანა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც. რა თქმა უნდა ყოველდღიური შემოქმედებითი ცხოვრების დეტალები მეხსიერებას ვერ შემორჩებოდა, მაგრამ რაც ყველაზე თშამბეჭდავი იყო, თითქმის ყველაფერს ვიხსენებ.

მოსკოვური გასტროლების შემდეგ თბილისს დავბრუნდით და დავიწყეთ მზადება საქართველოში მოგზაურობისათვის. კონცერტების ჩატარება მოგვიწია იკლისსა და აგვისტოში. ყველაზე სიცხიან თვეებში. მიუხედავად ამისა, ორ თვეში ჩავატარეთ 100 კონცერტი. ამისთანა სიცხეში, ორი საათის განმავლობაში სცენაზე მუშაობა ძალზედ დამქანცველი იყო, ოფლში ვიწურებოდით. ხშირად ორ-ორ კონცერტს ვმართავდით. თბილისში დავბრუნდით აგვისტოს ბოლოს, ფილარმონიაში დაგვახვედრეს დეპეშა მოსკოვიდან, სადაც გვატყობინებდნენ, რომ ოქტომბერში გასტროლებზე გვაგზავნიდნენ კუბაში, ფიდელ კასტროს ქვეყანაში. ეს ამბავი მაინც და მაინც არ გაგვხარებია, რადგან კიდევ უარეს სიცხეში წასვლის არაქათი აღარ იყო, მით უმეტეს, რომ სწორედ ოქტომბერში ლენინგრადში გვქონდა დაგეგმილი კონცერტები. ერთი დღის თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ კუბაში გამგზავრებაზე უარი გვეთქვა. ვამჯობინეთ ლენინგრადის სიგრილეში წასვლა, ჩვენ კი ამაოდ ველოდებოდით ახალ გამოძახებას ნოემბერ-დეკემბერში. თურმე ასეთი წესი ჰქონიათ, „გოსკონცერტში" ვინც თუნდაც ერთ უარს იტყვის, ის უნდა დაისაჯოს. ეს ყველაფერი შემდგომ, ლენინგრადში ყოფნის დროს შევიტყვეთ, როცა მორიგე ახალ გამოძახებას ველოდით. ჩამი-ჩუმი კი არსაიდან ისმოდა. გადავწყვიტეთ, თავად დაგვერეკა მოსკოვში, საიდანაც გვიპასუხეს: „თქვენ ხომ გადაღლილები ხართ და უარი თქვით კუბაზე, ჰოდა დაისვენეთ პატარა ხანს". მართალი გითხრათ, გვეწყინა, მაგრამ ისე კარგად მიდიოდა ჩვენი კონცერტები ლენინგრადში, რომ თავი არ მოგვიკლავს.

იქ ყოფნის პერიოდში ტელესტუდიამ გადაიღო 45-წუთიანი „დიელოს" ფილმი-კონცერტი. იმ დროს ჩვენში ვიდეომაგნიტოფონები არ იყო, ამიტომ ლენინგრადელებმა ეს კონცერტი გადაიღეს კინოფირზე. 1966 წლის ზაფხულში ეს კინოფირი აღმოვაჩინეთ საქართველოს ტელევიზიის არქივში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ თაკო ცინცაძეს. გეტყვით გულწრფელად, რომ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა ამ ფირის

ხარისხის შენარჩუნების გამო. 31 წელი გავიდა მას შემდეგ და ხმოვანება სრულიად ნორმალურად ჰქონდა შენარჩუნებული. საერთოდ ლენინგრადის გასტროლები შესანიშნავი გამოვიდა. ახლა კი გვქონდა უფლება რამოდენიმე თვე დაგვესვენა.

იმ ხანად მოსკოვში არსებობდა ორგანიზაცია „კავშირკონცერტი", რომელიც გეგმავდა წამყვანი კოლექტივების გასტროლებს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ჩვენი ანსამბლი „დიელო" რა თქმა უნდა შეყვანილი იქნა ამ გეგმაში. ამიტომ 1966 წლის პირველი ნახევარი მოვანდომეთ მათ მიერ გათვალისწინებულ კონცერტებს. მოვიარეთ რუსეთის მსხვილი ქალაქები, ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი. 5 თვეში ჩავატარეთ 200 კონცერტი. ყველა ქალაქის ადგილობრივი ტელევიზია გვიწვევდა თავიანთ გადაცემებში. აქაც გვარიანად გადავიღალეთ. ამიტომ ჩამოსვლისთანავე ერთი თვით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და გადავწყვიტეთ სიმყუდროვეში დასვენება. ამის შემდეგ დაგეგმილი გვქონდა გასტროლები საქართველოში, სადაც ორი თვე უნდა გაგვეტარებინა, მაგრამ მოსკოვიდან მივიღეთ შეტყობინება, რომ სექტემბერში საგასტროლოდ გვაგზავნიდნენ ირანსა და ავღანეთში, რის გამოც ღონისძიება საქართველოში შევამცირეთ ერთი თვით. ყველას გვეტყობოდა რომ ჯერ კიდევ გადაღლილები ვიყავით, არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქიკურადაც. ვინაიდან გასტროლების დროს პატარ-პატარა საყოფაცხოვრებო საკითხების სიმძაფრე ძალზედ მოქმედებს მსახიობის განცდაზე. ზოგან უვარგისი სასტუმრო შეგხვდება, ხან ცუდი მატარებელი, ხან მთელი ღამე აეროპორტში ყვინთავ თვითმფრინავის მოლოდინში, ზოგჯერ მშიერი იძინებ გასვლითი კონცერტის შემდეგ. არის შემთხვევები, ისე ვერ იმღერებ და პარტნიორები გსაყვედურობენ. ჰოდა, ყველაფერი ეს წვრილმანი შემდგომში მსხვილ მიზეზად იქცევა ხოლმე ანსამბლის წევრთათვის და წარმოქმნის კონფლიქტებს ერთმანეთში. რაღა თქმა უნდა ასეთი „კონფლიქტებისაგან" არც „დიელო" იყო დაზღვეული, მითუმეტეს, რომ ყოველ ჩვენთაგანს საკუთარი პერსონა პირველ ვიოლინოდ წარმოგვედგინა ანსამ-

ბლში. რა თქმა უნდა, ამის მიზეზიც იყო, რადგან ამირან ებრალიძე შეუდარებელ არანჟირებასთან ერთად მშვენივრად მღეროდა და უკრავდა სხვადასხვა საკრავზე. გოგი ლეონიძე ბრწყინვალე პირველი ხმა გახლდათ, ბუბა კიკაბიძე სცენაზე ყველაზე შთამბეჭდავი იყო და კარგადაც უკრავდა დასარტყმელ ინსტრუმენტებზე, სოსო ებრალიძე კი საკუთარ სიმღერებს თხზავდა და ოცნებობდა ვაჟთა და ქალთა კვარტეტების შერწყმულ ანსამბლზე. ასე, რომ ამ ამბიციებს რაღაც საყრდენიც ჰქონდა. ეს მომავალმა ცხოვრებამ დაამტკიცა კიდეც. ერთი სიტყვით, სერიოზული კონფლიქტი მწიფდებოდა.

1966 წლის სექტემბერში, მოსკოვში სხვადასხვა რესპუბლიკებიდან წარგზავნილ მსახიობთაგან შედგენილი ჯგუფი ქაბულს გაფრინდა. მას ხელმძღვანელობდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, ვინმე ალექსანდრე დიუჟევი. ამ გასტროლებს ეტყობოდა პოლიტიკური მიმართულება უფრო ჰქონდა, ვინაიდან ჩასვლისთანავე ამხანაგმა დიუჟევმა გამოგვიცხადა, რომ სადილობისას ცოტა გვეჭამა, ლუდი არ მოგვეთხოვა და საერთოდ არავითარი თხოვნებით არ შეგვეწუხებინა მასპინძლები. კონცერტები კი რამდენიც უნდოდათ მასპინძლებს, გინდა დღეში სამი, უნდა ჩაგვეტარებინა. ჩვენდა ბედად ბევრი კონცერტები არც მათ მოუთხოვიათ, თორემ 40-45 გრადუსიან სიცხეში წარმოიდგინეთ რა დღეში ვიქნებოდით. დაგვაბინავეს ქაბულის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. ჩვენ ოთხივე ერთ ოთახში ვიყავით. მართლაც აუტანელი პირობები შეგვექმნა, დაძაბულობა მატულობდა. ერთ საღამოს ამხანაგმა დიუჟევმა გამოგვიცხადა, რომ ხვალ დილიდან გავდივართ ქალაქგარეთ დასასვენებლად, რის გამოც საუზმე და სადილი არ გვექნებაო, ამიტომ სასადილოს სამზარეულოდან წამოვიღებთ ცოტა ხორცს და ბუნების წიაღში მწვადი ქართველებმა უნდა შეგვიწვანო. რას ეტყვი ახლა ამხანაგ დიუჟევს? თქვა და მორჩა. ბიჭებმა კი ჭამა კარგი ვიცით, გაკეთების რა მოგახსენოთ. გატყდა ჯოხი ჩემზე, მწვადის საქმე ბიჭებმა მე ამკიდეს. ისე, კარგი

ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე და გზას გიჩვენებო, ჰოდა, ჩაველი მზარეულებთან, დავაჭრევინე ხორცი, ჩავაბასტურმებინე ტაშტში და მაცივარში შევაბრძანებინე. დილით გამზადებული ბასტურმა ავტობუსით თან წავიღეთ. საქმე ის ყოფილა, რომ ჩვენი ამხანაგი დიუჟიევი ერთი დღის ჭამის ეკონომიას უკეთებდა მასპინძლებს 5 კგ ხორცის ხარჯზე. გვატარა ავტობუსით ექსკურსიაზე მშიერი მსახიობები, გვატარა და ბოლოს თვითონ რომ მოშივდა, ერთ ჩეროში დაგვაბინავა და აქ შევწვათო მწვადები, ბრძანა. მოკლედ, რომ გითხრად, ეს მშიერი არტისტები დასკდნენ ამ უმი მწვადის ჭამით. ისე შიოდათ, რომ არ აცლიდნენ შეწვას, თან გაიძახოდნენ: ეს რა მშვენიერებაა. ასე გამოვძვერით სიტუაციიდან ამხანაგ დიუჟევის წინაშე. ამისთანა მძიმე პირობებიანი გასტროლი მგონი მაგადანის მიდამოებშიც არ გვქონია და ამიტომ მოსკოველი მსახიობები, თან წამოღებულ არაყს ურტყმადნენ ხოლმე გვიან ღამით. ერთ-ერთ ასეთ პიკნიკზე ჩვენც დაგვპატიჟეს. მე და გოგიმ ადრე მივატოვეთ ვახშამი, რადგან ვახშმის გარდა სხვა ინტერესი იქ ჩვენ არ გვქონდა, ხოლო ამირანი და ბუბა გვიან მობრუნდნენ. შემოსვლისას რაღაც წვრილმანზე შეკამათდნენ, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ანსამბლისათვის. ბუბამ გაგვიცხადა, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე ტოვებდა ანსამბლ „დიელოს".

ირანში გასტროლები ჩაგვეშალა იქაური პოლიტიკურ დაძაბულობის გამო. სექტემბრის ბოლოს თბილისში ვიყავით. ბუბა კიკაბიძემ მიატოვა ანსამბლი. ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილი გვქონდა გასტროლები ურალის ქალაქებში. გასტროლების ჩაშლა არ შეიძლებოდა. ამიტომ ანსამბლ „ორერადან" წამოსული თამაზ ფანჩვიძე და ცქრიალა ქალიშვილი, მშვენიერი მომღერალი ნანული აბესაძე სასწრაფოდ შევიყვანეთ პროგრამაში და გავემგზავრეთ სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში. ბუბა კიკაბიძემ კი „ორერაში" დაიწყო მუშაობა. გასტროლების დროს დავრწმუნდით, რომ ჟღერადობა ანასმბლისა დაირღვა. ჩვენი კონცერტი ის აღარ იყო, რაც უწინ. იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი

მეგობარი თამაზ ფანჩვიძე მშვენივრად მღეროდა და კარგი იუმორით გამოირჩეოდა სცენაზე, ის მაინც უფრო ორერას ყაიდაზე იყო გაწაფული, ხოლო ბუბა დიელოს სტილით იყო გამსჭვალული. რაც შეეხება ნანული აბესაძეს, მან ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს. მღეროდა სოლო სიმღერებს, ცეკვავდა ჩვენთან ერთად და ანსამბლურ სიმღერებშიც მშვენიერი იყო, მაგრამ თვითონ კვარტეტი „დიელო" ის აღარ იყო. ერთი სიტყვით, ამ გასტროლების შემდეგ ჩვენ დავიშალეთ. „დიელო" ამ სახით ვერ იარსებებდა. საჭირო შეიქმნა ახლებურად აწყობილიყო ანსამბლის სახე, რაც ძალიან წარმატებით გააკეთა ამირან ებრალიძემ. მან ანსამბლში მოიწვია იმდროინდელი ჯაზის ოსტატები: ალექსანდრე რაქვიაშვილი, ავთო მამაცაშვილი, ედუარდ ისრაელოვი, სხვა ნიჭიერი შემსრულებლები და შექმნა ბრწყინვალე ანსამბლი, ახლებური „დიელო". ჩვენმა გოგი ლეონიძემ ერთხანს ფოლკლორულ ანსამბლებში დაიწყო სიმღერა, მაგრამ გულმა მაინც ესტრადისაკენ გამოუწია და 1979 წელს ალექსანდრე ბასილაიასთან ერთად ჩამოაყალიბეს ანსამბლი „ივერია". მე კი, ჩემი ოცნების გზას გავუყევი და დავიწყე ოთხი ქალისა და ოთხი ვაჟის შერჩევა, რათა ჩამომეყალიბებინა საესტრადო ვოკალური ოქტეტი „ციცინათელა". ეს იყო 1966 წლის დეკემბერი. მთელი დეკემბერი და იანვარი მოვანდომე მომღერლების შერჩევას. ბედზე, ღმერთმა ერთ-ერთი პირველთაგანი მოიყვანა ოთარ ილურიძე. მან დიდი ამაგი დასდო „ციცინათელას" ჩამოყალიბებას. ყოველდღე რამოდენიმე გოგობიჭები მოჰყავდა გასასინჯად. ბოლოს და ბოლოს პირველი შემადგენლობა ჩამოყალიბდა ასე: მარინა ვაჩნაძე, ლანა ებრალიძე, ლილი ზღვაური, ლიანა ხატიაშვილი, რენო ახობაძე, სოსო ებრალიძე, ოთარ ილურიძე და თემურ წიკლაური. რეპეტიციის პერიოდში გაგვითხოვდა ლიანა ხატიაშვილი. რენო ახობაძემ ოჯახური პირობების გამო ველარ შეძლო რეპეტიციების გაგრძელება. მათი ადგილები დაიკავეს ციალა იანთბელიძემ და ალეკო ფურცვანიძემ.

ამასთან ერთად საჭირო იყო მცირე ფორმის ორკესტრის შექმნა. პირველი, ვინც მომიყვანეს იყო პიანინოზე დამკვრელი 16 წლის რომან რცხილაძე („სპილო"). ეს ზედმეტსახელი ჩემი შერქმეულია. ერთი სიმღერა არც კი დაუკრავს ჩვენს სპილუკას, ისე ჩაირიცხა ანსამბლის შემადგენლობაში. მისი ნიჭი ბაჯაღლო ოქროსავით ბრწყინავდა. თავიდან დავუსვი მას დიაგნოზი, რომ იგი ბრწყინვალე მუსიკოსი გაიზრდებოდა, რაც ასრულდა კიდეც. იმ ხანად საქართველოს ფილარმონიას მუსიკოსი ინსტრუმენტალისტები ძალიან უჭირდა, ამიტომ ისინი ჩამოგვყავდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან. ასე მოხვდა ჩვენს ორკესტრში ზაპოროჟიელი ვიტალი სტონოჟენკო, ბაქოელი ვალერი ცომაია, თბილისელები ვოვა მოვსესოვი და რაფიკა აბრამიანი. ფრიად საინტერესო ინსტრუმენტული ანსამბლი შეიქმნა, რომელსაც რომან რცხილაძე ხელმძღვანელობდა. ერთი სიტყვით ცამეტნი ვიყავით. რომ იტყვიან, სცენაზე ცეცხს ვანთებდით, ისეთ ტემპში ვმუშაობდით.

საკმაოდ ნაყოფიერად გვეხმარებოდნენ გიორგი ცაბაზე, ოთარ თევდორაძე, ადიკა ოვანოვი, გაიოზ ქართველიშვილი, რეზო წულუკიძე და რა თქმა უნდა ფილარმონიის დირექცია ბატონების გუგული ყიფიანისა და ოთარ პაპიტაშვილის თავკაცობით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი მეგობარი მწერალი და პოეტი ვახტანგ გოგოლაშვილი, რომლის ყოველდღიურ მხარდაჭერას დიდი ძალა ჰქონდა. დღემდე, რაც სიმღერები დამიწერია, ლომის წილი მის ლექსებზეა შექმნილი. მას შემდეგ ვახტანგ გოგოლაშვილი ჩემი ცხოვრების განუყრელი მეგობარია, მე კი მისი ვაჟიშვილის კახაბერ გოგოლაშვილის ნათლია გახლავართ, რომელიც მოვნათლე მოწამეთა ეკლესიაში 1972 წელს. მაშ, ასე, ერთსაათიანი პროგრამა მარტის ბოლოს მზად გვქონდა. ამ მზადებას თან ერთვოდა დაუღალავი, სასოწარკვეთამდე მისული შრომა. აბა წარმოიდგინეთ, ჯერ უნდა არანჟირება გაუკეთო სიმღერას რვა ხმაში, შემდეგ ეს მსახიობები ააცეკვო, აათამაშო, ბოლოს მთლიანი კონცერტი ააწყო და დადგა ისე, რომ ოვაციის

კულმინაცია კონცერტის ბოლოს მოვიდეს. კონცერტის პირველ განყოფილებაში გაერთიანდნენ ფილარმონიის სხვადასხვა ჟანრის მსახიობები. მეორე განყოფილება ანსამბლ „ციცინათელას“ დაეთმო. მოისმინა თუ არა სამხატვრო საბჭომ ჩვენი პროგრამა, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: პირველივე გასტროლის შემდეგ ანსამბლ „ციცინათელამ“ შექმნას და განახორციელოს სოლო კონცერტი ორ განყოფილებად, ვინაიდან მათი შესაძლებლობები ვერ ეტევა ერთ განყოფილებაში. ამაზე მეტი ქებადიდება არ არსებობს, როდესაც თვითონ სამხატვრო საბჭო გავალებს შექმნა ასეთი ტევადი პროგრამა. ახლა საქმე მაყურებელთან შეხვედრაზე იყო. რა თქმა უნდა პირველი გასტროლები საქართველოში დაინიშნა. მოლოდინმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. ბრწყინვალედ ვმღეროდით-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ კონცერტი კი შესანიშნავი გამოვიდა. ასეთი მეორე განყოფილების ფონზე პირველი განყოფილების მსახიობებს ძალზედ გაუჭირდათ მუშაობა. საქართველოს რაიონებში მოგზაურობის შემდეგ კონცერტები დაინიშნა ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. აქაც დიდი წარმატებით გამოვიდა ანსამბლი „ციცინათელა“. თბილისის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა რეცენზია ჩვენს შესახებ სათაურით „ცა და დედამიწა“. ცა — ანსამბლი „ციცინათელა“ იყო. სასწრაფოდ დაიგეგმა რუსეთის ქალაქებში გასვლა, რაც დაევალა ფილარმონიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს იმპრესარიოს, უსაყვარლეს ადამიანს, სახელგანთქმულ ადმინისტრატორს ბატონ სერგო გიორგობიანს. ვიდრე რუსეთში მოგზაურობაზე მოგიყვებოდეთ, მინდა საქართველოს ფილარმონიის ბრწყინვალე კოლექტივზე მოგითხროთ ცოტა რამ.

საქართველოს სახელმწიფო ფილარამონიის დირექტორის ბატონ გუგული ყიფიანის სახელი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გასცდა და მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურად ჩამოყალიბდა. მის სიტყვას ნებისმიერ კონტინენტზე აუწონელი ფასი ჰქონდა. ევროპა, ამერიკა, აზია, სადაც კი მოინდომებდა იქ აწყობდა გასტროლებს. მისი მოადგილე იყო ბატონი ოთარ პაპ-

იტაშვილი, რომლის მუსიკალური ერუდიცია დიდად ეხმარებოდა ფილარმონიას მუშაობაში. მთავარი რეჟისორი — ბატონი გაიოზ ქართველიშვილი დაუღალავად ზრუნავდა ფილარმონიის მსახიობთა კეთილდღეობისათვის, პროგრამებსაც კარგად ადგენდა სხვადასხვა ჯგუფებში და საერთოდ ბატონ გუგული ყიფიანთან ერთად ქართულ ესტრადას აღორძინებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ფილარმონიის მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდა შეუდარებელი კომპოზიტორი ბატონი გიორგი ცაბაძე. სხვადასხვა დროს ფილარმონიაში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები: ბატონები რევაზ ლაღიძე, სანდრო მირიანაშვილი, შოთა მილორავა, ოთარ თევდორაძე, სულხან ცინცაძე, ვაჟა აზარაშვილი, ნოდარ გიგაური, იაკობ ბობოხიძე, ქალბატონი ლილი იაშვილი და სხვანი. ლიტერატურულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და დღემდე ხელმძღვანელობს მრავალი პოპულარული სიმღერების, ლექსების ავტორი, ნიჭიერი და სიცოცხლით აღსავსე ბატონი ვახტანგ გოგოლაშვილი. ფილარმონიის მთავარ დირიჟორად აგერ უკვე 35 წელია მუშაობს შესანიშნავი მუსიკოსი, ნიჭიერი პიროვნება, ძვირფასი მეგობარი ადიკა ოვანოვი, რომლის ხელშეწყობით ბევრი ანსამბლი გამოვიდა ფართო ასპარეზზე. მას შექმნილი აქვს ბევრი პოპულარული სიმღერა, რომელსაც მთელი საქართველო მღერის. ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი — დიდი ჯანო ბაგრატიონი, ჩემის ღრმა რწმენით ქართულ ხელოვნებაში მოვლენა გახლდათ. აგრეთვე მინდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოვიგონო ის ძვირფასი ადამიანები, რომლებთანაც გავატარე 40 წელი — ბაჯული გელოვანი, ოთარ სანდომისაშვილი, აკაკი კანდელაკი, დიმა ბილანიშვილი, გიორგი შახნაზაროვი, გაიოზ ჯავახიშვილი, ხვითო გრიგოლაშვილი, ილუშა ჟღენტი, ეთერ ჭიპაშვილი, ბუჭუტა ღოღობერიძე, კიტა ჩოჩიევა, ეფროს პარასტაევა, ვალოდია ორაგველიძე, ვალია ბენდელიანი, ნორა კოზუა, რუსიკო ამირანაშვილი, მანია გევორქოვა, არჩილ დუმბაძე, ანზორ დუმბაძე, როსტომ (ზურა) იაშვილი, ომარ ფერაძე, ომარ ჭიჭინაძე, ლია

ჯოგნიაშვილი და სხვა კეთილშობილი ადამიანები. აქვე მინდა მოვიხსენიო ერთი ძალზედ ნიჭიერი მუსიკოსი. ეს ვაჟა დურგლიშვილია. მისმა თვითმყოფადმა მუსიკამ დიდი პოპულარობა მოიპოვა 60-იანი წლების დასასრულს, რაც 80-იანი წლების ბოლომდე შეინარჩუნა.

დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა საეჭვო, უცხოური, რიტმული სიმღერებითაა გატაცებული, ამიტომ არა მარტო ვაჟა დურგლიშვილის სიმღერები დადუმდა, არამედ საერთოდ ქართული ჰანგები იშვიათი გახდა ესტრადაზე თუ ტელევიზიაში, მაგრამ საკუთარ ძირძველ ფესვებს ვერსად გაექცევა ქართველი კაცი და რაც არ უნდა მოხდეს, მაინც იმღერებენ ქართულს და ძირითადად ქართულად.

ამასობაში დაიგეგმა გასტროლები რუსეთში. ანსამბლი „ციცინათელა" გაემგზავრა მურმანსკში, შემდეგ არხანგელსკში და ურალის ქალაქებში. მართალია, მაყურებელი ბევრი გვყავდა (იმ ხანად ქართული კოლექტივები თითქმის ყველგან ანშლაგებით გამოდიოდნენ), მაგრამ მაყურებელი მაინც გამოთქვამდა უკმარისობის გრძნობას „ციცინათელას" ერთგანყოფილებიანი გამოსვლის გამო. ყველა ერთხმად იმეორებდა, რომ ორივე განყოფილებაში „ციცინათელა" უნდა მუშაობდეს. ამასობაში ანსამბლი ახალ ძალ-ღონეს იკრებდა, რათა ორგანყოფილებიანი სოლო-კონცერტით წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე. აქვე მოხდა პირველი ორგანიზაციული ცვლილებები. პიანინოზე დამკვრელი რომან რცხილაძე იძულებული გახდა დაეტოვებინა ანსამბლი, რადგან 1968 წლის გაზაფხულზე ამთავრებდა მუსიკალურ სასწავლებელს, ხოლო იმავე ზაფხულს აბარებდა მისაღებ გამოცდებს კონსერვატორიაში. მიზეზი რა თქმა უნდა საპატიო გახლდათ და რომან რცხილაძის ნაცვლად ანსამბლში მივიღეთ კარგად მოაზროვნე და ნიჭიერი მუსიკოსი ამირან ენუქიძე. ამავე დროს „ციცინათელას" შეემატნენ 16-17 წლის მშვენიერი ბიჭები, უაღრესად ნიჭიერნი და კეთილშობილნი დათო აბულაძე, ნუგზარ კვაშალი და სულიკო ფანოზიშვილი, რომლებიც ელექტროგი-

ტარებზე საკუთარი აკომპანიმენტით ასრულებდნენ ახალგაზრდულ სიმღერებს.

ანსამბლის ერთ-ერთმა მონაწილემ, კეთილშობილმა პიროვნებამ ალეკო ფურცხვანიძემ სასცენო მოძრაობებს ვერ გაართვა თავი და პატივისცემითა და სიყვარულით დაგვემშვიდობა. მის ნაცვლად პროგრამაში ხელის ერთი მოსმით შემოვიდა ნიჭიერების განსახიერება ექსპრესიული თენგიზ ჩხეიძე.

ყველაფერმა ამან რა თქმა უნდა ანსამბლი „ციცინათელა" კიდევ უფრო გააძლიერა. ერთ თვეში ორგანყოფილებიანი კონცერტი მზად გვქონდა. ბატონმა გუგული ყიფიანმა მაშინვე სურპრიზი გაგვიკეთა და 1968 წლის იანვარ-თებერვალში ერთთვიან გასტროლებზე პოლონეთს გაგვისტუმრა. ეს მოგზაურობა „ციცინათელასთან" ერთად გაიზიარა მშვენიერმა, ნიჭიერებით ალსავსე შემომქმედმა, კომპოზიტორმა და მომღერალმა ეთერ ჭელიძემ. მისი გამოსვლები პოლონეთში დიდი ოვაციებით მიმდინარეობდა. ერთ თვეში ჩავატარეთ 32 კონცერტი. გამოვედით კრაკოვში, გდანსკში, გდინიაში, სოპოტში, ვარშავაში, კონგრესების სასახლეში. ვერ ვიტყვი, რომ პოლონეთი გადავრიეთ, მაგრამ დიდი სითბო და სიყვარული რომ ვიგრძენით მათი მხრიდან, ეს ცხადი იყო. პრესაც კარგად გვახასიათებდა, ტაში და ბრავო არ მოგვკლებია. კარგ პირობებშიც ვცხოვრობდით, ხელმეორე მოწვევაც გაგვიკეთეს. ერთი სიტყვით, ორივე მხარემ ვისიამოვნეთ.

თბილისში კი ჩვენს ირგვლივ აჟიოტაჟი არ წყდებოდა. პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე ჩვენმა მეგობარმა, ტელევიზიის საესტრადო გადაცემათა მთავარმა რედაქტორმა ავთანდილ გაჩეჩილაძემ მიგვიწვია ტელეგადაცემისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის მაშტაბით მიდიოდა. ეს იყო 30 წუთიანი კონცერტი „ციცინათელა". ეს გადაცემაც რა თქმა უნდა ფუნიკულიორის პლატოდან მიდიოდა. გამოცდილება უკვე საკმაო გვქონდა, როგორც ავთო გაჩეჩილაძეს, ისე მეც. ამიტომ ზედმეტად აღარ ვღელავდით. ეს გადაცემა ავთო გაჩეჩილაძემ და მერაბ ჯალიაშვილმა ფეიერვერკივით გააკეთეს. მოსკოვმა და ლენინგრადმა

„ციცინათელას„ გამოჩენა საკავშირო ეკრანზე მაღალ ტონალობაში დააფიქსირეს და თითო თვიან გასტროლებზე მიწვევამაც არ დააყოვნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საკავშირო არენაზე გრანდებში ვიმკვიდრებდით ფეხს.

მაშ ასე, სექტემბერში მიწვეული ვართ მოსკოვში, ოქტომბერში ლენინგრადში, ნოემბერში კი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ეს გასტროლები ბარე ორ უცხოეთში მოგზაურობას სჯობდა. მაგრამ ზაფხული ჯერ წინ გვედო, ამიტომ საქართველოში მოგზაურობა გადავწყვიტეთ.

ამასობაში, ფილარმონიაში დაირხა ხმები, რომ ერთ-ერთ მოცეკვავეს, რომელიც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ცეკვავდა, შესანიშნავი ხმა აქვსო. დავინტერესდი, თუ ვინ იყო ეს ყმაწვილი კაცი და ვთხოვე მოეყვანათ, რათა მომესმინა. მართლაც მომიყვანეს მშვენიერი ხმის მქონე, ლამაზი გარეგნობის მქონე ჭაბუკი. მას ყველა ვიცნობდით, როგორც კარგ მოცეკვავეს. ეს ახალგაზრდა გახლდათ გენო ონაშვილი. არავინ არ ვიცოდით, თუ მას ასეთი მდიდარი ტემბრის ძლიერი ხმა ჰქონდა. ამასთანავე დასარტყმელ ინსტრუმენტზეც უკრავდა. უყოყმანოდ ჩავრიცხე ანსამბლის შემადგენლობაში სოლისტად, რადგან ვაჟთა კვარტეტი შევსებული იყო. შემდგომში, თანდათანობით ადგილს ვუთმობდი და ანსამბლურ სიმღერას ვაჩვევდი. ისე კი მართალი გითხრათ, არ შევმცდარვარ. მისი სოლო გამოსვლები ისეთი ოვაციით მიდიოდა, რომ თითოეულ სიმღერას ორ-ორჯერ ამღერებდნენ. ეს იქნებოდა თბილისში, ომსკში, მოსკოვში თუ ბათუმში, სადაც კი ჩავიდოდით კონცერტის შემდეგ გოგოები გუნდ-გუნდად დასდევდნენ.

ამჯერად საქართველოში მოგზაურობას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკაში კონცერტების დამგეგმავი, ძლიერი ადმინისტრატორი ბატონი აკაკი კანდელაკი. ამ კაცმა კი მართლა გაგვაგიჟა, ორ თვეში 130 კონცერტი ჩავატარეთ მთელ საქართველოში. მაგალითად, ბათუმის ფილარმონიის დირექციამ გარანტიის ხელშეკრულება არ გაუფორმა ჩვენს ადმინისტრატორს, ვინაიდან

იგი დღეში ხუთ კონცერტს თხოულობდა ჩვენი ანსამბლისათვის. მაშინ აკაკი კანდელაკმა ხუთი კონცერტი დანიშნა ბათუმის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, როცა ჩვენს ჩასვლამდე ხუთივე კონცერტის ბილეთები გაიყიდა, მაშინ კი, იცოცხლე, დაუწყეს ძებმა ჩვენს ადმინისტრატორს, რათა გარანტიაზე გადაეფორმებინათ ხელშეკრულება. ჩვენ რა თქმა უნდა ჩავედით თუ არა, ხელშეკრულება გადავიფორმეთ, ვინაიდან ქუთაისის, ბათუმის და სოხუმის ფილარმონიები საქართველოს ფილარმონიის დაქვემდებარებაში იყვნენ და ანსამბლები მათ საკმაო მოგებას უტოვენდნენ. ასევე მოხდა მეორე შებრუნებაზეც. ჩვენს ადმინისტრატორს კიდევ სამი კონცერტის ჩატარება უნდოდა ერთი თვის შემდეგ. აქაც უნდობლობით შემოხედეს ბატონ აკაკი კანდელაკს, მაგრამ ამ კაცმა თავისი საქმე ბრწყინვალედ იცოდა და კიდევ სამი ანშლაგი გააკეთა. ასე ვიმუშავეთ ბათუმის საზაფხულო თეატრში. გავმართეთ რვა კონცერტი, იყო დღეები, როცა 3-4 კონცერტს ვატარებდით, მაგალითად, საირმეში ერთ დღეს ჩავატარეთ 6 კონცერტი. ეს რა თქმა უნდა ხარისხობრივად აღარ ვარგოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ხანდახან, ალბათ საჭიროა საკუთარ თავს გამოცდა ჩაუტარო. ასე და ამრიგად, ორ თვეში გამოგვივიდა 130 კონცერტი. ამას დაუმატეთ კონცერტის შემდეგ ბანკეტები. რა თქმა უნდა გადავიღალეთ. თბილისში დაბრუნებისთანავე ორკვირიანი შვებულება გამოვაცხადეთ. 15 აგვისტოდან ბატონმა გუგული ყიფიანმა ფილარმონიის თეატრში დანიშნა 5 კონცერტი. ამას მოჰყვა კიდევ ხუთი დამატებითი კონცერტი, შემდეგ კიდევ სამი და ამრიგად, თბილისშიც დიდი ოვაციებით ჩავატარეთ 13 კონცერტი. ახლა კი ჯერი მოსკოვსა და ლენინგრადზე მიდგა.

1968 წლის 10 სექტემბერს უკვე მოსკოვში ვიყავით. აქ ჩავატარეთ 25 კონცერტი, თითქმის ყველა ცენტრალური ესტრადის მოედნებზე, მათ შორის მოსკოვის ესტრადის თეატრში. მიწვეული ვიყავით მოსკოვის ტელევიზიაში გადაღებებზეც. საკავშირო რადიოში ჩავწერეთ სიმღერები, მათ შორის გიორგი ცაბა-

მის „წეროები“, რომელიც საკავშირო რადიოს გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო სიმღერად იქნა აღიარებული.

მოსკოვს მოჰყვა ლენინგარდი, შემდეგ რიგა, ვილნიუსი, ტალინი, მინსკი, კიევი, კიშინიოვი, ტაშკენტი, ალმა-ატა, იალტა, სიმფეროპოლი, ხარკოვი და მრავალი სხვა ქალაქი. ყველგან შესანიშნავი შეხვედრები და ხალხით სავსე დარბაზები, ოვაციები და გულთბილი გაცილებები. აქედან ყოველი წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როგორც წესი, მოსკოვსა და ლენინგრადში ვიყავით. როცა ანსამბლი შეხმატკბილდება, შედუღაბდება და ერთმანეთის მხარს იგრძნობს, მაშინ იწყება აღმასვლა. ვიმეორებ, სიმღერით ვარსკვლავებს არ ვწყვეტდით, მაგრამ კონცერტის სანახაობითი მხარე ძალზედ ძლიერი გვქონდა. წარმოიდგინეთ ქალთა კვარტეტი, ვაჟთა კვარტეტი, ერთად სიმღერა ოქტეტში, სოლოები, დუეტები, გიტარებზე დამკვრელი ლამაზი ბიჭების ტრიო, გენო ონაშვილის სოლო გამოსვლები, კარგად გააზრებული და დადგმული კონცერტი, იუმორი, ცეკვა და ახალგაზრდული შემართება. ასეთ აწყობილ მექანიზმს რომ ერთ ჭანჭიკს მოაცლი, ნებისმიერი ძრავა გამოვა მწყობრიდან. ასე დაიწყო ჩვენი ძრავის მოშლა 1969 წლის ზაფხულში, როცა საქართველოში საგასტროლოდ გავემგზავრეთ მთელი შემადგენლობით. ყველა კარგ ხასიათზე ვიყავით. როგორც ყოველთვის 2-3 კონცერტი გვქონდა ყოველდღე. გასტროლის დამთავრებას ერთი კვირალა აკლდა, რომ ერთ-ერთმა ახლობელმა, თითქმის ნათესავმა კაცმა, რომლის გვარს განგებ არ ვასახელებ, ანსამბლიდან მომტაცა ქალიშვილი, თანაც პირველი ხმა. კონცერტი მის გარეშე ჩავატარეთ. რა თქმა უნდა გაგვიჭირდა, მაგრამ ხან ერთი ქალი მღეროდა პირველ ხმას, ხან მეორე. იმავ ღამეს თბილისიდან გამოვიძახეთ შესანიშნავი მომღერალი, სათნო ადამიანი, ლამაზი ქალიშვილი მედიკო გველესიანი, რომელმაც თითქმის ზეპირად იცოდა ჩვენი რეპერტუარი. მეორე დღეს, 12 საათი იქნებოდა, მედიკო გველესიანი ბორჯომში რომ გამოჩნდა. სახელდახელოდ გავიარეთ რეპეტიცია და საღამოს კონცერტი სათანადო სიმაღლეზე ჩავა-

ტარეთ. მაგრამ წინ თურმე კიდევ სურპრიზები გველოდა. ამავე 1969 წელს გათხოვდა ლილი ზღვაური, რომელიც დაქორწილდა ჩვენივე ანსამბლის წევრზე თემურ წიკლაურზე. შემდეგ გათხოვდა ციალა იანთბელიძე, ამას მოჰყვა მედიკო გველესიანის გაბედნიერება, რის შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ ლანა ებრალიძემ გადავწყვიტეთ გვყოლოდა მეორე შვილი. პირველი ირინე 1962 წელს დაიბადა, მეორე შვილი ამირანი კი 1970 წელს. ასე და ამრიგად, ვიდრე ჩვენი ანსამბლის გოგოებს ფეხმძიმობა არ უშლიდათ ხელს, ანსამბლი არ მიუტოვებიათ, მაგრამ 1970 წლის ზაფხულისათვის ჩვენი ანსამბლი „ციცინათელა" დარჩა ორი გოგონას გარეშე. მწარე გამოცდილებამ მაიძულა რომ ანსამბლში მომეწვია ერთი ან ორი ქალი და არა გასათხოვარი ქალიშვილები, რადგან მესამედ პროგრამის გაკეთების ენერგია უკვე აღარ გამაჩნდა. ასე აღმოჩნდა ანსამბლში ელენე ნიკოლაძე და მისი მეუღლე ალეკო მხეიძე. ამავე დროს ანსამბლი დატოვეს ოთარ ილურიძემ და თენგიზ ჩხეიძემ, რომელთაც თავისი სპეციალობით მუშაობა გადაწყვიტეს. მათ შესაცვლელად ალეკო მხეიძის გარდა მოვიწვიე უკვე სახელოვანი მომღერალი, მშვენიერი ხავერდოვანი ხმის მქონე სერგო ნონიაშვილი. ჩვენი ანსამბლი დატოვა გენო ონაშვილმა, რომლის წასვლამ ყველაზე ძლიერ დამწყვიტა გული, რადგან მასზე სხვებთან შედარებით მეტი ენერგია მქონდა დახარჯული და როცა ფეხზე დავაყენე, მაშინ წამართვეს. (მომღერლების წართმევის ოსტატები იმდროინდელ ფილარმონიაში საკმაოდ ბევრნი იყვნენ). მადლობა ღმერთს, ჩვენმა გენო ონაშვილმა დიდი სითბო და სიყვარული შეინარჩუნა ჩემი ოჯახის მიმართ და დღემდე ტკბილი მეგობრობა გვაკავშირებს.

მაგრამ ღვთისნიერ ადამიანს თურმე ღმერთი არ გაწირავს. საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ ქართული სამზარეულოს დღეებთან დაკავშირებით ბუდაპეშტში მიგვიწვია. ჩვენ დაგვეკისრა ამ დღეების მუსიკალური მხარე. ეს, რა თქმა უნდა ორგანყოფილებიან სოლო კონცერტს არ საჭიროებდა. მთელი საღამოს

განმავლობაში სასტუმრო ბუდაპეშტის რესტორანში უნდა შეგვესრულებინა ქართული მელოდიები და ცეკვები. ქართულ ცეკვებს ხელმძღვანელობდა სახელოვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი გელოდი ფოცხიშვილი. სექტემბრის ბოლოს გავემგზავრეთ ბუდაპეშტში, სადაც ვცხოვრობდით ფეშენებელურ სასტუმრო „ბუდაპეშტში“ და საღამოობით ვმუშაობდით მისსავე რესტორანში. დრო ბევრი გვქონდა, ამიტომ მომავალი პროგრამის შექმნაზეც აქვე დავიწყეთ მუშაობა, ახლა უკვე სხვა შემადგენლობით: ხუთი კაცი ორკესტრში შედიოდა, ვაჟთა ვოკალური კვარტეტი, ალეკო მხეიძე, სოსო ებრალიძე, სერგო ნონიაშვილი, თემურ წიკლაური, სამი მომღერალი ქალი — მედიკო გველესიანი, ციალა იანთებლიძე, ელენე ნიკოლაძე და ჩვენი ახალგაზრდა, ლამაზი და ნიჭიერი ბიჭები დათო აბულაძე, ნუგზარ კვაშალი და სულიკო ფანოზიშვილი. ერთი შეხედვით თითქოს არაფერი მოხდა. ოთხი ქალის მაგივრად სცენაზე იყო სამი ქალი, მაგრამ განსხვავება დიდი გამოვიდა. ის ოთხი ქალი ერთი სიმაღლის, ერთ ზომის და თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ, თანაც მაგრად შეხმატკბილებულნი, ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმოდათ. აქ კი ძველებიდან ერთიღა შემორჩა. თანაც ელენე ნიკოლაძე უფრო სოლისტობისაკენ ილტვოდა, ვიდრე ანსამბლურობისაკენ. ამის გამო ირღვეოდა როგორც სასიმღერო, ასევე სცენური ბალანსი. ამიტომ იმ პირველი შემადგენლობის შემდეგ სასურველ შემოქმედებით დონეს ველარ მივაღწიეთ.

ბუდაპეშტში ყოფნისას 1970 წლის 1 ოქტომბერს, დილით, წინა ღამით გადაღლილი, ღრმა ძილში ვიყავი, როცა თავს დამადგნენ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები, ბატონები: კოტე ბოჭორიშვილი, მირიან შიხაშვილი, ივანე ბოკერია და იური გაბუნია, წამომახტუნეს საწოლიდან და ყურის აწევა დამიწყეს. თურმე თბილისიდან მოსულიყო დეპეშა. მატყობინებდნენ, რომ შემეძინა ვაჟიშვილი, ამირან ებრალიძე. შემდგომში მისი ნათლიები გახდნენ კოტე ბოჭორიშვილი და თინა ცომაია-გელაძისა. ბატონი კოტე ბოჭორიშვილი („პუტკუ“) თბილისის მშვენება

კაცი გახლდათ. რაც მას სიკეთე ჰქონდა დათესილი ამ ქვეყნად, ბარე 100 კაცს ეყოფოდა დასანაწილებლად, მაგრამ უიღბლო კაცი ყოფილა და მძიმე ავადმყოფობამ უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე. მეორე ნათლია თინიკო ცომაია ჩემი მეგობრის გელა გელაძის მეუღლეა. მათი ოჯახი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გულში მყავს ჩახუტებული. ღმერთმა მიდღეგრძელოს ასეთი კარგი ხალხი.

თბილისში დაბრუნებულებს მშობიარობის მომლოდინე, უკვე ქალბატონები მედიკო გველესიანი და ციალა იანთბელიძე ანსამბლს გამოეთხოვნენ. დავრჩით ერთი ქალის ამარა. ამ შემადგენლობით მოვიარეთ რუსეთისა და შუა აზიის ქალაქები. ჩვენს შემოქმედებას დაღმა სვლა დაეტყო, რის გამოც ანსამბლიდან წავიდა უკვე პოპულარული მომღერალი თემურ წიკლაური. ერთადერთი გზა დაგვრჩა, მიგვეღო წინადადება ახლად გახსნილი ღამის ბარში „მუხამბაზი" სამუშაოდ, რომელიც შემოგვთავაზა „ინტურისტის" ხელმძღვანელობამ: ბატონებმა ზურაბ მახარაძემ და იულონ ჭეიშვილმა. ეს ღამის ბარი სპეციალურად გაიხსნა უცხოელი სტუმრებისათვის. რა თქმა უნდა ქართველი ინტელიგენციაც მისი ხშირი სტუმარი იყო. მუშაობა საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა ათასობით მაყურებელთა თვალწინ გამართულ კონცერტს. გული ავიცრუე და სცენაზეც იშვიათად გამოვდიოდი. ჩვენი შემოქმედება ერთ ადგილზე გაიყუმცა ღამის ბარისათვის ეს პროგრამა საკმაოდ კარგად გვქონდა მომზადებული. აქ ჩვენი ანსამბლი „ციცინათელა" ერთ წელიწადს შეყოვნდა, ე. ი. ერთი წელი ერთ დონეზე ვიყავით. ამასობაში ანსამბლი დატოვეს ჩემმა საყვარელმა შვილობილებმა დათო აბულაძემ და ნუგზარ კვაშალმა და მიაშურეს ანსამბლ „ივერიას", სადაც უკვე რეპეტიციობნდნენ ანსამბლის ყოფილი წევრები თემურ წიკლაური, ლილი ზღვაური და თენგიზ ჩხეიძე. ანსამბლი „ივერია" ამ დროს ფეხს იდგამდა. ჩვენს ანსამბლში დაბრუნდა რომან რცხილაძე, ლანა ებრალიძე, მოვიდნენ ახალი წევრები: ვახტანგ კუცია, ბიძინა ბატიაშვილი, რამაზ დანელია.

ერთი სიტყვით რეპეტიციები ჩვენც გავაჩაღეთ, რადგან გერმანიაში გასტროლები გველოდა. პროგრამა, რომელიც ამ პერიოდში გავაკეთეთ, საკმაოდ კარგი გამოვიდა: 2 ქალი, 4 ვაჟი, 5 ორკესტრის წევრი ლამაზად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩემი გული არ გამთლიანდა. მე მაინც იმ პირველ შემადგენლობას ვეტრფოდი და რაც არ უნდა გამეკეთებინა, აღარაფერი არ მახარებდა. ამ შემადგენლობით მოვიარეთ საქართველო, გერმანია, რუსეთი, მოლდავეთი და უკრაინის ქალაქები. კონცერტებმა ნორმალურად ჩაიარა. ნორმალურად და არა ბრწყინვალედ, როგორც ადრე. ანსამბლ „ციცინათელას" აქციები ნელ-ნელა ეცემოდა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ გადავწყვიტე ისევ ღამის ბარში დამეწყო მუშაობა, რადგან მიპატიჟება „ინტურისტიდან" ყოველთვის მქონდა. ვიფიქრე, ცოტას ამოვისუნთქავთ, მაგრამ პირიქით კი მოხდა. მომაბეზრებელია ერთ ადგილზე ყოფნა და ერთი და იგივეს კეთება. შემოქმედი ადამიანი ამ დროს იშტამპება, უსაქმურობა გძალავს, უფრო მეტ დროს ქეიფს ანდომებ და საერთოდ დუნდები. ამიტომ ღამის ბარში დავტოვე ანსამბლის ზოგიერთი წევრი და გადავწყვიტე შემექმნა ახალი სტილისა და ფორმის ანსამბლი ისევ „ციცინათელას" სახელით. ამისათვის ანსამბლში მოვიწვიე სახელოვანი მომღერალი, სიმღერის დიდოსტატი, რუსული რომანსის შეუდარებელი შემსრულებელი, ჩემი საყვარელი მეგობარი მედეა ძიძიგური. მივიღე აგრეთვე ოთხი მუსიკოსი ჩასაბერ ინსტრუმენტებზე: საქსაფონზე — ბორის ლარიონოვი, ტრომბონზე — ალექსანდრე ლიოზნოვი, საყვირზე დამკვრელები — გივი ჯაგაშვილი და რომან ტერტეროვი. შევქმენი ქალთა ტრიო ჯული ჯუღელის, ლია ჯაბუას, რუსიკო პეტრიაშვილის შემადგენლობით. გიტარაზე დამკვრელები: თემურ ხურციძე, სულიკო ფანოზიშვილი და ბასგიტარაზე — ვახტანგ კუცია. ელექტრო-ორღანზე უკრავდა არტურ ოგანეზოვი, რომელსაც ლამაზი ბარიტონი ჰქონდა. ამ შემადგენლობითაც კარგი პროგრამა გავაკეთეთ. მოვიარეთ საქარათველოს ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ იმდენად გადაღლილი ვიყავი, რომ შორს

სამოგზაუროდ წასვლა აღარ მინდოდა, მით უმეტეს, რომ ცოლშვილთან განშორება უკვე მიჭირდა. ჩემთვის აუცილებელი იყო დიდი ხნით „პაუზის“ გაკეთება, რათა გონს მოვსულიყავი ამდენი ნერვიული დაძაბულობის შემდეგ. ამიტომ ისევ, უკვე მესამედ თავი შევყავით ღამის ბარში „მუხამბაზი“. ქალბატონმა მედეა ძიძიგურმა რა თქმა უნდა იქ მუშაობა არ ისურვა და როგორც ყოველთვის შეეძლო, ახლაც განაგრძო საკუთარი შემოქმედებითი გზა. ანსამბლის დანარჩენი შემადგენლობა სიამოვნებით ჩაჯდა ღამის ბარში სამუშაოდ და კარგა ხანს იყვნენ ამ დაწესებულებაში. ამჯერად მე აღარ ვმონაწილეობდი კონცერტებში და შემოვიფარგლე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელობით. „ციცინათელაში“ სხვადასხვა დროს მუშაობდა კიდევ რამდენიმე მსახიობი, რომელთა მიმართ დამრჩა დიდი პატივისცემა და სიყვარული, ამიტომ მინდა მათ მიმართ გამოვთქვა ჩემი გულთბილი სიტყვები.

სოსო ჟვანია — უაღრესად მუსიკალური მომღერალი, სასწაულებრივად პატიოსანი კაცი, შრომისმოყვარე, ერთგული, დიდი პიროვნული თვისებებით.

შინაგი ნაცვლიშვილი — ეს ადამიანი უფროსი თაობის წარმომადგენლი გახლდათ — მეგობრების სული და გული. თავდაპირველად მუსიკალური კომედიის თეატრში მუშაობდა თბილისში და მოსკოვშიც. შემდეგ ესტრადაზე გადმოვიდა, შექმნა მეტად ორიგინალური სახე ესტრადის მომღერლისა და ყველგან დიდი წარმატებით გამოდიოდა. ჩვენს პროგრამაშიც, როცა კი გაგვიჭირდებოდა, მას მოვუხმობდი და დიდი სიყვარულით გვიმსუბუქებდა ჭაპანს. ასეთი კეთილშობილი და ძვირფასი ადამიანია ჩვენი ბატონი შინაგი ნაცვლიშვილი.

ტარიელ გელაშვილი — სპეტაკი და მართალი კაცი, დიდი უილბლო ადამიანის შემოქმედებითი ნიჭით გაჟღენთილი. რა სიმღერა გინდა, რა იუმორი გინდა, მშვენიერი მსახიობი და მომღერალია ჩვენი ტარიელი, მაგრამ რა, ზემოთ გითხარით და კიდევ ვიტყვი, უილბლო კაცია.

ზეინაბ ქურდიანი — თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 1971 წელს ავიყვანეთ ჩვენს ანსამბლში, მშვენიერ ხმასთან ერთად კარგად მოძრაობდა სცენაზე, კეთილშობილი ადამიანი იყო, მაგრამ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და რა თქმა უნდა ანსამბლში ველარ იმუშავა.

1975 წელს ჩემმა ძმამ ამირან ებრალიძემ ანსამბლი „დიელო" ალმავლობის ზენიტში აიყვანა. შესანიშნავი შემადგენლობა იყო იმ დროს „დიელოში". რომ შემატყო ქანცი გამოლეული მქონდა, ანსამბლში დაბრუნება შემომთავაზა, რაც უყოყმანოდ შევასრულე კიდეც.

1960-70-იან წლებში საქართველოს ფილარმონიაში 30 საესტრადო ანსამბლი არსებობდა. ყოველი მოგზაურობის შემდეგ იწყებოდა ანსამბლიდან ანსამბლში გადასვლები, გადაბირებები. ზოგი სულმთლად ანებებდა თავს ესტრადაზე მუშაობას და ა. შ. ანსამბლ „ციცინათელასაც" ასე მოუვიდა: პირველი შემადგენლობის გოგოების დაკარგვის შემდეგ, ცხოვრების მდინარემ ნაპირებს ბევრჯერ მიმახალა აქეთ-იქით. ამიტომ გადავწყვიტე „დიელოს" მყუდრო სავანეში შემეფარებინა თავი.

მაშ ასე, 1975 წლიდან კვალავ „დიელოს" შემადგენლობაში ვარ. იმდროინდელ „დიელოში" თავი მოიყარეს ძალზედ ნიჭიერმა მუსიკოსებმა: თამაზ გაბუნიამ, გივი გაბუნიამ, მიხეილ ფოფხაძემ, შოთა კოპალეიშვილმა, ვახტანგ კუციამ, ედუარდ ვართანოვმა, გენო ფიოლიამ, ენვერ ხმიროვმა, მომღერალმა ქალმა ნანა ჭიჭინაძემ, სოსო და ამირან ებრალიძეებმა. „დიელო" რომ ყოველთვის შესანიშნავად მღეროდა ეს ცხადი იყო, მაგრამ კონცერტი იყო გაკეთებული ბრწყინვალედ. თავი კურორტზე მეგონა. როცა მომესურვებოდა, რამდენიც მომესურვებოდა, იმდენ სიმღერას ვასრულებდი. ფუფუნებაში ვყავდი მთელ შემადგენლობას ამირან ებრალიძის მეთაურობით. ყოველი კონცერტის წინ ბიჭები მეკითხებოდნენ: ბატონო იოსებ, სიმღერის ხასიათზე თუ ხართ? ასეთ სიამტკბილობაში გავატარე მათთან ერთად 3 წელი. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლთან ერთად მოვიარე მოსკოვი, ლენ-

ინგრადი, ბალტიისპირეთი, ციმბირი, ურალის ქალაქები და 1976 წლის ნოემბერში ხუთთვიან გასტროლებზე გავემგზავრეთ აფრიკის ქვეყნებში. ამჯერად აფრიკის კონტინენტს გავეცანით უფრო ახლოს. მართალია მოსკოვში კვლავ დაგვიმატეს რამოდენიმე მსახიობი პროგრამის ვითომდა გასამრავალფეროვნებლად, მაგრამ ძირითადი დატვირთვა „დიელოზე" მოდიოდა. ისე რომ, ოფლის ღვრა არ მოგვკლებია მთელი ხუთი თვის განმავლობაში. ამ გასტროლებზე ჩვენთან ერთად იმოგზაურა შესანიშნავმა ქართველმა მოცეკვავემ, კუკური ძნელაძემ, რომელიც თავის ძმასთან, ავთანდილ ძნელაძესთან ერთად 60-იანი წლებიდან ჩვენი განუყრელი მეგობრები არიან. აფრიკის მოგზაურობიდან ბევრი რამ შემომრჩა მოსაგონარი და მოსაყოლი, მაგრამ შორს რომ არ წაგვიყვანოს ამ მოგონებებმა, მხოლოდ რამოდენიმე ეპიზოდზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ამჯერად მოვიარეთ ანგოლა, კენია, ტანზანია, უგანდა, ეთიოპია, მოზამბიკი, რუანდა, ბურუნდი, ზამბია, ზიმბაბვე. ამ ქვეყნების მაყურებელს ძირითადად კონცერტის სანახაობითი მხარე უფრო აღაფრთოვანებდა, ვიდრე მუსიკალური. ამის გამო ჩვენი ენვერ ხმიროვი აფრიკის პირველი ნომერი გასტროლიორი გახლდათ, რადგან იგი ძალზედ ექსცენტრიული იყო სცენაზე და ბევრს ხუმრობდა კიდეც თავისი ჟესტიკულაციით და მიმიკით.

კენიის დედაქალაქ ნაირობში ჩასვლისთანავე ორკვირიანი უნებლიე დასვენება გამოგვივიდა, ვინაიდან მოსკოვიდან ჩვენი ტვირთი არა და არ გვაღირსეს. ამ ორი კვირის მანძილზე მოვასწარით ბევრი რამის დათვალიერება. რაც მთავარია ვიყავით ნაციონალურ პარკში, სადაც მხოლოდ მანქანით შეიძლება შესვლა და ავტოგზიდან უნდა დაათვალიერო იქაური ფაუნა. მანქანის გაჩერებაც კი არ შეიძლებოდა, თორემ ვეფხვები ან სპილოები თუ დაგეხვია, ვაი შენი ბრალი. ერთ-ერთ ადგილას მაინც გავაჩერეთ მანქანა იმიტომ, რომ პატარა მაკაკების-მაიმუნების ჯგუფის არ შეგვეშინდა. გავჩერდით თუ არა, მაკაკებმა გვიყურეს ერთხანს და შემოახტნენ ჩვენს მანქანებს. რა თქმა

უნდა შიგ ვისხედით. სანამ გული არ იჯერეს მანქანებზე ხტუნაობით და ვიდრე მანქანის დაძვრის იმიტაცია არ გააკეთა მძღოლმა, ისინი არ მოგვშორებიან. როგორც იქნა დავუძვერით და ეროვნული პარკი ბოლომდე დავათვალიერეთ. ჩამორჩენილი აფრიკაო, იტყვიან. ნეტავი ისეთი მოვლა-პატრონობა ვიცოდეთ ჩვენი ფლორისა და ფაუნის, როგორიც მათ და რაღა გვიჭირს. ტანზანიის დედაქალაქ დარესსალამში ყოფნისას მოგვათავსეს ინდოეთის ოკეანის ნაპირთან მდებარე პატარა კოტეჯებში. ერთხელ, დღის 17 საათი იქნებოდა, პლაჟზე ვლაღობდით. უცებ ზეცა მოიქუფრა. ხუთ წუთში ჩამობნელდა. ბედზე ახლოს ვცხოვრობდით და მაშინვე მოვკურცხლეთ ჩვენი კოტეჯებისაკენ. სანამ ოთახებში შევედით, მთლად ჩამობნელდა შუაღამის უკუნეთივით. დასცხო, მაგრამ რა დასცხო, ამისთანა ხოშკაკალა წვიმა და სეტყვა არც მინახავს და არც გამიგია. ლამის კოტეჯის მეორე სართულებს მოსწვდა წყალი, მაგარამ ბედად ასევე უცებ გადიღო და ვითომც აქ არაფერიაო, მზემ ისევ გამოაჭყიტა. 10 წუთში ისეთი ამინდი იდგა, როგორც ადრე იყო. თურმე ტროპიკული წვიმები ასეთი ყოფილა.

ამ მოგზაურობაში ვნახე ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი „ვიქტორია", რომელიც სულიერად სასწაულებრივად გამაღლებს და გრძნობ, რომ შენც ბუნების შვილი ხარ, მაგრამ ამსთანავე გთრგუნავს თავისი სიდიადით და სიძლიერით. ერთ-ერთ პატარა დასახლებაში მოგვიწია ღამის გათენება. მოგვაწყვეს ორსართულიან პატარა სასტუმროში, რომელსაც ტყის მხარეს ფანჯრები და კარები არ ჰქონდა. იყო მთლიანი კედელი. ჯერ ხეირიანად არ გათენებულიყო, რომ ამ პატარა სასტუმრომ დაიწყო რყევა. ჩვენ რა თქმა უნდა წამოვხტით და გამოვცვივდით აივანზე. ამ დროს ენვერ ხმიროვი დგას ეზოში და სიცილით იგრიხება ჩვენი შემხედვარე. ენვერი ყოველთვის ადრე დგებოდა. თურმე ნუ იტყვით, უკანა მხრიდან სპილო მოსულა და სახლის კედელზე გვერდებს იფხანდა, ჩვენ კი მიწისძვრა გვეგონა.

ამჯერადაც დედამიწის ეკვატორი ორჯერ გადავლახეთ. სულ

კი ოთხჯერ მაქვს იგი გადასერილი, რასაც ყოველ შემთხვევაში სპეციალური დიპლომებით ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაცია.

როგორც იქნა ეს ხუთთვიანი აფრიკის გასტროლები დასასრულს მიუახლოვდა. ჩვენ გველოდა 4 დღიანი ბედნიერების განცდის ჟამი იტალიაში, კერძოდ, რომში, სადაც გავჩერდით სასტუმრო „დელტაში", კოლიზეუმის პირდაპირ. თავად ქალაქი რომი ერთი მთლიანი მუზეუმია, ვატიკანი კი მისი ზღაპარი. ამის აღწერა შეუძლებელია. ამას სჭირდება დიდი მწერლის ნიჭი, და უზარმაზარი სიტყვათა მარაგი, რაც ჩემს შესაძლებლობას აღემატება. ნანახისაგან ლამის მეტყველება წამერთვა და დიდებულმა ნაირსახეობამ თვალები ამიჭრელა.

ასე დაგვიმთავრდა ყველაზე ხანგრძლივი გასტროლები, რომელიც დაიწყო 1976 წლის 1 ნოემბერს და დასრულდა 1977 წლის 29 მარტს. ჩვენ უკვე თბილისში ვიყავით. რა თქმა უნდა ამდენი ხნის მომქანცველი ღონისძიების შემდეგ, რამოდენიმე თვით დასვენება გადავწყვიტეთ. ამასობაში ჩემი ძმა ამირან ებრალიძე საესტრადო ორკესტრ „რეროს" ხელმძღვანელად გადაიყვანეს. მას თან გაჰყვა ვახტანგ კუცია და ენვერ ხმიროვი. ანსამბლიდან წავიდნენ თამაზ გაბუნია და მიშა ფოფხაძე. ფაქტიურად ანსამბლი დაიშალა. ახალი ანსამბლის ჩამოყალიბება კი არავის აინტერესებდა. მეც მეტი აღარ შემეძლო და მართალი რომ გითხრათ არც სურვილი გამაჩნდა ვყოფილიყავი ხელმძღვანელი.

საერთოდ არსებობს დაუწერელი კანონი, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდან აღსრულებამდე თავის დროს და გასაკეთებელს მიუჩენს. ასევეა ესტრადის მსხიობებში, მითუმეტეს ანსამბლებს შორის. ზოგი 5 წელს იარსებებს, ზოგი 10 წელს და ა. შ. მაგალითად, „დიელომ" იმოღვაწევა 18 წელი, „ციცინათელამ" იცოცხლა 9 წელი, სხვა ანსამბლები უფრო ნაკლები დროით მოევლინენ ესტრადას და გაქრნენ. ასე, რომ როგორც ადამიანები ვართ დროებით მოვლენილნი, ანსამბლების ცხოვრებაც იწყება და მთავრდება.

1977 წლის ზაფხულიდან კარგა ხნით დადუმდა „დიელოს“ ჰანგებიც; ყველამ ხანგრძლივ დასვენებას მივეცით თავი. წელიწადნახევრის განმავლობაში ანსამბლ „დიელოს“ სახელი ჰაერში ეკიდა. მაგრამ როგორც ყოველ შემოქმედს ემართება, მეც გამეხსნა მეორე სუნთქვა და თავმოყვარეობამ თავისი სიტყვა მათქმევინა, ამასთან უკვე კარგა გვარიანად დასვენებულიც ვიყავი და შემოქმედებითმა შინაგანმა ძალამაც მიბიძგა ამისკენ.

1979 წლის გაზაფხულიდან ახალგაზრდა ბიჭებისაგან ვაყალიბებ ანსამბლ „დიელოს“. მუსიკალურ ხელმძღვანელად მოვიწვიე ჩვენი უნიჭიერესი მუსიკოსი რომან რცხილაძე. მასთან ერთად ანსამბლში გაერთიანდნენ: შოთა ჯამბურია, მამუკა სულხანიშვილი, ავთანდილ შარაშენიძე, ნუკრი მელქაძე, შოთა კოპალეიშვილი, თემურ რცხილაძე, ლეილა ჩიჯავაძე, ავთანდილ წიკლაური, ჯონი მაისურაძე, სულიკო ფანოზიშვილი. და კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო უაღრესად დიდი მუსიკალური ნიჭის მქონე პიროვნება თემურ ყვითელაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ყმაწვილობაში გიტარას ვირტუოზულად ფლობდა. უზარმაზარი შრომისუნარიანობა,დისციპლინა და ნიჭი ერთად აღებული გახლავთ შედეგი თემურ ყვითელაშვილის დიდი გამარჯვებებისა. გულწრფელად მიხარია მისი ყოველი წინსვლა.

არანახული ენთუზიაზმით შევუდექით რეპეტიციებს. ყველაფერი კარგად გამოდიოდა. ჩვენი დევიზი იყო „მხოლოდ ქართული სიმღერა“. არც ერთი უცხოური სიმღერა არ შეგვიტანია პროგრამაში. კონცერტის დასაწყისიდან დასასრულამდე ჟღერდა ქართული ჰანგი. ვმღეროდით ბიძინა კვერნაძის, ნოდარ გიგაურის, ირაკლი გიგაურის, ვაჟა აზარაშვილის, გიორგი ცაბაძის, რევაზ ლაღიძის, შოთა მილორავას, რომან რცხილაძის, სოსო ებრალიძის, ზურაბ ხელაიას, შოთა ჯამბურიას, ვაჟა დურგლიშვილის და სხვა ქართველი ავტორების სიმღერებს. წარმატებამაც არ დააყოვნა. ქართულ ესტრადაზე ეს პირველი ანსამბლი იყო, რომელსაც რეპერტუარში არ ჰქონდა უცხოური შლაგერი. ყვე-

ლაფერი დაფუძნებული იყო მხოლოდ ქართულ მელოდიებზე. ეს ყველაფერი მაყურებელმა და მსმენელმა ორმაგი სიხარულით აღიქვა და ანსამბლის წევრების ნიჭიერებასთან ერთად სათანადოდ დააფასა. 1980 წლის იანვარში, ქართული ესტრადის ფესტივალზე, დიდ საკონცერტო დარბაზში, ანსამბლ „დიელოს" ახალი შემადგენლობა მაყურებელმა დიდი ოვაციით მიიღო. კონცერტის შემდეგ იმდენმა მომილოცა წარმატება, რომ გულმა რეჩხი მიყო, ამ ანსამბლსაც დამიშლიან-მეთქი. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, მანამდე საკმაო დრო გვქონდა დარჩენილი. ამ შემადგენლობით ჩავწერეთ ერთი გიგანტი ფირფიტა. გამოვედით რესპუბლიკის ტელევიზიით და მთელმა საქართველომ უმალ შეიყვარა ჩვენი ბიჭები. ამ ბედნიერ წუთებს დაემატა გასტროლები ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც მოსკოვმა დაგვიგეგმა 1980 წლის აპრილისათვის, რამაც წარმოუდგენელი აჟიოტაჟი შექმნა ახალი „დიელოს" ირგვლივ. აპრილიც მოვიდა, მზად ვართ გასამგზავრებლად, წინა დღით ბარგი ჩავაბარეთ აეროპორტში, რათა გაეგზავნათ მოსკოვში. ( მაშინ ყველგან მოსკოვის გავლით დადიოდნენ). ბილეთები ხელთ გვაქვს. მე, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი წავედი ბანკში ჩეხური ვალუტის ასაღებად. ბანკის მმართველმა თავისთან მიხმო და მამცნო: დარეკეს ფილარმონიიდან, ვალუტის აღებისაგან თავი შეიკავოს და სასწრაფოდ ფილარმონიაში მოვიდეს. რა გაეწყობოდა, მოვბრუნდი ფილარმონიაში და შევიტყვე, რომ მოსკოვმა გასტროლები ერთი თვით გადადო. დაუყოვნებლივ გავუშვი ჩვენი ადმინისტრატორი მოსკოვში ამბის დასაზუსტებლად, რადგან კარგად ვიცი გადადებული საქმე თითქმის არასოდეს გამოდის. მეორე სალამოს დაბრუნდა ადმინისტრატორი, რომელმაც გაგვიმარტა: ჩეხოსლოვაკიაში დაწყებულია გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამჟამად საბჭოთა მსახიობების იქ ჩასვლა მიზანშეწონილი არ არის. ეს იყო ჩვენი ბედი. კარგად დაწყებული საქმე დამთუხრუჭდა. ანსამბლის გაჩერება არ შეიძლებოდა, ბიჭები სადმე უნდა გამეყვანა. რუსეთში წასვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვინაიდან

მათთვის პროგრამა უნდა გადაგვეთარგმნა და კონცერტების დაგეგმვაც დროს მოითხოვდა. ამიტომ საქართველოში მოგზაურობა გადავწყვიტეთ. ამ გასტროლებმა კი თავისებურად ბოლო მოუღო ახალ „დიელოს“, რადგან 3 თვე იცხოვრი მძიმე პირობებში, ცუდი კვებით, ბუნებრივია გუნება-განწყობილებას გაუფუჭებდა ახალგაზრდებს. ასეც მოხდა. მოიწყინეს. რაც მთავარია, მათთან არ ვახლდი, ავადმყოფობამ შემიშალა ხელი. მთელი 1981 წელი გავატარეთ საქართველოში გასტროლებზე. 1982 წლის იანვარ-თებერვალში მოლდავეთი და ბელორუსია მოვიარეთ, მაგრამ საზღვარგარეთ გასტროლების ჩაშლამ და საქართველოში მოგზაურობამ ბიჭებს გული გაუტეხა და გაქცევა-გამოქცევაზე დაიწყეს ფიქრი, მითუმეტეს, რომ მიწვევის წინადადებები თითქმის ყველა ანსამბლებიდან ჰქონდათ. იცოცხლე, მოჩვენებით ოქროს კოშკებს უგებდნენ მათი ხელმძღვანელები. ასე აღმოჩდნენ ბიჭები ანსამბლ „ივერიაში“. საერთოდ, ანსამბლ „ივერიაში“ სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ჩვენი წევრები: თემურ წიკლაური, თენგიზ ჩხეიძე, ლილი ზღვაური, დათო აბულაძე, ნუგზარ კვაშალი, რომან რცხილაძე, სულიკო ფანოზიშვილი, ავთანდილ შარაშენიძე, თემურ რცხილაძე. რას იზამ, ბედი და იღბალი ყველა ადამიანს თან დაჰყვება. ჩეხოსლოვაკიის გასტროლი რომ არ ჩაგვშლოდა, მერე და მერე ყველაფერს კარგად ავაწყობდით. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა. ამ ახალ „დიელოს“ ორი წლის სიცოცხლე ეწერა და მორჩა. 1983 წელს, ერთხელ კიდევ და ამჯერად საბოლოოდ შევეცადე გამეკეთებინა ახალი ანსამბლი, სადაც მოვიწვიე შესანიშნავი მუსიკოსები და მომღერლები: თემურ მაისაშვილი, ავთო წიკლაური, სოსო ჟვანია, მარინა კახიანი, თემურ ხურციძე, ანა მათურელი, ვახტანგ კუცია, გია კვაშილავა, გარი ბერუაშვილი და სხვები. პროგრამაც გავაკეთეთ, გასტროლებზეც წავედით ლენინგრადში, ნოვგოროდში, ფსკოვში და მოსკოვის ოლქში.

იმისდა მიუხედავად, რომ შესანიშნავმა შემოქმედებითმა ძალებმა მოიყარეს ამ დროს ანსამბლში თავი, მე მაინც, ეტყობა ველარ

მივყვებოდი ცხოვრების რიტმს, რადგან ასაკიც თავისას შვებოდა. 1983 წელს უკვე 30 წელი სრულდებოდა, რაც ესტრადას ვემსახურებოდი და ბუნებრივია ჩემშიც იჩენდნენ თავს სტერეოტიპები. უკვე ველარ ვგრძნობდი რა უნდოდა ახალგაზრდობას, მათი ინტერესები სხვა იყო. მე კი ჩემებურად მინდოდა ყოფილიყო ყველაფერი. ამიტომ 1983 წლის ბოლოს, საერთოდ თავი დავანებე ესტრადას და გადავედი ადმინისტრაციულ სამუშაოზე.

ამ ბოლო შემადგენლობას მინდა მადლობა გადავუხადო, რადგან გულწრფელად ირჯებოდნენ საერთო საქმის გასაკეთებლად და რომ არა ჩემი ალბათ დროსთან „ჩამორჩენილობა" ესტრადის გაგებაში, ისინი ბევრ რამეს მიაღწევდნენ. აკი მიაღწიეს კიდეც, თემურ მაისაშვილმა და ავთო წიკლაურმა ჩამოაყალიბეს ანსამბლი „ბერიკონი", რომელსაც ხელმძღვანელობენ და კარგი მოწონებით სარგებლობენ. საერთოდ, როგორც მუსიკოსებს და როგორც პიროვნებებს, მათ დიდ პატივს ვცემ. ასევე ვახტანგ კუცია და სოსო ჟვანია ანსამბლ „ორერას" შეუერთდნენ და დღემდე ნაყოფიერად მუშაობენ. ღმერთმა ყველა გამარჯვებით გატაროთ, მეგობრებო!

მთელი შემოქმედებითი პერიოდის განმავლობაში უამრავი რეცენზიები და სტატიები დამიგროვდა სხვადასხვა გაზეთებიდან თუ ქვეყნებიდან, უმეტესწილად ქება-დიდებით მოგვიხსენიებენ. ამიტომ საჭიროდ არ ჩავთვალე მკითხველისათვის მომეწოდებინა ისინი, რათა მათი ყურადღება არ გადამეღალა.

1984-86 წლებში ვმუშაობდი მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოსთან" არსებულ კულტურის სახლის დირექტორად. ეს იყო ჩემი ცხოვრების უფერული წლები.

1986 წლის ოქტომბრიდან კვლავ ფილარმონიაში დავბრუნდი. ამირჩიეს მისი პროფკავშირის გაერიანებული კომიტეტის თავჯდომარედ. ამ ხნიდან მოყოლებული იქ ვიმყოფები. 1992 წელს პროფკომიტეტი დაიშალა და უმუშევარი დავრჩი, მაგრამ ყველა შემთხვევაში მაინც ფილარმონიის მსახიობი გახლავართ.

ცოტა რამ ჩემი ნაწარმოებიებისა და ფირფიტების ირგვლივ. სიმღერის წერა დავიწყე 50-იან წლებში, მაშინ, როცა მშვენიერი ქალბატონების ეთერ ჭელიძისა და ინოლა გურგულიას, ბატონების ზურაბ ხელაიას, ზურაბ რცხილაძის და გურამ ბზვანელის სიმღერები უკვე პოპულარული იყო. ჩემს მუსიკალურ ქმნილებებს არ ვასრულებდი, რადგან ზემოთ ნახსენები მეგობრების სიმღერები უფრო მომწონდა და მათ ვმღეროდი. 60-იან წლებში უკვე სერიოზულად მოვკიდე სიმღერების წერას ხელი და მას შემდეგ შევქმენი 40-მდე ნაწარმოები. ამ სიმღერების სრულუფლებიანი თანაავტორია მწერალი და პოეტი ვახტანგ გოგოლაშვილი, რომელსაც ვთვლი ერთ-ერთ ნიჭიერ პოეტად. მაგალითისათვის კმარა ამ წიგნში დაბეჭდილი რამოდენიმე მათგანიც: „რა დაგიშავე“, „გურიაში რა მინდოდა“, „ოციოდე წლის წინ“ და სხვა. აგრეთვე მადლობელი ვარ პოეტების: დალილა ბედიანიძის, დოდო გვიშიანის, ქართლოს კასრაძის, ქართლოს ჯაფარიძის, ნიკოლოზ ჩაჩავასი. დრამატურგის და პოეტის ნოდარ ხუნწარიასი, ნიკოლოზ არეშიძის და სხვების, რომელთა ლექსებზე დამიწერია არაერთი სიმღერა. ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნში თქვენ იხილავთ რამოდენიმე ჩემი სიმღერის ნოტებს.

მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გამოშვებული მაქვს 10-მდე ფირფიტა, მათ შორისაა 1955 წელს გამოშვებული, დღეს უკვე უნიკალური ფირფიტები 78 სიჩქარეზე. ე. ი. პატეფონის ფირფიტები. აგრეთვე სამი სიმღერა კინოფილმიდან „წარსული ზაფხული“ 1958 წელს, ისიც 78 სიჩქარეზე. შემდეგ 1968 წელს ანსამბლ „ციცინათელას“ შესრულებით გამოვეცი 4 სიმღერა ფირმა „მელოდიაში“. 1976 წელს გამოდის ანსამბლ „დიელოს“ ორი ფირფიტა, სადაც ჩემი რამოდენიმე სიმღერაა ჩაწერილი. 1981 წელს გამოდის საესტრადო ორკესტრ „რეროს“ ფირფიტა, იქ ჩემი ერთი სიმღერაა ჩაწერილი. 1982 წელს გამოიცა ანსამბლ ახალი „დიელოს“ ფირფიტა. აქაც რამოდენიმე ჩემი სიმღერაა ჩაწერილი. 1985 წელს გამოუშვეს სოსო ებრალიძისა და ვახტანგ გოგოლაშვილის ერთობლივი

ფირფიტა 10 სიმღერით. 1990 წელს ჩავწერე ერთი, სოსო ებრალიძის საავტორო ფირფიტა, რომელიც ჯერ არ გამოსულა საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. აგრეთვე ჩავწერე ზურაბ ხელაიას 10 სიმღერა, რომელიც აგრეთვე ელის გამოსვლას.

ამჟამად 1996 წლის აგვისტოა. ამა წლის 7 ნოემბერს მისრულდება 60 წელი. თუ როგორი მექნება ეს დღე, ვერაფერს გეტყვით.

*საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით*
*სოსო ებრალიძე.*

# ღიმილით გევლოს ყოველთვის

აგაშენა ღმერთმა, ძია სოსო! შენ რომ მაშინ არ დაგეწყო ახალგაზრდა მუსიკოსების ძებნა, ჩვენ ხომ ვერ ვიქნებოდით სიძე-ცოლისძმა. თუმცა ეს ისე, ხუმრობით, სერიოზულად კი, ჩვენი ცხოვრების გზა მაშინ დაიწყო, 1968 წელს, „ციცინათელაში" რომ მოგვიყვანე. მას მერე თითქმის ოცდაათი წელი გავიდა. ესტრადამ დამეგობრება იცის და ეს მეგობრობა მოგვყვება დღემდე. ის სითბოც კარგად გვახსოვს და ის მეგობრული რჩევა-დარიგებებიც. ხშირი და ხანგრძლივი გასტროლების დროს პირთამდე სავსე სუფრასთანაც ვმჯდარვართ ერთად და ნახევრად მშიერი და უფულო. საღამოებიც გვქონია, მაგრამ ის მადლი და მფარველობა არასოდეს დაგვავიწყდება შენგან რომ გვრძნობდით. საქართველო პირველად შენ შემოგვატარე, რუსეთში შენ გაგვიყვანე და უცხოური „ნათლობაც" უნგრეთში შენგან მივიღეთ პირველად. თითქმის ხუთი წელი ვიყავით ერთად „ციცინათელაში" და ამ ხუთ წელიწადში ჩაეტია შეგირდობის პერიოდიც, უფროს-უმცროსობის ხანაც და პროფესიონალი მუსიკოსის ასპარეზზე გასვლის გზის დალოცვაც. ძია სოსო, შენ გაგვიყვანე ამ გზაზე და მადლობის მეტი რა გვეთქმის. ახლა, წლების გავლის შემდეგ, ასაკობრივი ზღვარიც წაიშალა თითქოს და დავრჩით მეგობრებად, კეთილ მეგობრებად. გადამდები ღიმილი გაქვს ჩემო სოსო და ეს ღიმილი ყოფილიყოს ყოველთვის შენი თანმდევი.

*გულწრფელი სიყვარულით*
*დათო აბულაძე*
*ნუგზარ კვაშალი*
*10.09.96*

## მოგონება

(სოსო ებრალიძეს, 1996 წლის იუბილარს)

*სოსოს ნიჭი ვამხილე*
*მელოდიის სურნელით.*
*ილხინე და ალხინე*
*შენი ჰანგის მსურველი.*

დღეს ათას ცხრაას სამოცდაათი.
(ღმერთს ვმადლი რაც კი მარგუნა ხვედრად)..
რჩეული ელის სჯა-მასლაათით
განთქმულ ანსამბლთან ნანდომ შეხვედრას.
ვნახე: (ვიჯექ ვით წვკულთა მახვში),
სიმღერა სმენას ამოდ ევლება,
ლამაზი ჰანგით ბორჯომის ბაღში
ცისფერ თვალების გამოელვება.
ნეტარ სუფევდა სააქაოსო.
მელოდიები ეწყო გოდრებად.
ჟამთაღმწერელი იწყებდა სოსო-
ქართლოსის გულთა დამეგობრებას.
მას მერე დადის წყვილი მაყარი,
ერთობის მადლი ვპოვეთ სვიანში.
შენ მუსიკასთან ხარ წილნაყარი,
მე კრძალვით ვსუფევ პოეზიაში.
სანთელს ილებ და მყის გალობს ცვილიც.
ისიც კმაროდა დგომად·ზე ცერად,
უკვდავსაყოფი ეს დალოცვილი
„რა დაგიშავე" რომ დაგეწერა.
მიწით და ჰავით არს უფლის ძღვენი
ტკბილხმოვანების მჩენი ერებად.
მაქვს შენაგრძნობი წყალობით შენით
ქართულ სიმღერის მშვენიერება.

ძმობის საუღლე ხვალის გზას ვხედავ,
ერთმანეთისთვის დავრჩებით ბიჭად.
სკა არის ჩვენი სამშობლო დედა,
თაფლი ხარ მისი და მე კი ფიჭა.

*01.09.1996 წ. ქართლის ჯაფარიძე*

სოსო ებრალიძე... ჩემი ძმა, მეგობარი, კოლეგა. 35 წელზე მეტი მაკავშირებს ძმებთან — ამირანთან და სოსოსთან, საესტრადო ორკესტრთან „რერო", ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებთან „დიელო", „ციცინათელა". წლების მანძილზე ორივე ძმა ჩემი პარტნიორი იყო, ხოლო 70-იანი წლებიდან მე და სოსომ, მის ანსამბლ „ციცინათელაში", როგორც ამბობდნენ, საკმაოდ საინტერესო დუეტი წარვუდგინეთ მაყურებელს. ვფიქრობ, ძნელია იმღერო ადამიანთან, რომელთანაც გარდა ვოკალური მონაცემებისა, არ გაკავშირებს სულიერი მეგობრობა. ჰოდა ასეთი მეგობარი გახდა ჩემთვის სოსო.

იმ წლებში საკმაოდ ბევრი პოპულარული ანსამბლი იყო. მათ შორის გამოირჩეოდა „ორერა", „დიელო" და „ციცინათელა". ამ ანსამბლების დამაარსებლებს თამამად შეუძლიათ თქვან, რომ მათ შორის გაუთქვეს სახელი ქართულ ესტრადას.

სოსო ებრალიძე — „ციცინათელას" დამაარსებელი. მთელი მისი რეპერტუარის ავტორი და ამავე ანსამბლის უცვლელი სოლისტი. ამ ანსამბლში აჟღერებული სოსოს მიერ შექმნილი სიმღერები „გურია„ „რა დაგიშავე" და სხვები ხალხში გავიდა როგორც ხალხური სიმღერები. ბევრმა არც კი იცის, რომ ეს სიმღერები სოსო ებრალიძისაა.

ბევრი ლამაზი მოგონება მაქვს დაკავშირებული ჩემს სოსოსთან.

საგასტროლო მოგზაურობები გარეშე თვალისათვის დღესასწაულად და გართობად გამოიყურება ხშირად. ცოტამ თუ იცის, რამდენი სიძნელე, რამდენი დისკომფორტია ამასთან დაკავშირებული. ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, რას ნიშნავს მსახიობისათვის ყოველდღე ავტობუსებით გადანაცვლება, ლოგინის შეცვლა, შენთვის ჩვეული რიტმის დარღვევა. ამ დროს, თუ გვერდში არა გყავს მოამაგე და ყურადღებიანი ადამიანი, რომელიც ყველა იმ გაჭირვებას გაგიადვილებს, სცენაზე ვერ ივარგებ.

სოსო იყო ადამიანი, ხელმძღვანელი, რომელიც თავისი უსაზღვრო ყურადღებით, იუმორით ყველას, ვინც კი მასთან ვმუშაობ-

დით, გვიადვილებდა და სასიხარულო დღეებად გვიცვლიდა იმ მძიმე და ზოგჯერ აუტანელ პირობებს, რომელშიც ძალიან ხშირად ვხვდებოდით. ის ყოველთვის ფორმაში იყო: გარეგნულად, სულიერად შემართული და ჩვენ უხერხულობას ვგრძნობდით მის გვერდით, თუ ვერ ვპასუხობდით ან არ ვვარგოდით სცენაზე. არ მახსოვს არც ერთი უტაქტობა მისგან. რაც არ უნდა დაღლილი და მოშვებული ვყოფილიყავი, როცა შემომძახებდა „ძიძი დავიწყეთ", მოვიკრეფდი უკანასკნელ ძალებს და კონცერტი ჩვეულებრივად მიდიოდა. არავის აღარ ახსოვდა არც სიმძიმე, არც ფიზიკური თუ მორალური განწყობა.

სოსო თავისი ოჯახის საოცრად მოყვარული კაცია. მახსოვს ხშირად, გასტროლებზე, თუ მისი მეუღლე, მშვენიერი ლანა ჩვენთან ერთად იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ვაი თუ ის სოსოს გვერდით არ იყო. ერთი კვირა ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე ნელა მოიწყენდა და ბოლოს მეტყოდა: „ძიძი, წავალ ცოტა ხნით თბილისში". და დამიტოვებდა ანსამბლს. ვცდილობდი მისი არყოფნის დროს არაფერი დაშავებულიყო, ის ხომ ყველა ჩვენთვის თავდადებული კაცი იყო. რამეთი ხომ უნდა გვეპასუხა და ჩვენც ვცდილობდით არ შეგვერცხვინა ჩვენი ხელმძღვანელის სახელი.

საოცრად მუსიკალური, ბევრი კარგი სიმღერის ავტორი, შესანიშნავი შემსრულებელი, ჩემის აზრით ბოლომდე არ არის ამოწურული, მას დღესაც ბევრი შეუძლია, დიახ, განსაკუთრებით დღეს, როცა ასე გვჭირდება ნამდვილი ქართული მელოდია, ნამდვილი შესრულება.

გთხოვ, ჩემო სოსო, ნუ ჩამოყრი ხელებს და ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს მიეცი ისეთი სიმღერები, რომლებითაც ასე განებივრებული ვიყავით ჩვენ.

*საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ძიძიგური*

ჩვენ, სოსოს მეგობარ გოგონათა ერთმა ჯგუფმა, 29-ე სკოლა დავამთავრეთ. 29-ე სკოლა — ორჯონიკიძის ქუჩაზე. ახლა იტყოდნენ ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე. არ მიყვარს ეს სიტყვა „ყოფილი". არ შეიძლება „ყოფილი" დაარქვა იმას, რაც წარსულთან, ბავშვობასთანაა დაკავშირებული. იქ, ბავშვობაში იმ ქუჩას ორჯონიკიძის ქუჩა ჰქვია, სადაც გაიარა ბავშვობამ სიხარულითა და ტკივილით, სადაც დილაობით პურის ქარხნიდან გამოსული საოცრად თბილი და საამური სურნელი იდგა და ღია ფანჯრიდან ილვრებოდა როიალის ხმა — ხან მოწაფური გამები, არპეჯიოები, ხან შოპენის ვალსები და კლემენტის სონეტები.

ეს იყო ჩვეულებრივი, ვაგზლისპირა უბანი, თავისი ვიწრო ქუჩებითა და ოკრობოკრო სახლებით, დიდი, ხალხმრავალი ეზოებით და ჭრელი ბინადრებით.

აქაური უბრალო ხალხი ალიონზე მიდიოდა სამუშაოდ და ბინდისას ბრუნდებოდა შინ. დღე კი ჩვენი იყო — ბავშვებისა. დიდობანას ვთამაშობდით. აქ, ჩვენ სამყაროში, საკუთარი კანონები და კრიტერიუმები იყო. ოქროს უბანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა.

აქ ბინადრობდა ებრალიძეების ლამაზი, ყველასათვის საყვარელი ოჯახი. ოჯახი — სავანე, ოჯახი — ნავთსაყუდელი, ოჯახი — თავშესაფარი იმ ქაოსისა და აურზაურისაგან, იმ ღრიანცელისა და ამოებისაგან, რაც გარეთ სუფევდა. ოჯახი, სადაც ყველა სიხარულით მიდიოდა...

აქ სითბო და სინათლე გვეგებებოდა, აქ სიმყუდროვესა და სიმშვიდეს დაესადგურებინა, აქ გვხვდებოდა სათნო დიასახლისი, ქალბატონი ელენე, რომლისთვისაც ყველანი შვილები ვიყავით და ამ ღარიბულ ჭერქვეშ საღამოობით ისმოდა მშვენიერი სიმღერები. სოსოს ბავშვობიდანვე უყვარდა სიმღერა. ალბათ ამიტომაც იყო — ბევრი მისი მეგობარი მღეროდა. ამ უბრალო ოჯახში სამეფო ტახტზე დაბრძანებულიყო მისი უდიდებულესობა — ხელოვნება.

მერე იყო სასცენო ცხოვრება, მერე იყო წარმატება, მერე...

ბევრი რამ მოხდა მერე.

ჩემთვის კი სოსო ებრალიძე დღესაც იმ ვაგზლისპირა უბნის ჭინადარია, სადაც ჩვენი ბავშვობა მეგულება.

ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ენატრება ჩვენი უბანი, პურის ქარხნიდან გამოსული სურნელი და როიალის ხმა ღია ფანჯრიდან.

მჯერა, რომ იმ სურნელის სითბომ და იმ ბგერების მადლმა გაგვაძლებინა დღემდე.

მჯერა, რომ სწორედ იქ, იმ უბანში დაიწყო სოსო ებრალიძე – მომღერალი. იმ ლამაზი დღეების გაგრძელებაა მთელი ჩვენი ცხოვრება.

*ლია იოსელიანი*
*მე-20 სკოლის დირექტორი*

# კიდევ ერთი სამოცი...

სამოციანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარმა რეჟისორმა გაიოზ ქართველიშილმა, რომელსაც მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ჩემი პიესის პრემიერაზე გავეცანი, ფილარმონიაში ლიტერატურული განყოფილების გამგედ მიმიწვია. რა დაგიმალოთ, ჩემთვის ეს მოულოდნელი წინადადება იყო. კარგა ხანს ვიფიქრე და ბოლოს მაინც დავთანხმდი. დავთანხმდი და არც მინანია. (მგონი არც ჩემს მეგობარს, ესტრადისა და მუსიკალური სპექტაკლების შესანიშნავ რეჟისორს გაიოზს დარჩენია სანანებლად თავისი წინადადება). ფილარმონია ჩემი მეორე ოჯახი გახდა. თავისი შემოქმედებითი გაწამაწიით (მაშინ, თორემ ახლა რაღაა), ძიებებით, სიახლეებით, ნიჭიერი შემსრულებლებით და საოცრად თბილი, ერთგული, გულისხმიერი შემოქმედებითი ადამიანებით. ბევრი მათგანი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა, რომლებთანაც მჭიდრო სიყვარული და ურთიერთობა მაკავშირებს დღემდე.

მათგან ჩემი სოსო ებრალიძე მინდა გამოვარჩიო. ყველაფერი წარმომიდგენია და 60 წლის სოსო ებრალიძე ვერ წარმომიდგენია. ჩემთვის იგი ისევ ის ახალგაზრდა ბიჭია, 30 წლის წინ რომ დავუმეგობრდი. მხიარული იყო, ღიმილიანი, მოყვარული, მუსიკითა და სიმღერით სავსე ყელამდე. ან პიანინოს უჯდა, ან გიტარას აჟღარუნებდა, ან მიკროფონთან ღიღინებდა. ზოგჯერ კი ჩაის ჭიქით ხელში გრძელ, უთავბოლო სადღეგრძელოს ამბობდა შეზარხოშებული და ძმობას მეფიცებოდა.

ერთხელ სოსოს უმცროსმა ძმამ ამირანმა, ნიჭიერმა მომღერალმა და კომპოზიტორმა, თავისი ნოტები მაჩუქა წარწერით — „ვახტანგ გოგოლაშვილს, ჩემი ძმის ძმას"...მიხარია, რომ მე და ჩემს სოსოს ეს ძმობა დღემდე შემოგვრჩა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ესტრადაზე მისი „ციცინათელა", „დიელო", ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი შესანიშნავი სიმღერები საკუთარი შესრულებით, ალბათ, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს

ქართულ ესტრადას სოსოს განუმეორებელი კოლორიტის გარეშე.

მეგობრობა შემოქმედებითმა ურთიერთობამაც განამტკიცა. მისი სიმღერების უდიდესი ნაწილი ჩემს ლექსებზეა შექმნილი. საესტრადო სიმღერების მცოდნეთ და პატივისმცემელთ მუდამ ემახსოვრებათ „რა დაგიშავე", „რა ყოფილა გურია", „იმერეთო, ჩემო დედავ", და სხვა მრავალი, რომელთაც ბოლოს ერთად მოვუყარეთ თავი „მელოდიის" მიერ გამოშვებულ ფირფიტა გიგანტზე და ერთ-ერთ საუკეთესო სიმღერის სახელი დავარქვით — „შეყვარებულთა ქალაქი".

ამასწინათ დიდი ქართველი მწერლის, საყვარელი მეგობრის რეზო ინანიშვილის პირად წერილებს ვათვალიერებდი, უჯარმიდან ან ხაშმიდან რომ მიგზავნიდა ხოლმე. ერთგან ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „სოსოს და შენი სიმღერა მოვისმინე რადიოში. მგონი „რა დაგიშავე". არ გეფერებით — ძალიან მომეწონა. სოსოს აკოცე და მოიულოცე. უთხარი — ტკბილად მახსოვს „სამადლოში„ გატარებული საღამო... იქნებ ამოისეირნოთ ხაშმში ორთავემ? ოღონდ გიტარა წამოიღოს თან. მე და როზას გიტარისა და პიანინოს შესაძენი საშუალება სადა გვქონდა."...

„სამადლოში" გატარებულ საღამოს რომ იგონებს რეზო, ეს სამოციანი წლების მიწურულს იყო. სულ ორიოდე ბოთლი ღვინო დავლიეთ, მაგრამ იმდენი ვიკამათეთ, ვიჩხუბეთ, ვიყაყანეთ...ეჰ, ახალგაზრდები ვიყავით და ბედნიერები.

ახლა რეზო აღარ არის. მე მოხუცი კაცი მქვია.

სოსოსაც 60 შესრულებია.

კიდევ ერთი სამოცი, ჩემო მეგობარო!

*მწერალი ვახტანგ გოგოლაშვილი*

## სოსოს

უკვე დამჭკნარან ლურჯი იანა,
მთებში კრიგალი ზვავობს,
შემოდგომაა, ისიც გვიანი
შემოდგომაა, ძმაო.

მალე ზამთარი ყრმობის ზღაპრიდან
ჭირხლის ხალიჩას მოქსოვს,
გადაიარა ჩვენმა აპრილმა,
გადაიღამა, სოსო.
ცხოვრება მოგავს მოყოლილ იგავს,
გული დარდობს და იჭვობს,
დალეულია სუყველა ჭიქა,
დაქცეულია, ბიჭო.
გამოჩნდნენ შორი სანაპირონი,
ხვალის დღეები დარდობს,
და ერთადერთი ძმობის მირონი,
მირონი შეგვრჩა მარტო.
მთებზე ღრუბელი იბერტყავს კალთებს,
ცივი გრიგალი დავობს,
შემოდგომაა... მოდი და დავთვრეთ,
ერთხელაც დავთვრეთ, ძმაო.

*პოეტი ვახტანგ გოგოლაშვილი*

# სოსო ებრალიძე

მახსოვს 1968 წლიდან, როდესაც მე პროფესიონალურ ესტრადასთან გარკვეული კავშირი დავამყარე, საოცარ ზენიტში იმყოფებოდა საქართველოს ფილარმონია. მასთან არსებული ანსამბლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სტილით, შესრულების მანერით. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო გამოირჩეოდა საესტრადო ხელოვნების უმაღლესი ხარისხით. მრავალ ჯგუფს იცნობდა მთელი კავშირი. აღსანიშნავია, რომ ყველა კოლექტივს საკუთარი სახე ჰქონდა. სწორედ ამ შემოქმედებით ჭიდილში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ანსამბლი „ციცინათელა". მახსოვს, ვესწრებოდი ამ ანსამბლის პირველ კონცერტს, რომელიც ფილარმონიის საზაფხულო თეატრში უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ოქტეტის შთამბეჭდავმა შესრულებამ, მაღალმა ოსტატობამ მოლოდინს გადააჭარბა.. კონცერტი აიგებოდა სიმღერისა და ცეკვის ორგანულ შერწყმაზე და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ახალი სტილის შემოტანას ნიშნავდა ქართული ესტრადის განვითარებაში. კონცერტის შემდეგ დიდი სურვილი გამიჩნდა დამეწერა სიმღერა ამ შესანიშნავი ოქტეტისათვის.

ჩვენი პირველი შეხვედრა ბატონ სოსოსთან ძალზე თბილი აღმოჩნდა, მე კი მიხაროდა, რომ გავიცანი ეს ახალგაზრდა, ცნობილი შემოქმედი, რომელმაც არაერთი ქვეყნის ცნობილი დარბაზი დაიპყრო ანსამბლ „დიელოსთან" ერთად და ახლა ასეთი ბრწყინვალე ოქტეტის ხელმძღვანელია.

მახსოვს თავდაპირველად ბატონი სოსო თავს იკავებდა ჩემი სიმღერის ანსამბლში გაკეთებისაგან, ვინაიდან ოქტეტს შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ კომპოზიტორებთან — გ. ცაბაძესთან, რ. ლაღიძესთან, ნ. კერესელიძესთან. ამიტომ 19 წლის კომპოზიტორის სიმღერის პროფესიონალურ სცენაზე გატანა გარკვეული რისკი იყო. მაგრამ, ბატონმა სოსომ მაინც

დადებითად გადაწყვიტა ჩემი სიმღერის ბედი. ანსამბლის რეპეტიციებს მეც ვესწრებოდი. ვამზადებდით ჩემს სიმღერას „მაღალი მთებია“ მ. ფოცხიშვილის ლექსზე, რომელიც საბოლოოდ აჟღერდა „ციცინათელას“ შესრულებით.

შემდგომში ჩვენი თანამშრომლობა გრძელდებოდა. გადიოდა წლები, იცვლებოდნენ ანსამბლის წევრები, სტილი, მაგრამ სოსო უცვლელი რჩებოდა. მან საკუთარი სიმღერებიც კი შექმნა. მის სიმღერებს არსულებდნენ ისეთი ანსამბლები, როგორიცაა „75“, „დიელო“, „რერო“ და სხვა.

მე დღესაც ვხვდები ფილარმონიაში ამ უაღრესად კარგ პიროვნებას და ყოველთვის გული მწყდება, რომ დრო ასე ცუდად შეიცვალა, რადგან სოსოს თავის ერისათვის კიდევ ახალი სიტყვის თქმის უდიდესი შესაძლებლობა გააჩნია!

*კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი*

სოსო ებრალიძესთან დიდი ხნის მეგობრობა და ქართული ესტრადის სფეროში თანამშრომლობა მაკავშირებს. 60-იანი წლების დასაწყისში ვიმყოფებოდი ქ. მოსკოვში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტურ საესტრადო ორკესტრთან ერთად. იქ შევხვდი სოსოს, რომელიც იმ დროს სოლისტად მუშაობდა პრიბალტიულ საესტრადო ორკესტრში ოლეგ ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით. მე შევთავაზე თბილისში დაბრუნება, ჩვენს ინსტიტუტში მოწყობა და ვოკალური ჯგუფის ჩამოყალიბება. ცოტა ხნის შემდეგ სოსო თბილისში დაბრუნდა, შეკრიბა ვოკალური ჯგუფი და ყველა მათგანი ინსტიტუტში მოეწყო. ასე შეიქმნა კვარტეტი, რომელსაც შემდგომში „დიელო“ ეწოდა. პირველივე ნაბიჯებიდან „დიელომ“ საუკეთესო მხრიდან აჩვენა თავი, რამაც განაპირობა ანსამბლის ფილარმონიაში გადასვლა. გარკვეული პერიოდის შემდეგ სოსომ დატოვა „დიელო“, რათა შეექმნა საკუთარი ოქტეტი „ციცინათელა“. აღსანიშნავია, რომ თავიდანვე ის ანსამბლი, სხვა კოლექტივებთან განსხვავებით, გამოირჩეოდა მუსიკისაკენ სწრაფვით და ეროვნული ინტონაციების ბრწყინვალე გამოყენებით.

ამ პერიოდში იხსნება სოსო ებრალიძის ნიჭის ახალი მხარე. იგი ქმნის სიმღერებს, რომლებიც მსმენელში დიდი პოპულარობით და მოწონებით სარგებლობს, ხოლო ისეთი სიმღერები, როგორიცაა „გურია“, „რა დაგიშავე“ ეროვნული საესტრადო სიმღერის საუკეთესო მაგალითია.

მინდა აღვნიშნო მრავალი მუსიკოსი, აღზრდილი სოსო ებრალიძის მიერ. რომლებმაც ქართული ესტრადის პროფესიონალ-შემსრულებთა რიგები შეავსეს. მათ შორის არიან ისეთი მომღერლები, როგორიცაა თ. წიკლაური, ს. ნონიაშვილი, რომან და თემურ რცხილაძეები და სხვანი.

ორგანიზატორის დიდი ნიჭის გამო სოსო საქსახფილარმონიის პროფკომიტეტის თავჯდომარედ იქნა არჩეული, სადაც ძველი სისტემის დაშლამდე მუშაობდა.

დღეს სოსო ებრალიძე პენსიას ღებულობს და სამწუხაროდ მის გამოცდილებას და ნიჭს არ იყენებენ.

მინდა ვუსურვო სოსოს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

*კომპოზიტორი და დირიჟორი*
*ადოლფ ივანოვი*

# გახსენება

სოსო ებრალიძის ბავშვობაში ფეხბურთი იყო ყველაფერი. სხვათაშორის საკმაოდ კარგადაც თამაშობდა, როგორც ამბობენ... აბა ისე ვინ მიიღებდა ოცდამეთხუთმეტე სკოლაში. იმ სკოლაში სოსოს სხვა მომავალი მსახიობები და მომღერლებიც დახვდნენ... ბადრი ბეგალიშვილი, გენო ნადირაშვილი, თემურ დავითაია და სხვები.

სოსო ყოველთვის იმას ტრაბახობდა — მიშა მესხი ჩემი დუბლიორი იყოო. ამას რა თქმა უნდა არ ვუჯერებდი და ბაქიაობად ვუთვლიდი... ერთხელ თვითონ მიშა მესხსაც ვუთხარი ასე ტრაბახობს სოსო თქო... „კი არ ტრაბახობს მართლა ეგრე იყოო“ — მითხრა იმ ცხონებულმა.

ასე იყო თუ ისე, ჩვენი სოსო ფეხბურთში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ე. წ. „აფსაიტში“. სამაგიეროდ ესტრადაზე შემოიჭრა მარცხენა გარემარბად. მარცხენა მხარს იდგა ყოველთვის, მარჯვნივ ედუარდ სეფაშვილი იდგა, ცენტრში გიული ჩოხელი. ეს გახლავთ პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო, რომლითაც სოსო ებრალიძე წარსდგა მაყურებელთა წინაშე. გიული ჩოხელი ვენერა მიასურაძემ შეცვალა, ტრიო — ორკესტრმა და ასე დაიწყო სოსოს საესტრადო მოღვაწეობა. „რერო“, ლუნდსტრემის ორკესტრი და ბოლოს ძმასთან ამირან ებრალიძესთან ერთად შექმნა ვოკალურ-ინტსრუმენტალური ანსამბლი „დიელო“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. აფრიკაში იმდენჯერ იყვნენ, რომ ხალხს ეჭვი შეეპარა ალბათ ნაკვეთი აქვთ ეგვიპტეშიო. ამ ანსამბლში მიიღო სასცენო ნათლობა პოპულარულმა ბუბა კიკაბიძემ, უფრო სწორედ კიკა ბუბაბიძემ, როგორც ჩვენი საყვარელი გოგი ცაბაძე ემახდა.

ბოლოს მაინც ვერ მოისვენა სოსომ და თავისი საკუთარი ანსამბლი — „ციცინათელა“ შექმნა. მართლაც ბრწყინვალე ანსამბლი იყო. საოცარი ხმებისა და გარეგნობის [illegible]. ამ ანსამ-

ბლში გამოჩნდა პირველად შესანიშნავი მომღერალი თემურ წიკლაური.

ასე, რომ სოსოს ბევრი მომღერლის ნათლობაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ბოლოს სხვისი სიმღერების შესრულებაც მობეზრდა და საკუთარი სიმღერებიც შექმნა. თვითონაც იმღერა და სხვებიც აამღერა.

*დრამატურგი სატირიკოსი*
*ნოდარ ხუნწარია*

ქართულ ესტრადას ყოველთვის ამშვენებდა ხალხი, რომლებიც უხმაუროდ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი კვალი დაემჩნიათ ესტრადის და მითუმეტეს ქართული ესტრადის განვითარება-აღორძინებისათვის და დიდი როლიც ითამაშეს მის ჩამოყალიბებაში და სწორი გზის გაკაფვაში. ასეთ რიცხვს მიეკუთვნება ადამიანი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ქართული საესტრადო სიმღერის განვითარებას და განსაკუთრებით მისი მრავალხმოვანების წარმოჩენას. საესტრადო სიმღერის მოყვარულ კარგად ახსოვთ 60-იან წლებში ქართულ ესტრადაზე ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „დიელო", „ციცინათელა". „ციცინათელას" მხატვრულ ხელმძღვანელად მუშაობდა სოსო ებრალიძე.

მაგრამ ჩემი და სოსოს მეგობრობა დაიწყო ჯერ კიდევ 60 წლებზე ადრე, როცა ჩვენ, ახალგაზრდა ბიჭები, ერთ უბანში ვცხოვრობდით, ჩვენი ქუჩები ერთი მეორის გვერდიგვერდ გადიოდნენ და ძნელი არ იყო შევკრებილიყავით ერთად და გვესაუბრა, დაგვეკრა, გაგვერჩია სიმღერები. სოსოს ამის ნიჭი თავიდან დაჰყვა, ვინაიდან მას კარგად ეხერხებოდა გიტარაზე დაკვრა და ბევრი სიმღერაც გადაიტანა მრავალხმიან რთულ ჟანრზე, რომელსაც ვოკალური კვარტეტი ჰქვია. იმ პერიოდში სულ ორიოდე კვარტეტი თუ იყო თბილისში. სოსო სულ მუდამ ახლის ძიებაში იყო. ცდილობდა ახლებურად მოდერნიზებული წარმოეჩინა ქართული სიმღერა, მაგრამ ისე, რომ ქართული სული და პეწი არ დაეკარგა. მის მიერ ვოკალურ კვარტეტზე გადატანილი სიმღერები დღესაც სისიამოვნოდ ისმის ქართული კინოფილმებიდან, რადიოდან, ცისფერი ეკრანიდან.

მე და სოსოს მეგობრობამ სცენაზეც გადაინაცვლა. 1960 წელს სასწრაფოდ ვიყავი მივლენებული ტაშკენტში, სადაც იგი თავისი ვოკალური ტრიოთი გამოდიოდა. უცაბედად ტრიოს ერთ-ერთი წამყვანი წევრი შეუძლოდ შეიქნა და იძულებული იყო თბილისში წამოსულიყო. საერთო პროგრამიდან ამოვარდა რამ-

დენიმე ნომერი. დადგა მომენტი, როცა სოსომ თქვა: „მე აქ რაღა გავაკეთოო“, ამ მომენტში ერთმანეთს გადავხედეთ და ორივეს გაგვეღიმა, გაგვახსენდა, რომ ჩვენ უკვე კარგა ხნის შემღერებული მეგობრები ვიყავით და დავიწყეთ რეპეტიციები. რამდენიმე საათის შემდეგ ვნახეთ, რომ ორკესტრ „რეროში“ ერთად ყოფნის პერიოდში მრავალი კონცერტი გვაქვს ნამღერი. ბევრი დიდი და პატარა ქალაქიც შემოვიარეთ ერთად. ბევრი სურათიც და ბევრი აფიშაც გვაქვს შემონახული. ბევრ ქართულ სიმღერას მივეცით ახალი ელფერი და ჩავბერეთ ქართული სული. მახსოვს, როგორ ჟღერდა მაშინ ჩვენი შესრულებით ზ. ხელაიას, რ. ლაღიძის, გ. ცაბაძის, ს. ცინცაძის და სხვათა ქართული საესტრადო სიმღერები.

შემდგომში სოსომ „რეროში“ ისევ ჩამოაყალიბა ვოკალური ტრიო გოგი ლეონიძის, ახვლედიანის და მისი შემადგენლობით, რომელმაც დიდხანს იარსება. მათი შესრულებით სასიამოვნოდ ჟღერდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ტრიო მართლაც რომ დიდ მოწონებას იმსახურებდა მაყურებელში. ჩვენი მეგობრობა ორკესტრში მუშაობის დროსაც გრძელდებოდა. ყოველთვის მზად ვიყავი თუ ტრიოს რომელიმე წევრს რამე შეემთხვეოდა, შემეცვალა რომელიმე მათგანი. მიდიოდა წლები. სოსო თვითონ გრძნობდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ვოკალური ტრიოს ხელმძღვანელობა იყო და შექმნა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ვოკალური კვარტეტი „დიელო“, ხოლო შემდეგ კი უფრო დიდი ფორმის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ციცინათელა“. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ მის მიერ შექმნილ ანსამბლებში ახალგაზრდა მომღერლები დიდ სკოლას გადიოდნენ და შემდგომ წამყვანი მომღერლები და შემსრულებელნი ხდებოდნენ.

მართალია ჩვენი გზები ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ ერთმანეთი არასოდეს მოგვიტოვებია, ყოველთვის ვხვდებოდით სხვადასხვა კონკურსების ჟიურის შემადგენლობაში. იგი იქაც კეთილსინდისიერი და ერთგული რჩებოდა ქართული სიმღერის მიმართ,

რომელსაც მთელი ცხოვრება პატიოსნად ემსახურა.

რაოდენ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დღეს მამის საქმეს აგრძელებს მისი შვილი ირინა, რომელიც ანსამბლის კურსს კითხულობს ფალიაშვილის სახ. მე-2 სამუსიკო სასწავლებელში და ამავე დროს რა სასიხარულოა, რომ მიხდება მუშაობა ჩემი მეგობრის შვილთან, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებს თავის მოვალეობას. ამაზეა ნათქვამი: „კვიცი გვარზე ხტისო“.

*სულიკო კოროშინიძე*
*საქართველოს დამსახურებული არტისტი*

სასიქადულო ქართველი მამულიშვილის, სოსო ებრალიძის მხატვრულ-ბიოგრაფიული ნაწარმოები, თანამედროვე ქართული ესტრადის ერთგვარ მატიანეს წარმოადგენს.

თავის მეგობრებზე ოცნებით ნასაზრდოები ესტრადის სოლისტი-მუსიკოსი, კომპოზიტორი და პატრიოტი მოქალაქე, საოცარი უშუალობითა და გულწრფელობით აგვიწერს ომისშემდგომი პერიოდის დედაქალაქის სურათებს და თბილისელებს.

მოგონებებში სოსო ებრალიძემ თავისი ორიგინალური თხრობით შესძლო ეპოვა გზა მასიური მკითხველის გულისაკენ. კომპოზიციის მხრივ მან არჩია დღიურის ფორმა, მაგრამ მის და საქებრად უნდა ითქვას, რომ ეს არ შეიმჩნევა და წიგნი ერთის ალებით საინტერესოდ იკითხება.

50-ანი წლების საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაობის გარკვეული პერიოდი, ესტრადის განვითარება, „პლეხანოველი“ ობოლი ბიჭის თვალებით არის დანახული. და ეს მით უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც ქართულმა ესტრადამ საგრძნობლად გადაუხვია ეროვნულ თვითმყოფადობას. ავტორმა შესძლო სწორი გზის გამონახვა, მრავალი საკითხის ახლებურად და თავისებურად გაშუქება.

სოსო ებრალიძემ ძეგლი დაუდგა თავის ჭაბუკობის დროინდელ „პლეხანოველ“ ბიჭებს, მათ ცხოვრებასა და იდეალებს. მოგონებებში ცოცხალი მაგალითებით უჩვენებს, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასია მეგობრობა, დიდი ადამიანური თვისებაა მხურვალე გულის სითბოს გადაცემა, კეთილშობილება, პატიოსნება, მოვალეობის გრძნობა, მამულის სიყვარული. სოსო ებრალიძე ოპტიმისტია, მისთვის მიუღებელია მარტოობის განცდა.

დღეს, როდესაც ფილარმონია და ქართული ესტრადა, მშობლიურ ნიადაგზე ამაღორძინებელს ელის, ამ წიგნს უდავოდ აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

*საქართველოს სახალხო არტისტი,*
*მწერალი*
*ქართლოს კასრაძე*


Allegro
Fm7
Bbm7
Eb7
Ab+7
Db6
C7
F7
Db+7
Gb+7
Coda
1989


Ad libitum
C7 Am7 Dm7 G7
C7 F6 E7 Am7
G7 C6 C6
1980წ.



1979წ.


Andante
C maj7
Fm6
G7
C6
Dm7
A7
Gm6/Bb
Em6
Em7
F6
Gm6
A♭7
Fm6
1939წ.


Ad. lib. quasi Recit.




C Dm Em Em D7 Em Em D7 G6
Em7 Am7 D7 G6 Em7 Am7
D7 G7 C+7 F Em7 Eb+
D7 G G7 C+7 F Em7
Eb+ D7 G


C6
F6
Ab
G7
F
Am7
Dm7



Ad Lib. D7 Em7 Gm7 A7(9) D7 D7 Em7 G7
A7(9) G7 Gm6 F#m7 B7 Em7 Gm6 F#m7 B7
Em7 A7(9) D7 A7 D7

# „მერე?"



"ფანტომიები"




Moderato
C C15 Am/C C7 F17
E7 Am7 D7 Fm6 Gsus G7 C6
Am7 D7 Am7 D7
G7 C+7 F+7 E7
Am7 D7 Gsus G7 C G7 C G7 C C+7 Am/C
C7 F+7 E7 Am7 D7 Fm6 Gsus G7 C+7
rit. ...

„ზაფხულის მელოდია"




G6
G6
C6
D7
C
B7
Em7
A7
Cm7
D7
G6
C
B7
A7
Cm7
D7
G6
D7
G6
G6


Bb
D7
Gm7
C7
Ebm7
F7
Bb6
Gsus
Gsus
G7
Fsus
Fsus
F7
Gsus
Gsus
G
Asus
Asus
A
Bb
F7
Bb6
F7
Bb6


Moderato
F
B7
Em
Am
D7
G
C6
Dm
E7
D
C7
F#7


Moderato
Eb Ab6 Eb Ab6 Eb Fm7 Bb7
Eb Ab6 Eb Ab6 Eb Bb7 Eb6
Ab6 Gm6 Fm7 Bb7
Cm7 Ab6 Gm6 Fm7
Bb7 I. Eb Cm7 Fm7 Bb7 II. Eb6 Cm7
Fm7 Bb7 Eb6




C6 Am7 Dm7 G7
C6 Am7 Dm7 G7
C7 F+7 E7 Am7
Dm7 G7 C6 G7 C6 Am7 Dm7
G7 C6 C6

"რა დაგიშავე"




Gm7 Cm6 Eb F Gm7 Gm7 Cm7
F7 Bb G7 Cm7 Fm7 Bb D7
Gm7 Cm7 Eb F Gm7 C
C C G F F7
F7 Eb+7 F Gm7 D7
Gm7 C Gm C Eb+7 F Gm


Am7
C6
D7
F7
Dm7
E7

"თეთრი ჩიტი"



„რა დაგიშავე"







"მე მახსოვხარ"




F6 Dm7 Gm7 C7-9 F7 Dm7
Gm7 C7-9 F6 Dm7 Gm9 C7-9 F7 Dm7
Gm9 C7 F7 F7 D7-9 D7-9 Gm7
Gm7 Bbm7 Am7 F7 Dm7 Gm7 C7
F7 Dm7 Gm7 C7-9 Gm7 C7-9 F7 F7






Slow swing

"ძლისპირნი"





ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიო სოსო გმირალიძე, რეზო ურუშაძე, ილიკო ქესტელიძე. 1954 წ.



ვოკალურ ინსტრუმენტალური ტრიო სოსო გმირალიძე, გიული ჩოხე-ლი, ალექსი სეფიაშვილი. მოსკოვი, ხელოვნების დეკადაში 1955 წ.



ინოლა გურგულია, სოსო ქბრალიძე, გოგი ლეონიძე, რობერტ ბარძიმაშვილი, კიევის ტელესტუდიაში 1957 წ.



თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ვოკალური კვარტეტი სოსო ებრალიძე, გოგი ლეონიძე, თამაზ ფანჩვიძე, რობერტ ბარძიმაშვილი. კიევის ტელესტუდიაში. 1957 წ.



სოსო ებრალიძე და რობერტ ბარძიმაშვილი კიევის უნივერსიტეტის სცენაზე 1957 წ.



საქართველოს ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიო. სოსო ებრალიძე, რობერტ ბარძიმაშვილი. ამირან ებრალიძე 1957 წ.



ვოკალური ტრიო კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილთან ერთად. 1957 წ.



88. საქართველოს ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ტრიო. ვახტანგ მახასვერაძე, ძმები სოსო და ამირან ებრალიძეები. 1958 წ.



საესტრადო ორკესტრი „რერო"-ს ვოკალური ტრიო: სოსო მჭედლიძე, გოგი ლეონიძე, ანზორ ახვლედიანი 1959 წ.



საესტრადო ორკესტრი „რერო“-ს ვოკალური ტრიო, მომღერალ ეთერ ჭელიძესთან ერთად. 1959 წ.



„რერო"-ს ვოკალური ტრიო სოსო ებრალიძე, ომარ ალლაძე, სულიკო კოროშინაძე. 1960 წ. ნოვოსიბირსკის ტელესტუდია.



*კადრი კინოფილმიდან „წარსული ზაფხული“ – 1958 წ.*



*კადრი ფილმიდან „წარსული ზაფხული“. სოსო ებრალიძე, გოგი ლეონიძე, ეროსი მანჯგალაძე, აბესალომ ლორია, გოგი გეგეჭკორი, რობერტ ბარძიმაშვილი, ამირან ებრალიძე. 1958 წ.*



მოსკოვის ჯაზ-ორკესტრის ვოკალური კვარტეტი „აკორდი“ შოთა ხარაბაძე, გოია ხარაბაძე, ინა მიასნიკოვა და სოსო ებრალიძე. 1961 წ.



ვოკალური კვარტეტი „აკორდი“.



საქართველოს დამსახურებული არტისტი სოსო ებრალიძე. მეგობრული შარჟი ვახტანგ კუციასი.



ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „დიელო“ ვახტანგ კიკაბიძე, ამირან ებრალიძე, გოგი ლეონიძე, სოსო ებრალიძე. 1962 წ.




ანსამბლი „დიელო“ მოსკოვის ესტრადის თეატრში გამოსვლის დროს. 1963 წ.



ანსამბლი „დიელო“ „გოფილექტში“ გამოსვლის დროს. 1964 წ.



სოსო ებრალიძე და ანსამბლი „დიელო"-ს ინსტრუმენტალური ჯგუფი. 1964 წ.



ანსამბლი „დიელო“ – სოლისტი ნანული აბესაძე. 1966 წ.



ანსამბლი „დიელო“. კადრი კინოფილმიდან „შეხვედრა მთაში“. 1965 წ.



ანსამბლი „დიელო“. კადრი კინოფილმიდან „შეხვედრა მთაში“. 1965 წ.



მღერის სოსო ებრალიძე 1965 წ.



საესტრადო ანსამბლი „ციცინათელა“ 1967 წ.



ანსამბლი „ციცინათელა“ 1967 წ.



ანსამბლი „ციცინათელა“ 1968 წ. მოსკოვის ესტრადის თეატრში.



ანსამბლ „ციცინათელა“-ს ვაჟთა კვარტეტი ოთარ ილურიძე, სოსო ებრალიძე, თენგიზ ჩხეიძე, თემურ წიკლაური.



ანსამბლ „ციცინათელა“-ს ქალთა კვარტეტი. მარინა ვაჩნაძე, ლანა ებრალიძე, ციალა იანთბელიძე, ლილი ზღვაური.



ანსამბლ „ციცინათელას“ ვაჟთა კვარტეტი.



ანსამბლი „ციცინათელა“ 1974 წ.



ანსამბლი „ციცინათელა" 1972 წ.



ანსამბლ „ციცინათელა"-ს ვაჟთა კვარტეტი. თემურ წიკლაური, დათო აბულაძე, სოსო ქვანია, სოსო ებრალიძე. 1969 წ.



ანსამბლ „ციცინათელას“ ვაჟთა კვარტეტი, სოსო ებრალიძე, ალეკო მხეიძე, სერგო ღოღობერიძე, თემურ წიკლაური, 1970 წ. ქ. ბუდაპეშტი.



საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ძიძიგური და საქართვე-
ლოს დამსახურებული არტისტი ზურაბ ცისკარიძე. 1974 წ.



ანსამბლი „ციცინათელა" 1974 წ.



ანსამბლი „დიელო“ 1976 წ.



*ჩვენი აფრიკელი კოლეგა – ქუჩის მოხეტიალე მუსიკოსი. 1964 წ.*



ანსამბლ „დიელო“-ს ახალგაზრდული შემადგენლობა. 1979 წ.



„ცისკრისათელა"-ს სოლისტი, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ლანა ებრალიძე.



საქართველოს დამსახურებული არტისტი სოსო ებრალიძე.



ჩემი ვაჟიშვილი ამირან ებრალიძე.



ჩემი ქალიშვილი ირინე ებრალიძე.



ჩემი მშობლები, მამა სევერიანე ებრალიძე, პატარა მზია და სოსო,
მამიდა მარიამ ებრალიძე და დედა ელენე ბაქრაძე. 1938 წ.



მუსიკის პირველი რეპეტიტორი, ჩემი უფროსი დაიკო მზია ებრალიძე-ზამბახიძისა.



„პლეხანოველ“ მეგობართა ჯგუფი ზურაბ ვაჩნაძე, სოსო ებრალიძე, გურამ ბერია, კუკური გამყრელიძე. ქვემოთ ოთარ მჭედლიშვილი და ვოვა დავითაია. 1951 წ.



ჩვენი სიჭაბუკე. რეზო ასამბაძე, სოსო ებრალიძე, თენგიზ კარტოზია და თამაზ ვადაჩკორია. 1952 წ.



35-ე ფეხბურთელთა სკოლის ბიჭები სტუმრად ტუტიკო ელოშვილთან ქალაქ რუსთავში.
1986 წ.



ვოკალური კვარტეტი „დიელო“: სოსო ებრალიძე, გოგი ლეონიძე, ვახტანგ კიკაბიძე, ამირან ებრალიძე, 1962 წ.

შ.პ.ს. ,,სტამბა №12“
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. №8
ტირაჟი 2000. შეკვეთა №57.
გამოცემულია ავტორის ხარჯებით
ფასი სახელშეკრულებო